

652
1966/2

ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՆՈՒՆԱԴՐԱՆՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՆՈՒՆԱԴՐԱՆՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՆՈՒՆԱԴՐԱՆՈՒԹՅՈՒՆ

19366



ეროვნული
ლიბერალურ-მსაბჭოველი და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურობა
საქართველოს მშრალთა
კავშირის აჭარის
ბანოფილუბის ორბანო

შინაარსი

წინ კომუნიზმია!	3
მს. მშაბია — ჩვენი პარტია (ლექსი)	7
ნ. მალაზონია — ლენინ (ლექსი)	9
ბ. ქუთათელაძე — სულ ზღვას	
აგონებს... (მოთხრობა)	10
ჯ. ქათამაძე — ლექსები	15
შ. ზოიძე — ლექსები	17
მ. გორბილაძე — მეგობრები (მოთხრობა)	18
ბ. მებრეველი — ლხინში (ნაწევები	
პოემიდან „დალი“)	21
ბი დე მოკასანი — წუთისოფელი	
(რომანი. დასასრული)	34
დღეები და აღამიანები	
ნ. მოღაბაძე — სოფლის თვალი	53
რუსთაველის დაბადების 800	
წლისთავისათვის	
ს. ჩხაიძე — ზღვა და „ვეფხისტყაოსანი“	58

10.106

3

1966

მაილი
ივნისი

აჭარის შურობალ-გაზეთების გამომცემლობა

აღ. ჩავლეიშვილი — მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროები (წერილი პირველი)	63
ბ. ღუმბაძე — სანდრო ცირეკიძის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები	71
გ. მებაჟეშვილი — პეტრე უშიაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები	80

აპარის წარსულიდან

გ. შამილაძე — სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან აჭარაში . . .	89
--	----

— — —

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

წინ კომუნიზმია!

დიადი მოვლენებითაა აღსავსე ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. ეს-ეს არის დამთავრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა, რომელმაც ლენინური პრინციპულობით განიხილა სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეკონომიურ-პოლიტიკური პრობლემები და განსაზღვრა პარტიისა და ხალხის ამოცანები უახლესი წლების მანძილზე. მალე, მიმდინარე წლის 12 ივნისს, ჩვენ ვიქნებით ახალი დიდი პოლიტიკური მოვლენის მოწამენი—ამ დღეს საბჭოთა ადამიანები, როგორც ერთი კაცი, მივლენ საარჩევნო ყუთებთან და აირჩევენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. სრულიად უეჭველია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გადაიქცევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მონოლითური შეკავშირების ახალ მძლავრ დემონსტრაციად. ამის საწინდარია ის ჯერ არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმაფლობა, რაც გამოიწვია პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

„საბჭოთა ადამიანები, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, — არჩევნებზე მივლენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროით. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს შვიდწლედის შედეგები და ახალი ხუთწლიანი გეგმის პერსპექტივები. ხუთწლედების მაღალ საფეხურებზე რომ აღის, ჩვენი ქვეყანა განუზრგელად მიიწევს კომუნიზმის მწვერვალებისაკენ, სულ უფრო ძლიერდება და მშვენდება. მსოფლიოს ხალხები სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან, თუ რა უპირატესობა აქვს სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტური სისტემის წინაშე“.

ჩვენი წარმატებები ჭეშმარიტად გრანდიოზულია. ახლა საბჭოთა კავში-

რი მსოფლიოს არა მარტო ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიულ-საგონივრუ-
რნო ქვეყანაა, არამედ მოწინავე მეცნიერებისა და სოციალისტური კულ-
ტურის ქვეყანაც. მარტო გასული შვიდწლედის მანძილზე საგონივრუ-
პროდუქციის წარმოების მოცულობა 84 პროცენტით გაიზარდა, თითქმის
გაორკეცდა სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები. ამჟა-
მად სსრ კავშირს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში სამრეწველო წარ-
მოების მოცულობით და მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის
თითქმის მეხუთედს უშვებს. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ სოფ-
ლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაშიც. ფრიად თვალსაჩინოა
აგრეთვე ჩვენი მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის წარმატება-
ნი. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანი პირველი გავიდა კოსმოსში,
ჩვენ შევქმენით არა მარტო დედამიწის, არამედ მთვარის პირველი ხელოვნ-
ური თანამგზავრიც. საბჭოთა ადამიანები უდიდესი კმაყოფილებისა და
კანონიერი სიამაყის გრძნობით ისმენდნენ პარტიული ჰიმნის „ინტერნა-
ციონალის“ ჰანგებს, რომელსაც მთვარის ხელოვნური თანამგზავრი
„ლუნა-10“ გადმოსცემდა კოსმოსიდან.

საყოველთაო აღტაცებას იწვევს საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.
ისინი ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობენ და შემდგომ ამდიდრებენ კაცობ-
რიობის სულიერ საგანძურს. ჩვენი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, თეა-
ტრალური კოლექტივები, მუსიკოს-შემსრულებლები, ესტადისა და ცირ-
კის მსახიობები აცვიფრებენ უცხოელ მაყურებლებსა და მსმენელებს თავი-
სი მაღალი ოსტატობით. საბჭოთა წიგნს ახლა დედამიწის თითქმის ყველა
კუთხეში კითხულობენ. გატაცებით ისმენენ ჩვენი კომპოზიტორების
ნაწარმოებებს, ეცნობიან მხატვარ-მოქანდაკეთა ნამუშევრებს, ნახულო-
ბენ კინოფილმებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხე-
ლოვნება არა მარტო ხელს უწყობენ ახალი, კომუნისტური ადამიანის აღზრ-
დას ჩვენს ქვეყანაში, არამედ ამავე დროს ეპოქის მოწინავე ჰუმანისტური
იდეები შეაქვთ მილიონობით ადამიანის შეგნებაშიც საზღვარგარეთ.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია იმიტომ სარგებლობს უდიდე-
სი ავტორიტეტით, მას იმიტომ ენდობა ხალხი, რომ არასოდეს კმაყოფილ-
დება მიღწეულით და გაბედულად, ბოლომდე ამხილებს არსებულ ნაკ-
ლოვანებებსა და სიძნელეებს. თავის ამასწინანდელ ყრილობაზე პარტიამ
აღნიშნა მოპოვებული წარმატებები, მაგრამ არც ის დაუშალა ხალხს, რომ
ბოლო წლებში რამდენადმე შენელდა სამრეწველო წარმოებისა და შრო-
მის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, მთლიანად ვერ შესრულდა მსუბუქი
და კვების მრეწველობის განვითარების დავალებანი და სხვ. ეს ნაკლოვა-
ნებანი არ იქნებოდა, ერთგვარი ზარბიელი რომ არ მისცემოდა სოციალის-
ტური საზოგადოებისათვის სრულიად უცხო ვოლუნტარიზმსა და სუბიექ-
ტივიზმს. ამიტომ იყო, რომ პარტიამ და ხალხმა ერთსულოვნად მოიწონეს

საკვ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებები, რომლებიც გმოგენ სუბიექტური უფელგვარ გამოვლინებას და ქმნიან ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმუტებათ შესრულების ხელსაყრელ პირობებს. ვითარების სწორი მეცნიერული შეფასება, რეალისტური მიდგომა, ობიექტური კანონების გათვალისწინება — აი რით გამოირჩევა ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომლებიც განიხილა და დამტკიცა პარტიის XXIII ყრილობამ.

ახალი ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს. როგორც დირექტივებშია ნათქვამი, მიმდინარე ხუთწლიდის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველი ღონისძიებით გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი მყარი ტემპები და ამის შედეგად მივალწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას. ახალი ხუთწლიანი გეგმა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და თავდაცვით ძლიერებას. შემდგომ განავითარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და, მაშასადამე, მიგვაახლოებს კომუნიზმთან.

მაგრამ კომუნიზმის გამარჯვებისათვის როდი კმარა მარტოოდენ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამასთან ერთად აუცილებელია საბჭოთა ადამიანების აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით. ახალი, კომუნიზმის ადამიანის აღზრდა კომუნიტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, ხოლო ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში დიდია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. ისინი მოწოდებული არიან საბჭოთა ადამიანში აღზარდონ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ამაღლონ მათი კომუნიტური შეგნებულობის დონე. ამისათვის კი საჭიროა ლიტერატურა და ხელოვნება კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ხალხის ცხოვრებას.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, მოითხოვს სინამდვილე ავსახოთ მართლად, მის რევოლუციურ განვითარებაში. სიმართლე ნამდვილი ხელოვნების უპირველესი ნიშანია. თუ შემოქმედი არღვევს ამ პირობას, ცხოვრებას არ ასახავს ისე, როგორც იგი არის სინამდვილეში მთელი მისი სირთულითა და რეალური წინააღმდეგობებით, იგი ვერ შექმნის ჭეშმარიტად პარტიულ და ხალხურ ნაწარმოებს. ხალხს უნდა ისეთი თხზულებანი, რომლებშიც აისახება ძველისა და ახლის ბრძოლა, სინამდვილის წინააღმდეგობანი და ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იმარჯვებს ახალი და პროგრესული ძველსა და დრომოჭმულზე,


როგორ მიდის წინ მთელი ჩვენი საზოგადოება. ლიტერატურა და რელიგია
ნება მოვალენი არიან ადამიანები უპირველეს ყოვლისა აღზარდონ დიდ-
ბით მაგალითებზე, შექმნან დადებითი გმირების მართალი მხატვრობა
სახეები. დადებითის აქცენტირება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ძველისა და
უარყოფითის, არსებული ნაკლოვანებებისა და სიძნელეთა მიჩქმალვას.
პირიქით, უარყოფითის მხილება აუცილებელია თვით დადებითის უკეთ,
უფრო სრულყოფილად და რელიეფურად წარმოჩენისათვის.

საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მუშაკები გარემოსილი არიან
პარტიის, მთელი ხალხის მშობლიური მზრუნველობით. და ისინი ვალდებ-
ული არიან შექმნან ნაწარმოებები, რომლებშიც ასახება ჩვენი დიადი
გმირული თანამედროვეობა და რომლებიც ჩვენი ეპოქის შესაფერისი იქ-
ნებიან, გამდიდრებენ კაცობრიობის სულიერ საუნჯეს. ამ მხრივ განსა-
კუთრებით დიდი და სერიოზული შრომა მართებს ჩვენს მწერლებს.

„საბჭოთა ხელოვანი, — თქვა აშხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIII
ყრილობაზე, — აქტიური მებრძოლია მსოფლიოს რევოლუციური გარდა-
ქმნისათვის. დაე ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ სრულყოფილ მხატვ-
რული შემოქმედების ფორმები და მეთოდები და კვლავაც სიმართლით,
მთელი სისრულითა და სიმდიდრით ასახონ ჩვენი ცხოვრების მრავალ-
ფეროვნება, აღაფრთოვანონ საბჭოთა ხალხი მის ტიტანურ შრომასა და
ბრძოლაში მაღალი, კეთილშობილური მიზნების მისაღწევად“.

საბჭოთა ხალხი უკვე შეუდგა ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციე-
ლებას. წინ უაღრესად ნათელი პერსპექტივებია, ჩვენ ყოველი დღე გვა-
ახლოებს კომუნიზმს, კაცობრიობის ამ სასუქვარ მიზანს. საბჭოთა ლიტე-
რატურა და ხელოვნება, როგორც ყოველთვის, მხარში უდგას საბჭოთა
ხალხს და მასთან ერთად ვითარდება, იზრდება და იღუტრქნება. სულ მა-
ლე ხალხი აირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და ამით ერთხელ კი-
დეგ ნათელყოფს, რომ იგი უსაზღვროდ ერთგულია ლენინური კომუნის-
ტური პარტიისა, მთლიანად იზიარებს და ერთსულოვნად მხარს უჭერს მის
პოლიტიკას, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბ-
ჭოთა ხალხი წარმატებით გადაჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს, ვადა-
დე და გადაჭარბებით შეასრულებს ახალ ხუთწლიან გეგმას, რაც მნიშვნე-
ლოვანი წვლილი იქნება კომუნიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში,
დაე ლიტერატურასა და ხელოვნებას კვლავაც მაღლა ეჭიროს პარტიუ-
ლობისა და ხალხურობის ლენინური დროშა!



ქსენია მუჟიკა

ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ა

სკკპ XXIII ყრილობის დელეგატებს

პარტია ჩვენი! —
მას გამარჯვება,
მას უკვდავება ჰქვია სახელად;
სიცოცხლის აზრი, ძალა და ნება,
ჩვენი სუნთქვა და თვალის გახელა.

უფრო ძვირფასი და ახლობელი
სიტყვა ამქვეყნად არ გვეგულება.
პარტია — ბნელის დამამხობელი
და ქვეყნის მზისკენ შემობრუნება.

მუდამ სიმართლის გზებით იარა,
მილიონების გულისთქმას მიწვდა;
ყველა ტკივილი, ყველა იარა
ერთად შეჰკონა და დაამიწა.

გულით მივენდეთ მის დროშას გაშლილს
ყველა სიძნელის მხნედ ასატანად;
ის მიგვიძღოდა ცეცხლსა და ქარში
და გამარჯვების გზებით გვატარა.

მის დაძახილზე მიწა მზიანობს,
პოთა სამაისოს ჩაიცვამს ფარჩებს;

და გჯერა მისი, ადამიანო,
რომ დაგაწაფებს სიცოცხლის ჩანჩქერს.


რომ შენს ფიქრებთან ერთად უვლია,
რომ მისი ზრუნვით მხრებს შლი, იზრდები.
და მის სუნთქვაში ჩაქარგულია
შენი კაცობა, შენი მიზნები.

უცქერ მომავალს გონების თვალით,
უნაზღეს ფიქრით თავზე ევლები:
უდაბნოს შვენის ყანა სამკალი,
წამომართულან ცათამბჯენები.

მშვიდობა სუფევს კიდიტ-კიდემდი,
მიწას გართხმულან ომის ქარები...
და უშორესი,
და უდიდესი
გზები მთვარისკენ მიგვაქანებენ.

ახლა ფიქრია ისე უღევი,
რას არ შებედოს კაცის ხელებმა,
რომ გაანათოს ხალხთა გულები
ძმობის, მშვიდობის ცისარტყელებმა.

... პარტიის ნათელ დროშას მივენდეთ,
მეტი დიდება არც გვინატრია —
პარტია ჰქვია ნათელ ომედებს,
ყველა სიხარულს ჰქვია პარტია!




ნესგორ მაღაზონია


ლ ე ნ ი ნ

დაბადების დღეს გილოცავთ, ლენინ,
გამარჯვების დღეს გილოცავთ, ლენინ,
შენს მშობელს და გამზრდელს ვლოცავთ, ლენინ,
შენს მზესა და აპრილს ვლოცავთ, ლენინ!

დაილოცოს ეზო-მიწა,
მშობლის ტკბილი რძე.
შენს აკვანში ვარდი იწვია,
ძე იწვია თუ მზე?
ია გზრდიდა, დედის ნანა
თუ ბუღბუღლის ხმა,
რომ ქვეყანას შენისთანა
არ ჰყოლია სხვა?

შენ გაუგე ყველა დარდი
ჩვენს მიწას და ცას,
ტკივილიან გულში ჩაწვდი
ნაღველსა და წვას.
შენ მიეცი განთიადი
ყველა ხალხს და ცვლას,
ყველა მშრომელს შეუყვარდი —
ყველას შენი სწამს!





გენრიეზა ქუთათელაძე

სულ ზღვას აგონებს...

საცაა მატარებელი წავა, უნდა აჩქარდეს, თორემ... მაინც რა ბედი აქვს! გუშინწინ ბაქანზე როგორც კი დადგა ფეხი, მატარებელიც აგრუხუნდა. გული დაწყდა. ავტობუსშიც ასე არ მოსდის? ყოველთვის ფეხით უხდება სიარული. ახლოს რომ იყოს სოფლის ბიბლიოთეკა, ვინ ჩიოდა, მაგრამ სამ კილომეტრს ფეხით რომ გაივლის, სუნთქვაშეკრული ძლივძლივით ალებს ბიბლიოთეკის კარებს. სამუშაოზე ყოველთვის დროზე ცხადდება, მაგრამ ავტობუსით იშვიათად მგზავრობს.

ავტობუსი ყოველთვის ხალხითაა სავსე, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩაეარდება. დილით მასწავლებლები და მოსწავლეები მგზავრობენ. ყოველთვის უკანასკნელი შედის, ყველას გზას უთმობს... ხუთი წელია დაამთავრა საშუალო, უმაღლესშიც სწავლობს, ბიბლიოთეკის გამგედაც მუშაობს, მაგრამ მაინც მოსწავლედ გრძნობს თავს, თითქოს ახლაც ბავშვია... ადგილს ყოველთვის მასწავლებლებს უთმობს... ხანდახან კი ახალგაზრდა ფიზკულტურის მასწავლებელი მგზავრობს ავტობუსით და თავაზიანად ეპატიჟება, „დაბრძანდით“. ერთხანს უარობს, მერე მაღლიერად გაუღიმებს და ჯდება.

კარგია ფიზკულტურის მასწავლებელი, მოხდენილი, ზრდილობიანი ვაჟი, ასე ოცდასამი წლის თუ იქნება, მაგრამ უკვე სპორტის ოსტატია, მძლეოსანი. ღონიერი მკლავები, ქერა კულულები და ლამაზი თვალები აქვს. ო, რა თვალები!...

მართლაც კარგი ბიჭია ფიზკულტურის მასწავლებელი. რა კარგი გაღიმება იცის! თუმცა გაღიმებას რა ჭკუა აქვს, მაგრამ მისი ღიმილი? ხანდახან განგებ შედის ავტობუსში, უნდა ფიზკულტურის მასწავლებელმა ადგილი დაუთმოს და ტკბილად გაუღიმოს...

მაინც რას აეკვიტა ეს ფიქრები? ჯანდაბას იქით, კიდეც დაიგვიანებს მატარებელზე და მერე აღარ ჩაუთვლიან ისედაც დაგვიანებული მატარებლის ტროლოს. რა კარგი სოფელი აქვს იათას, მატარებელიც დადის და...

ზარმა გაიწვრიალა. ელმავალმა უქანასკნელად ამოიქშინა და წავიდა... მიჰყავს იათა, მიჰყავს ზღვისპირა ქალაქში... ლამაზია ზღვისპირეთი, პალმები, ზღვა, ზღვაზე შორეული თეთრი ხაზი და გემები...

მიჰქრის მატარებელი, მასთან ერთად მიჰქრიან ჭადრები, ევკალიპტები და ფიქრებიც...

იათას საგანგებოდ შეეკრიბილი შავი ქვედაცაბა და თეთრი ჯემპერი აცვია. ლამაზი ჯემპერია. გუშინ გოგოებს თვალი დარჩათ ზედ, ერთმა კიდეც ჩაუნისკარტა, ახლა აუცილებლად „დააბამ“ ფიზკულტურის მასწავლებელსო. არ შეიმჩნია. რას იზამ, ზოგიერთს მწარე ენა აქვს და სიამოვნებასაც იმაში პოულობს. რომ სხვებს გუნება გაუფუჭოს, გაანაწყენოს. ჯემპერი მართლაც კარგია. რა ლამაზად ადგას ტანზე, სახეზეც შეენის... მაგრამ იათას როდი მოსწონს თავისი თავი. რამდენჯერ უნატრია, რომ ყოფილიყო ლამაზი, ჰქონოდა ცისფერი თვალები, ქერა კულულები, მაღალი კენარი ტანი და ლამაზი ღიმილი...

ღედა სულ არიგებდა — მთავრია ადამიანი იყო პატიოსანი, ლამაზი სულის, ეს ყველაფერზე უკეთესიაო, მაგრამ ეს ზომ იათამაც ძალიან კარგად იცის. ამ ბოლო დროს სარკესთან ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს ყოვნიდა. იქიდან ტკბილად უღიმინა შავი მაყვლისფერი თვალები, ძალიან მუქი, ღამისფერი კულულები. ოდნავ პომადით შეფერილი მსუქანი ტუჩები... სიმაღლე? ეჰ, სიმაღლე უჭირვებს საქმეს. ოდნავ მაღალი რომ იყოს, მაშინ... ამას წინათ მაღაზიაში ვიღაცამ რომელ კლასში ხარო, ჰკითხა. ოი, როგორ გაბრაზდა. ქუსლიან ტუფლებს რომ იცვამდეს, მაშინ უფრო მაღალი გამოჩნდებოდა. მაგრამ... არა, არა, ვინც კი მაღალ, წაწყვეტილ ქუსლიან ფეხსაცმლებს იცვამს, სოფელში „პორწიკებს“ ეძახიან... იათა კი სერიოზული, დინჯი, საქმიანი გოგონაა. ასე თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, პარტიურის მდივანიც დაეთანხმა, კომკავშირის მდივანმაც ბანდაწია მათ. სოფლის ყველაზე ყიამყრალი, მაგრამ საოცრად მართლისმოყვარე თადეოზიც პატივისცემით ესალმება ამ ცეროდენა გოგოს.

— ნალები. აბა, კარგი ნალები! — აკიაფდა ვაგონში ბოშა ქალის საოცარი მაგნიტური თვალები. რა წვრილი წელი ჰქონდა! ფოჩებიანი თავშალი ინდოელივით შემოეხვია ტანზე, გამომწვევად ირხეოდა...

— სინკა, ლილა, აბა, კარგი ლილა!

იათას მოეწონა ბოშა ქალი, ისიც შენიშნა, კაცებმა როგორ გაადევნეს თვალი.

— აბა, მარჩიელი, კარგი მარჩიელი!
გაელიმა. რა უნდა ურჩიოს ამ ქალმა?

არავის უნდოდა რჩევა. ბოლოს, ერთმა შუახნის მამაკაცმა ბოშა ქალს ხელის გული უჩვენა.

— შენ ღიბხანს ისოსხლებ, შენ კასო, ორი სოლი გყავს, ^{შენივენი} ერთ კვირაში შევისრულდება გულის ნადებიო, — დააყოლა ბოლოს და მანეთიანი ხარბად ჩაიღო უბეში.

იათას შეეზიზღა ის კაცი, მერე გაიფიქრა, ალბათ, ძალზე დადარღიანებულია და წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო.

ბოშა იათასაკენ წამოვიდა. თავი ჩალუნა. ვაიმე, ამ ქალს ახლა რაღა მოიშორებსო. ბოშამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა: მოდი, გოგო, გეტყვი ვინ გიყვარსო, მაგრამ ჯიუტად მოკუმეულ თვალებს რომ წააწყდა, ხელი ჩაიქნია და მეორე ვაგონში რონინით წავიდა.

მაინც რას ეტყოდა ეს ქალი? ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულა ვინ უყვარს და...

ვაგონის ბოლოში ბრიალა თვალებს წააწყდა. არ მოეწონა, უტეხად უცქეროდა ვიღაც ვაჟი. ფანჯარას მიაშტერდა. შორიდან ზღვა ეძახდა თითქოს... კოპები შეიკრა იათამ, ისე კი გულში ჩაელიმა, მაინც გაუხარდა... ზურგში თითქოს წვავდა თვალები, საოცრად ჟინიანი თვალები...

— ქალიშვილო, თქვენი ბილეთი!

— ინებეთ!

— თქვენი, ბიძიკო?

შეწუხდა ვაჟი. იათას არ გაუხედავს, მაგრამ მაინც იგრძნო, როგორ აელანდა უბილეთო ვაჟს ლოყები...

— ჯარიმა!

ახია, დაიმსახურა! მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში მაინც შეეცოდა ვაჟი. ისიც იგრძნო, როგორ ქურდულად გაიძურწა იგი ვაგონიდან.

ხელჩანთა განსნა და გაქათქათებულ ქალაღებზე რაღაც ფიგურების ხაზვა დაიწყო. აქვს ასეთი ჩვეულება, უთავბოლოდ აწვალებს ავტოკალამს ახლა „რვიანებს“ წერს... ქალაღდი ბოლომდე გაავსო და, რომ დახედა, გაელიმა... რომ ჰკითხოს ვინმემ, რას უპასუხებს? ისე უბრალოდო, მაგრამ თვითონ ყოველთვის გადაჭარბებული სილამაზით წერს ამ ციფრს, თითქოს საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს. ყოველთვის ასეა, წერს ამ ციფრს მაშინ, როცა რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზეა...

ზღვა იყო ლურჯი, საოცრად ლურჯი. ცისარტყელას ფერები ენთებოდნენ ზღვაზე და ლამაზ, ვნებიან მაცდურ ქალს ჰგავდა ზღვა... მერე „რვიანებსაც“ მოჰყრა თვალი... ლამაზი წრეები რვიანებად იხატებოდნენ ზღვაზე.

მზის სხივები ერთგულად ქსოვდნენ ფერებს, ალამაზებდნენ ზღვას და ამ უსაზღვრო სარკეში მზესთან ერთად იათაც იხედებოდა... ლამაზი კიპარისებისა და ტირიფების ჩრდილი ზღვაზე ისე ნებიერად ფართხალებ-

და, თითქოს ლამაზი დები ბანაობენო... ჩრდილები ხან ერთდებოდნენ, ხან ცალკევდებოდნენ, მერე კი ზღვა უგრილებდა მათ აფორიაქებულ სიწყნარებას... იათასაც მოუნდა ზღვაზე. ლამაზი ქალები ზღვაზე ხომ უფრო ლამაზები ჩანან. ყველაფერი ლამაზია. სანამ ბანაობის სეზონი დადგებოდეს. ახლა ყველაფერი უფრო პოეტურია, დადიან, ეალერსებიან კიპარისებს, მწყურვალედ დაჰყურებენ ზღვას... მერე კი...

ლამაზია ზღვა.

სოფელი? ყანები, მოლივლივე ჩაის პლანტაციები...

რა გვიან დამთავრდა წუხელ კრება. მაინც რამდენი ილაპარაკა თავმჯდომარემ, თუმცა კაცი არ დაჩენილა, სიტყვით რომ არ გამოსულიყო და... მერე იათაც. რა ექნა, თავი არ გაანებეს, გინდა თუ არა, გაგვიზიარე შენი გამოცდილებათ.

რა უნდა ექნა? ჰოდა... ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თვითონაც უკვირდა. წელს ხუთ ტონა ჩაის მოვკრეფ სამსახურთან ერთადო, რომ თქვა, თავმჯდომარემ აღტაცებული თვალებით გადმოხედა. აქა-იქ ტამიც კი დაუკრეს. მერე... ბიბლიოთეკის შენობა უვარგისია, წიგნებს საკმაო რაოდენობით არ ვიძენთ, არ ვზრუნავთ ახალგაზრდობის კულტურული აღზრდისათვის, გვყავს უსაქმურებო — თავმჯდომარე მოიღუშა. კომკავშირის მდივანმა თავი ჩაჰკიდა.

— სწორია, სწორია! — ისმოდა დარბაზიდან.

მერე გზაზე კომკავშირის მდივანი დაეწია.

რა გაზვიადებული ლაპარაკი იცის ამ ბიჭმა! ეს ასე უნდა გავაკეთოთ, ჩვენ ვართ რაცა ვართო. სოფელი სამოთხედ უნდა გადავქციოთო. ნამდვილად კი? თავი ვერ მოაბა მუშაობას. აბა სად სცალია, მგონი კრებაზეც კი წერდა რაღაცას. სოფლის კორესპონდენტია და... ლექსებსაც რომ წერს? თუმცა... სიყვარული ვის არ აწერინებს ლექსებს!

— იათო, ხვალ გაზეთში გამოგჭიმავთ, ამაღამვე ჩავუჯდები ნარკვევს.

— ლიაზე რომ დაწერე, ცისფერი თვალები უდიდოდაო, გახსოვს? მეორე დღეს მთელი სოფელი იცინოდა, ამისთანა აღმასისკეკალ გოგოს იმ მაყვლისფერ თვალებში რაფერ ვერ შეხედაო. ჩემზეც ასე არ დაგვიმართოს!

„შენი თვალები ვის დაავიწყდებაო“, უთხრა ბიჭმა და ტუბილად გაუღიმა. დამშვიდობებისას ხელი გაუწოდა. „ცივი ხელები გაქვს, გული თბილი გექნებაო“ და დაატანა: „კი გამაყრიტიკე, მარა მაინც არ მეწყინა“.

მიჰქრის მატარებელი. საცაა გვირაბს გასცდება.

მიჰქრიან ხეები, სახლები, ეზოები...

ხვალ სისხამ დილით უნდა გავიდეს ჩაიში, თორემ ფოთოლი გაუხეშდება მერე ბიბლიოთეკაშიც უნდა ჩავიდეს, თორემ სოფლის გოგო-ბიჭე-

ბი გაგიჟდებიან, ჟურნალ-გაზეთები გვინდაო, ჟადრაკი უნდა ვიყიდოთ, თანაც წრის მეცადინეობა აქვს დანიშნული, „ანა ფრანკის დღიური“ უნდა განიხილონ. ჰო, კიდევ ყველას უნდა ურჩიოს, რომ წაიკითხოთ... წაიკითხეთ ფიზკულტურის მასწავლებელსაც ეტყვის. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, მაგრამ ის სოფლის ბიბლიოთეკაში მოდის, იმიზეზებს, აქაოდა, შენთან უფრო მდიდარი ბიბლიოთეკააო... იცის იათამ, იცის მისი ამბავი. განა გუშინწინ რომ მოვიდა, აშკარა სიცრუე არ თქვა? ლორის „საიმედო მომავალი“ მინდაო, ჩვენთან არააო. ათხოვა იათამ, მაშ რა ექნა? ხომ არ ეტყოდა, ძალიან კარგად ვიცი, თქვენმა ბიბლიოთეკარმა ხუთი ცალი რომ მოიტანა სკოლაშიო.

მიჰქრიან ხეები, სახლები, ეზოები...

მაინც რა თვალეები აქვს ფიზკულტურის მასწავლებელს, სულ ზღვას აგონებს... კომკავშირის მდივანი? ჰო, იმასაც კარგი თვალეები აქვს, მაგრამ...

მატარებელი უკვე გვირავს გასცდა... სულ ახლოა სადგური.



ჯემალ ქათამაძე

უოთას

მე ვკოცნი მიწას,
ხასხასა მიწას,

სადაც დახტოდი ჩვილი ფეხებით.
მე მწვანე მესხეთს იმიტომ ვფიცავ
და მიწას ტუჩით მიტომ ვეხები,
რომ აქ გივლია პირველად მგოსანს,
აქ დარწეულა აკვანი შენი.

იქნებ აქ სწერდი „ვეფხისტყაოსანს“,
ათრთოლებული მიჯნურის ხელით;
იქნებ იდექი პეტრას ციხეზე
და თვალებს გჳკრიდა შავი ზღვის ფერი.
იქნებ აქედან მიმოიხედე
და გააოცე ყველა სიმღერით.

იქნებ აქ ჰყავდათ ქაჯებს ნესტანი,
კინტრიშის პირას ტიროდა მოყმე,
ან ტარიელი რკინის მკვნეტავი,
აქ შეებრძოლა ვეფხებს და ლომებს.

იქნებ აქ ქარგე სიბრძნე ნათელი
და მზეს უმღერდი, დაღვრილს ქედებზე.
მე მიხარია, რომ ხარ ქართველი
და უფრო მეტი — მესხი მელექსე.


თუმცა გადაგზნა დროუამი მკაცრი,
 შენ ხალხში გედგა მაგარი ფესვი.
 მიტომ გადარჩა ნათელი აზრი
 და უკვდავება ქართული ლექსის.

შენ აამაღლე ქართველი ერი,
 შემოსე ნიჭით, სინათლით, მზითა.
 ეს დიდი წიგნი, აზრების ჩქერი,
 საუკუნეთა მანძილზე გვზრდიდა.

წიგნი, რომელიც ყველას იმონებს
 და ეშხით სწვდება ზეცის ქონგურებს.
 ჯერ მტრებს ვესროდით ვეფხურ სტრიქონებს
 და მერე ხმლებით ვჩეხდით მომხვედურებს.

თუმცა ვიბრძოდით ასი — ათასთან
 და ბრძოლა იყო უთანასწორო,
 შენი ნესტანი მაინც გადარჩა,
 შენი საფლავი დავკარგეთ მხოლოდ.





შოთა ზოიძე

* * *

მტვერი ავწმინდე წინაპრების სამარხებს მთავარს,
ისევ და ისევ შენ გეძახი, სადა ხარ, თამარ?!
მას შემდეგ, თამარ, თავთავდება რვა საუკუნე...
და ეს ძიება არ თავდება, კვლავ გაჰგუგუნებს.

ვინ იცის, თამარ, ეგ სიტურფე რომ არ გქონოდა...
ვინ იცის, თამარ, მტკიცე ხმალი რომ არ გქონოდა...
და ნუქარდინსა შენი შიში რომ არ ჰქონოდა...
შოთა რუსთაველს შენი ტრფობა რომ არ ჰქონოდა...
იქნება „ვეფხისტყაოსანი“ არც კი გვქონოდა.

ნუ დარდობ, თამარ, შოთას ვარდი კვლავ ივარდება,
ქვეყნად სახელი საფლავივით არ იკარგება!

* * *

გაღებულია ყველა სარკმელი
და შენზე ფიქრებს ველარ გავეძეც,
თვითონ მომძებნის შენზე სათქმელი,
მე შენზე სათქმელს როდი დავეძებ.



მიხეილ გოგობლაძე

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

მათ შარშან გაიცნეს ერთმანეთი.

ახალი ბინის მიღების შემდეგ დათო მშობლებმა მახლობელ სკოლაში მიაბარეს.

ოქტომბერი იწურებოდა.

სხვა სკოლამ, უცხო გარემომ პირველად თავისებურად იმოქმედა. ასე ეგონა, მტრულად, გამომწვევად შეხვდებოდნენ. მოხდა კი პირიქით.

— სახლში მოდიხარ? — ჰკითხა გაკვეთილების დამთავრებისას ელგუჯამ.

— შენ სად ცხოვრობ?

ელგუჯამ ნიშნისმოგებით ჩაიცინა.

— ჩვენ ხომ მეზობლები ვართ.

— მეზობლები?

— ერთ ეზოში ვცხოვრობთ.

ერთად გაუყვნენ ქუჩას, ნელა მიდიოდნენ, ერთმანეთს ეცნობოდნენ.

— მამაჩემი სათევზაო სეინერის კაპიტანია. მეც ძალიან მიყვარს ზღვა,

ზოგჯერ წამიყვანს ხოლმე სათევზაოდ, — ელგუჯა ოცნებას მიეცა, — დედამიწა რომ მიეფარება, უცნაური გრძნობა დაგეუფლება, ასე გგონია, ქვეყანას სამუდამოდ გამოეთხოვე. საითაც გაიხედავ, უსაზღვრო ზღვაა გადაშლილი, ზოგჯერ წყნარი, მშვიდი, ზოგჯერ გახელდება, ცოფსა ყრის. შენ კარგად ცურავ?

— არა, ერთხელ კინალამ დავიხრჩვი.

— შორს შეტოპე?

— ათი მეტრი იქნებოდა ნაპირიდან. ვილაცამ თავზე ხელი დამკრა და

ჩამაყურყუმალავა. ჩაძირულმა დაყვირება ვცადე. პირი რომ გავალე... მოკლედ, ახლოს მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, გავიგუდებოდი.

— მამაშენზე ამბობენ ინჟინერიაო, მართალია?

— ჰო, ის სახლი, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, მამაჩემის დაპროექტებულია.

საუბარში შეუძმწევლად გაიარეს მთელი გზა.

დათოს მოეწონა თანამგზავრი, გულკეთილი, მეგობრული, ხალისიანი ჩანდა. არ იკვეხნიდა, მაგრამ ეტყობოდა, ღონიერი იყო, ისე, სხვათა შორის წამოცდა, აჭიმვავში მარტო მეთერთმეტეკლასელმა ბოლქვაქმ მაჯობაო.

განიერ ეზოში შევიდნენ. ორმოციოდე მეტრის დაშორებით ერთმანეთის პირისპირ თეთრად მოქათქათე ორი ხუთსართულიანი სახლი იდგა. მშენებლობა ახალდამთავრებული იყო, ეზო ჯერ კიდევ არ გაეწმინდათ, უთავბოლოდ ეყარა აგურები, ხე-ტყე, რკინა, კირი და სხვა საშენი მასალა. კალატოზების ერთი ჯგუფი რკინის რიკულებიან ალაყაფსა და ჭიშკარს ამთავრებდა. მეორე ჯგუფი შუა ეზოში აუზს აკეთებდა. ეზოს მეორე მხარე ყაზარმული რაღაც დიდი საწყობის მაღალი კედლით იყო ჩაკეტილი.

— იმ სახლის მეორე სართულის ლოჯია ჩემია, — თითით ანიშნა ელგუჯამ, — რომ გადმოძახხო, გავიგონებ.

— მე ამ სახლში მეოთხე სართულზე ვცხოვრობ.

— გიცი, გუშინ აივანზე დავინახე.

ასე დაშორდნენ.

სალამოს კინოსურათი ნახეს. დათომ შენიშნა, რომ ელგუჯა გატაცებული იყო სათავგადასავლო ამბებით. რამდენიმე ასეთი წიგნიც წაეკითხა.

სახლში რომ დაბრუნდნენ, დათომ თავისთან მიიპატიჟა, დედა და მამა გააგნო.

— ჰაუ, თქვენ რა ბევრი წიგნი გქონიათ?! — გაიკვირვა ელგუჯამ და სქელტანიანი ენციკლოპედიები და ლექსიკონები შეათვალიერა.

შემდეგ ტელეგადაცემა ნახეს.

დილით სკოლაში ერთად წავიდნენ.

* * *

იენისის მიწურულს ქალაქში ერთბაშად ჩამოცხა, ხალხი ჩრდილს ეტანებოდა. ბულვარში ადრე თუ არ დაიჭერდი თადარიგს, დასაკეც სავარძელს ვეღარ იშოვიდი. პლაჟი ჩამოსული დამსვენებლებით გაივსო.

იმ დილით მზე როგორც კი მოადგა ფანჯარებს, ოთახებში ისე დაცხა, სუნთქვა ჭირდა. დათომ წიგნს წამოავლო ხელი და ეზოში ჩავიდა.

ხვიარა მცენარით გადაბურულ ტალავერში არავინ იყო. ეზოში დასადგურებულ მყუდროებას მხოლოდ პატარა შადრევნის ჩხრიალი არღვევდა.

დათო ტალავერქვეშ გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ჟიულ ვერნის წიგნი „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ გაშალა. მოუთმენლად ელოდა გაეგო, რა ბედი ეწია კაპიტან ნემოს.

კითხვამ ისე გაიტაცა დათო, არც კი შეუმჩნევია, როდის შემოვიდა ტალავერში ელგუჯა.



— ზღვაზე არ წავიდეთ?

დათომ წიგნი დაკეცა და ორივე მეგობარი ზღვაზე წავიდა.

ქუჩაში პაპანაქება იდგა, სიცხისაგან ასფალტიც, დარბილებულიყო. გემთსაშენი ქარხნის მხრიდან „პიშჩევიკში“ შევიდნენ. პლაჟზე იმდენი ხალხი ირეოდა, იფიქრებდით, ნახევარი ქალაქი გამოკრეფილაო. აქ აღარ იგრძნობოდა სულის შემხუთავი მხურვალეობა. სუსტი ნიავე შევბას გვრიდა პლაჟზე გაფანტულ ხალხს. ზღვა მშვიდი და უწყინარი ჩანდა. ტალღა ოდნავადაც არ იძროდა, მხოლოდ ზოგჯერ სწრაფმავალი კატერი თუ გადახაზავდა სარკესავით სწორ ზედაპირს.

ათიოდე წუთი მზეზე იყვნენ.

— გვეყოფა, ცოტაზე გავცუროთ. — ელგუჯა წამოდგა. მას დათოც მიჰყვა. წყალბურთის კარებამდე ერთად გასცურეს. გზადაგზა ელგუჯა ასწავლიდა ზურგზე წოლას, მხარულს, დათო უსმენდა და ილიმებოდა. შორს წასვლა მაინც ვერ გაბედა, ადრე დაიღალა და ნაპირისაკენ გამოსწია.

ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯაც დაბრუნდა.

— შეხედე, გოგონები მესამე კოშკიდან ხტებიან, წამოდი, ჩემი კლასიც გაჩვენო. — თქვა ელგუჯამ.

იქით გადაინაცვლეს.

კოშკზე გოგონები ვარჯიშობდნენ. გარეშეებს არ უშვებდნენ. მწვრთნელი სპორტსმენ ქალიშვილებს რაღაც მითითებებს აძლევდა, ზოგი თავით ეშვებოდა, ზოგი ფეხებზე. მთელი პლაჟი მათ ოსტატობას შესცქეროდა.

მწვრთნელის წასვლის შემდეგ კოშკს ბიჭები მიაწყდნენ, ყველა სართულიდან ზედიზედ ეშვებოდნენ.

ელგუჯა კიბეს აჰყვა, კოშკის თავზე მოექცა, ამაყად გადმოხედა სივრცეს. ხალხში დათო შენიშნა, ხელის აწევით მიესალმა. შემდეგ თავის ჯერს დაელოდა. ზღრუბლთან მივიდა, ჰაერში გადმოეკიდა, მშვილდით მოიხარა, ორჯერ ყირაზე გადავიდა; როცა წყლის ზედაპირს დაუახლოვდა, ხელები შუბებივით გამართა და სიღრმეში შთაინთქა.

— დღეს ყველას აჯობე! — მოუწონა დათომ.

ელგუჯამ კმაყოფილებით ჩაილიმა.

— გადმოხტომის დროს შიში არ გიპყრობს?

— სულაც არა. ასე მგონია, ფრთები მაქვს.

— კარგი ერთი, რა!

— ძმობას გეფიცები. გინდა, შენც წამოდი, იქიდან კარგი გადმოსახედა.

დათო ფეხდაფეხ მიჰყვა.

ელგუჯა მართალი აღმოჩნდა. დათოს ირგვლივ თვალწარმტაცი სული-
თი გადაეშალა, უცნაურად აჭრელებული, მუქლურჯად და ნაცრისფერად
მოხატული, მზის სხივებზე ოდნავ ალაპლაპებული უსასრულო მსოფლიო.
წყნარ სივრცეს ისე სერავდა ნაგები, როგორც ცის კამარას მტრედების
გუნდი. აქეთ, მხარმარჯვნივ, მოჩანდა სამგზავრო და სატვირთო ნავსად-
გური. თეთრად მოქათქათე ვეება ტანკერები რეიდზე იდგა და ნავთობით
იტვირთებოდა.

— დათო, ნახვამდის, — დაუძახა ელგუჯამ. დათომ მასთან მიიბრინა.
ელგუჯა კოშკის პირას იდგა, ქვევით კი უძირო ზღვა ვერაგულად გასუსუ-
ლიყო, თითქმის მსხვერპლს დარაჯობდა. დათოს გული შეუქანდა და უკან
დაიწია. იმავე დროს ელგუჯამ ჰაერში კამარა შეჰკრა, ჯერ სივრცეში გა-
მოეკიდა, შემდეგ ქვევით ჩაიკარგა. ნახტომის დროს კოშკი ისე შეზანზარ-
და, რომ შეშინებული დათო მოაჯირს ჩაეკიდა. ძარღვებში ცივი ჟრუანტე-
ლი ჩაედვარა.

კოშკის თავზე კისკისით სამი გოგონა ამოიჭრა.

— ნუთუ ესენი ჩემზე გამბედავები არიან? გადახტებიან? — გაი-
ფიქრა დათომ.

ისინი არც შეჩერებულან, წკრიალა კისკისიც არ შეუწყვეტიათ, წე-
რობეებით ერთმანეთის მიყოლებით ჰაერში შესცურეს. დათოს უნდოდა,
მათთვის იქ, სივრცეში შეევლო თვალი, გადასახტომ ზღრუბლს მიუახ-
ლოვდა.

სწორედ მაშინ ვიდაცამ ზურგიდან მძლავრად უბიძგა. კოშკი ისედაც
ირწეოდა, დათო უკვე ხახადაღებულ უფესკრულში გადაიხარა, სცადა წო-
ნასწორობა აღედგინა, ხელი მოაჯირისაკენ გაიწოდა, მაგრამ ვერ მიწვდა.
შიშმა ერთბაშად მოადუნა. კოშკს რომ მოწყდა, ჰაერში ჰორიზონტალუ-
რად იყო გაწოლილი.

პლაჟს განწირული ადამიანის ხმამ გადაურბინა. წამით ყველამ შეასწ-
რო თვალი უბედურებას. ხალხი ინსტინქტურად ფეხზე წამოიჭრა.

— დათო, გასწორდი! — ხალხის ჩიჩქოლი ერთბაშად დაფარა ელგუ-
ჯას ყვირილმა.

ძნელი სათქმელია. გაიგონა თუ არა დათომ ელგუჯას ყვირილი, მაგ-
რამ წყალში ჩავარდნამდე სხეულს მდგომარეობა უცვალა, ოდნავ უკან გა-
დაიხარა და მარჯვენა მხრით დაეცა.

ელგუჯა პირველი შეიჭრა ზღვაში, მას სხვებიც მიყვნენ. ერთი წუთის
შემდეგ გულწასული დათო ნაპირზე გამოიყვანეს.

იქვე გაჩნდნენ ექიმი და მწვრთნელი. წელან გოგონებს რომ ავარჯი-
შებლა.

ექიმმა მხარი და მუცელი გაუსინჯა. შებერილი არ იყო, არც მხარს
იტკივებდა, მხოლოდ მარჯვენა ყურთან სისხლი ჟონავდა.

დათოს ნემსი გაუკეთეს, დაზელით მოაცოცხლეს, ცოტა წყალმცხარა და
დმოაღვრევინეს.

— როგორ ხარ, შვილო? — გამოელაპარაკა ექიმი.

დათომ გაფითრებული ტუჩები ააცმაცუნა, პირი ოდნავ გააღო, უნ-
დოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ყელიდან ხმის ნაცვლად ხრიალი აღმოხდა.

ექიმს შიშით თვალები გაუფართოვდა, ჯერ მწვრთნელს გადახედა.
შემდეგ ისევ დათოს მიუბრუნდა:

— შვილო, ხმა ამოიღე, გვითხარი რა გაწუხებს?

დათომ თავს ძალა დაატანა, პაერი ჩაისუნთქა, უნდოდა რაღაც ეთქვა,
მაგრამ ისევ ყრუდ ამოიხრიალა.

— ყელი გტკივა? ხმა არ გაქვს? შვილო, გესმის? — ექიმმა ახლა უფ-
რო მკაცრად უთხრა: — თავს ძალა დაატანე, ახლავე, ახლავე ხმა ამოიღე!

ექიმის საეჭვო ჩაიციებამ დათო შეამშოთა, მისი თვალების ჩვეულებ-
რივი სევდიანი გამოხედვა ცივმა, უსიცოცხლო სიყვითლემ შესცვალა. იგი
მკლავებს დაეყრდნო და წამოიწია, პირი გააღო, ისევ ღრმად ჩაისუნთქა,
უნდოდა ხმა დაებრუნებინა, დაეყვირა, მაგრამ...

— სასწრაფო დახმარება მოვიდა, — თქვა ვილცამ.

საკაცეს ხელი წამოავლეს.

— ვგონებ, ენა ჩაუვარდა. — სასწრაფო დახმარების ექიმს გადაულა-
პარაკა ადგილობრივმა ექიმმა.

ელგუჯა სასწრაფო დახმარების ექიმს მიეჭრა.

— ძია, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მიიყვანეთ. ამისი დედა
იქ მუშაობს, ბუღალტერია.

ავტომანქანა წავიდა. ხალხი გაიფანტა.

ელგუჯას მეზობლის ბიჭი თემური წამოეწია.

— რა იტკინა დათომ, რა თქვეს?

— ამბობენ, ენა ჩაუვარდაო.

— ენის ჩავარდნა რაგორ იქნება? სად უნდა ჩავარდნილიყო, მუ-
ცელში?

— შენ „ქაჯანა“ წაგიკითხავს?

— არა.

— ჰოდა, წაიკითხე და მიხვდები.

* * *

უმჯობესობა რომ არ დაეტყო, დათო თბილისში წაიყვანეს.

მოხუცმა პროფესორმა დეტალურად გამოიკითხა ავადმყოფობის მი-
ზეზი, ყურადღებით გასინჯა დათო, შემდეგ ტკბილი ბუბუნა ხმით დაიწყო:

— მწვავე რეაქცია ელდა-შეშინებაზე, რაც ზოგჯერ მუწურობას იწვევს,
გვხვდება თავზარის დაცემის შემთხვევებში, როდესაც ადამიანის სიცოცხ-
ლე საფრთხეშია. აქაც იგივე მდგომარეობა გვაქვს. ფსიქიკური ტრავმის,

მძიმე უარყოფითი განცდის შედეგად, მით უფრო, თუ ეს უეცარი ხსენებისაა, ხდება ტვინის, კერძოდ, მეტყველების უბნის ღრმა შეკავება, მაგრამ ეს შეკავებაა და არა დაზიანება, რაც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე კვირას, ან რამდენიმე თვეს სათანადო მკურნალობითა და ხელშეწყობით ავადმყოფი თავს დააღწევს ასეთ მდგომარეობას.

პროფესორმა დათოს ნერვული სისტემის დამამშვიდებელი წამლები გამოუწერა, აბაზანები და სამკურნალო ფიზკულტურა დაუნიშნა. რამდენიმეჯერ გაიმეორა, ავადმყოფს სულიერი სიმშვიდის, ხალისიანი ატმოსფერო შეუქმენით ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები იფიქროს, როგორმე თავი დააღწიოს მძიმე განცდებსო.

ერთი კვირის შემდეგ დათო უკანვე დაბრუნდა.

მეორე დღეს ზღვიდან დაბრუნებულ ელგუჯას სახლში დეიდა ქეთევანი დახვდა.

— არ ვიცი რა გზას დავადგე, — ქვითინებდა გატანჯული ქალი, — ასე ბიჭი ჭლექში ჩამივარდება, არაფერს ჭამს, სახლიდან ფეხის გადადგმაც არ უნდა, ვერ დავითანხმეთ, რომ აგარაკზე წაიყვანოთ.

— პროფესორებმა რა თქვეს? — შეეკითხა ელგუჯას დედა.

— ეჰ, — ღრმად ამოიხვნეშა დეიდა ქეთევანმა, წამლები და პროცედურები დაუნიშნეს, მაგრამ გამომჯობინება ოდნავადაც არ ეტყობა.

— გამიგონია, შიშნაჭამს შეშინება უშველისო, — თქვა ელგუჯას დედამ.

— ათას რამეს მირჩევენ, მაგრამ თვითონ არ ვიცი რომელ გზას დავადგე.

წასვლის წინ დეიდა ქეთევანმა ელგუჯას სთხოვა, იქნებ დაიყოლო, სადმე წაიყვანე, იხეტიალეთ, ითამაშეთ, დამეხმარე, როგორმე ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანო.

— აქ, გამოკეტილ ოთახში ღმერთები არ გამოგეცხადებიან, — ეუბნებოდა ელგუჯა დათოს, — რაც ექიმმა გირჩია, ის გააკეთე, ნუ ხარ თავის უამური, შენი ჭირვეულობა ქეთევან დეიდაზეც ცუდად მოქმედებს.

როგორც იქნა, ელგუჯამ დაითანხმა, მოსე ბაბუას წვეოდნენ ბოსტანში.

ქალაქგარეთ ავტობუსით გაემართნენ. შემდეგ მდინარეს ფეხით აჰყვნენ. ბოსტანამდე ერთი კილომეტრი უნდა გაევიდნენ.

გვალვას მდინარე დაემრო, ლელეს დამსგავსებოდა. რიყის ქვებით დაფარული განიერი კალაპოტი თეთრად ქათქათებდა.

— დათო, მოდი ვითევზაოთ, იქნებ რაიმე დავიჭიროთ, ბაბუას გაეხარდება, — შესთავაზა ელგუჯამ.

დათომ გაიღიმა და თავი დაუქნია.

ელგუჯამ ფეხსაცმელი, შარვალი და პერანგი გაიხადა, ერთად დაახვია,

ქამრით შეჰკრა და დათოს გადაჰკიდა, თვითონ დინებას აჰყვა. საცა მატყლა/ საგუბრებში დიდ ქვებს ნახავდა, ხელს შეაცურებდა, ხვრელებს ფრეშად ლად სინჯავდა.

— ოჰო, ჰოო, — მხიარულად შესძახა და პირველი ნადავლი დათოსა-
კენ რიყეზე გაიქნია. თევზი ცხელ ქვიშაზე აფართხალდა, ლაყუჩები უთრ-
თოდა, პირს უსასოოდ აღებდა.

მალე მეორეც ამოიქნია. მესამეც. შემდეგ თხმელის წვრილი ტოტი
გამოსტეხა, გაასუფთავა, წვერი წაუმახვილა და დათოს ასწავლა, თევზები
ლაყუჩით როგორ წამოეგო მასზე. ერთ საათში მთელი აკიდო დაიჭირეს.

ბოლოს მოსე ბაბუას ბოსტანიც გამოჩნდა.

მოსე ბაბუა სოფლიდან ომამდე ჩამოსახლებულიყო და რომელიღაც
ქარხანაში დაეწყო მუშაობა. მიწას შეჩვეულ გლეხს გასჭირვებოდა ჩარხე-
ბთან ტრიალი. გული ისევ სოფლისაკენ მიუწევდა, მაგრამ ცოლ-შვილი
ვერ დაიყოლა. მაშინ მახლობელ საბჭოთა მეურნეობას შეეკედლა. პირვე-
ლად პლანტაციებში მუშაობდა, შემდეგ ბოსტანში გადავიდა.

ბოსტანს სამი ჰექტარი ეკავა. რას არ ნახავდით იქ — კიტრი, პამიდო-
რი, საზამთრო, კომბოსტო, ხეხილი და ვინ მოსთვლის რა არ იყო!

ელგუჯა და დათო შეეჩვივნენ აქაურობას, დაბურულ ხეივნებში სიც-
ხეც არ იგრძნობოდა. ზოგჯერ მოსე ბაბუას მუშაობაშიც შევლოდნენ.

ბიჭებს განსაკუთრებით ბარსიკასთან თამაში უყვარდათ. ბარსიკას ვე-
ებერთელა „ოვჩარკას“ ეძახდნენ. როცა იყიდეს, ერთი ციცქნა იყო. ელგუ-
ჯამ დაუწყო გაწვრთნა, მასთან თამაშით ერთობოდა. სახელიც თვითონ
შეუტრია.

შარშან დათომ პირველად რომ ნახა, ბარსიკა უკვე ნამდვილი ნაგაზი
იყო, სუფთა ნაცრისფერი ბეწვი ისე უბრწყინავდა, თითქოს მზის სხივებს
ირეკლავდა. დიდრონი მკაცრი თვალები ჰქონდა. ვინმეს რომ შეჰყევდა,
გრძელი ჯაგარი ყალყზე დაუდგებოდა. ხმაც მძლავრი, ხაფიანი ჰქონდა.

რატომღაც პირველი შეხვედრისთანვე დათოს კარგი თვალთ შეხედა,
ფეხებში გაებლანდა, ხელი გაულოკა. სახელი რომ დაუძახა, უფრო ალერ-
სიანი გახდა, უკანა ფეხებზე წამოიმართა და წინა თათებით გულ-მკერდზე
ძიებუტა. იგი იმდენად დიდი და ღონიერი იყო, რომ დათო ძლივს დაუ-
მაგრდა.

მერე დათო ისე არ მივიდოდა, კამფეტები არ მიეტანა, ეს კი საკმარი-
სი გახდა, ბარსიკას. გული სამუდამოდ რომ მოეგო. ბარსიკა ბიჭებთან უფ-
რო ლაღობდა, მათთან ერჩია, მოსე ბაბუა მოწყენილობის დროს თუ გა-
მოელაპარაკებოდა. საკმელს არ აკლებდა, ალერსს კი მისთვის ვერ იმეტე-
ბდა, ძაღლს რა მოფერება უნდაო, იტყოდა.

იმ დღეს ბიჭების მიახლოება ბარსიკამ შორიდანვე იგრძნო და სიხა-
რულით გაბმულ წკავწკავს მოჰყვა. დათო კამფეტებით გაუმასპინძლა.

თასმიდან ჯაჭვი მოხსნეს. ბარსიკა მაშინვე ბიჭებს გაეთამაში. განსაკუთრებით დათო დაუტკბა. ეალერსებოდა, ბეწვს უვარცხნიდა, თვალბრწყინვალე უსიტყვოდ ჩასცქეროდა. თითქოს ბარსიკამაც იგრძნო, დათოს ხმის მიხედვით ალარ შეეძლო, ყოველმხრივ ნებაზე მიჰყვია, ფეხებში ებლანდებოდა, მორჩილად შესციცინებდა, შემდეგ ბაღში განმარტოვდნენ.

უკან რომ დაბრუნდნენ, დათოს ეტყობოდა, რომ ეტირნა. გამოთხოვების წინ ბაბუა მოსემ დათოს უთხრა, სმირად მოდიო, გამახარეთო.

დათომ გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

მეორე დღეს, როცა ელგუჯა მეგობართან ავიდა, დათო მხიარულად მიეგება და ქალაღზე დაუწერა:

„წუხელ ბარსიკა მესიზმრა. სადღაც უღრან ტყეში მოვხვდით, რუხი დათვები დაგვესხნენ თავს, ბარსიკა გააფთრებით ებრძოდა მხეცებს. მისი ყეფა მთელ ტყეს აყრუებდა, მეც მინდოდა დამეყვირა, იქნებ ვინმესთვის ხმა მიმეწვდინა, მაგრამ...“

— ასეც რომ ყოფილიყო, ბარსიკა მაინც არ მიგატოვებდა.

ამის შემდეგ ისინი თითქმის ყოველდღე მიდიოდნენ მოსე ბაბუასთან. დეიდა ქეთევანი ხედავდა, რომ დათოს მხოლოდ იქით მიუხაროდა, იქ მეტ წვებას, სულის მეტ სიმწვიდეს გრძნობდა. მოსე ბაბუა და ელგუჯა იმასაც ამჩნევდნენ, რომ დათო ადრინდელთან შედარებით ბარსიკასთან უფრო ხანგრძლივად რჩებოდა. ეთამაშებოდა, მასთან განმარტოებას ცდილობდა.

მოსე ბაბუამ ბიჭებს ქალაქში ბარსიკას წაყვანის ნებაც კი მისცა. მთელი გზა თასმით დათოს მიჰყავდა.

ლამით ბარსიკა სარდაფში ჩაიყვანეს, მაგრამ ამაყმა ნაგაზმა ასეთი სადგომი არ იკადრა, იქაურობა ყეფით აიკლო. მაშინ დათომ აივანზე თექის ნაჭერი დაუგო და გვიან ღამემდე მასთან დარჩა.

ბარსიკა რომ ისევ მიჰგვარეს მოსე ბაბუას, დათომ კვლავ მოიწყინა. იგი ერთობოდა ნაგაზთან, ჭიდაობდა, ემალებოდა, ორ ფეხზე დადგომა-სა და თათით მისალმებას ასწავლიდა, გულსაც უხსნიდა. ეტყობოდა, ნაგაზსაც სიამოვნებდა ასეთი ნებივრობა და გამოთხოვებისას დათოს სევდიანი თვალებით შეჰხედა, უძინელდებოდა განშორება.

დათომ ბლოკნოტი ამოიღო და ფურცელზე წააწერა: „სთხოვე მოსე ბაბუას, გვაჩუქოს“.

— კი, შვილო. — მოხუცი მაშინვე დაეთანხმა. — ოღონდ შენ გაიხარე და...

ბიჭები სირბილით გაჰყვნენ თემშარას.

ოპ, როგორ უნდოდა ბარსიკასათვის გაეგებინებინა, რომ იგი უკვე მას ეკუთვნის, მასთან იცხოვრებს. არც მოსე ბაბუას დაივიწყებენ, სმირად ეწვევიან.

დათოს სიხარული მთელმა ეზომ გაიზიარა. იმავე დღესვე დაიწყო
ყრუ კედელთან ბარსიკასათვის ჭიხური აეგოთ.

დაიწყო ფიცრის, თუნუქის, ლურსმნის შეგროვება. ელგუჯა ხელმძღვანელობდა.

მალე ბარსიკა მთელ ეზოს გაუშინაურდა. ყველას ცნობდა. მისთვის
იმდენი საჭმელი მიჰქონდათ, ძაღლების ჯოგს შეინახავდა. იგი ელგუჯა-
სა და დათოს ყველგან დაჰყვებოდა, ფეხბურთის მოედანზეც, ზღვაზეც,
მოსე ბაბუასთანაც, პურის მაღაზიაშიც კი. დღისით ეზოში თუნდაც უც-
ნობი შემოსულიყო, არაფერს ეტყოდა, ღამით კი... ერთხელ ეზო ერთი
ასეთი სურათის მოწმე გახდა: ქურდს ქუჩის მხრიდან ფანჯარა გაღო და
ოთახში შეპარულიყო. ნაქურდალით ჩემოდნები აეცსო. იმავე გზით და-
ბრუნება ვერ გაებედა, გადაეწყვიტა ეზოდან გაუჩინარებულებო. მაგრამ
ბარსიკას ვერსად გაექცა. ამის შემდეგ ბარსიკას იმედით პირველი სარ-
თულის მცხოვრებლები ეზოს მხრიდან ფანჯარას ღამითაც ღიად ტოვებდ-
ნენ.

* * *

პირველი სექტემბერი მოახლოვდა, საცაა მოსწავლეები მშობლიურ
სკოლას დაუბრუნდებიან, დათო კი... ენაჩავარდნილი სად გამოჩნდება,
ვის ეჩვენება?!

ნასადილევს აივანზე გამოვიდა. ეზო უცნაურად გახალისებული ეჩვენ-
ნა. აგარაკიდან ბევრი დაბრუნებულებო. მეზობლები ჩრდილში ისხდნენ,
ერთმანეთის ამბავს კითხულობდნენ.

შუა ეზოში შადრევნის აუზი პირთამდე იყო სავსე. ორ ბიჭუნას ფა-
ნერის ნაჭერზე ჩხირის ანძა აღემატა და ზედ ქალღმრთის „იალქნები“
დაემაგრებინა. ისინი სულის შებერვით „აჯიბრებდნენ“ თავის „გემებს“.
მესამემ მაღაზიაში ნაყიდი დასაქოქფრთიანი „კატერი“ მოიტანა და წყა-
ლში ჩაუშვა. „კატერი“ მძლავრად გაიჭრა წინ, „იალქნიანებს“ დაეჯახა
და გვერდზე გაჰყარა. ეს რა ნაფოტები მოგიტანიათო, „კატერის“ პა-
ტრონმა იალქნიან ფანერებს ხელი წაავლო და გადაყარა. ბიჭები აიშრიზ-
ნენ, „კატერის“ პატრონი ძირს დასცეს და, სანამ გააზავებდნენ, რამდე-
ნიმეჯერ მუშტიც უთაქეს. გალახულს დედა წამოეშველა, იგი მესამე სა-
რთულის აივანზე გადმოდგა და ბიჭებს დაემუქრა, თუ ჩამოვედი, ყურებს
დაგაჭრით, თქვე ცხვირმოუხოცავებო.

ბიჭებს ბუტიაობა არ დაუწყიათ, უმაღლეს მოუღბათ გული და თა-
მაში განაგრძეს.

სანამ ბიჭები ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, დათომ შენიშნა პირვე-
ლი სართულის ლოჯიას გადმოყრდნობილი ჯულიეტა, რომელსაც ეზოში
ძეტსახელად „სილიამაზის ქალღმერთს“ ეძახდნენ. ჯულიეტა ფარული
სიამოვნებით შეჰყურებდა მოჩხუბრებს.

ვინ არ ცხოვრობდა ამ ეზოში — ექიმები, მეზღვაურები, იურისტები, ინჟინრები, პენსიონერები. ჰქონდა თუ ლხინში, ყველა ოჯახი მცხოვრობდა ერთმანეთს, მხოლოდ ჯულიეტა იყო ყველასაგან გარიყული, ათვალწუნებული, მისთვის მისაღმებაც კი სათაკილოდ მიაჩნდათ.

წინათ ჯულიეტა რომელიღაც ქალთა სალონში მუშაობდა, ქურდობისათვის სალონიდან გამოუგდიათ, მაგრამ გული არ გასტეხია. ახლა იგი ნელსაცხებლით ვაჭრობს. იმასაც ამბობენ, რომ მასთან საექვო ხალხი დადისო. განსაკუთრებით ამიტომ შეიძულა მთელმა ეზომ.

ჯულიეტა მარტო ცხოვრობს. ერთადერთი კატის მეტი ამქვეყნად არაფერი გააჩნია. კატა ყოვანივით შავია, ჯულიეტა კი მას რატომღაც ენძელას ეძახის. კატაც და ჯულიეტაც ერთნაირად ეჩაგრებათ ეზოში. ორივე ქურდია, ორივე ზღვაშია გადასაგდებო, ამბობენ. ერთხელ ბიჭებმა ჯულიეტას კატა ავტობუსით ქალაქგარეთ გაიყვანეს. უნდა გენახათ, ჯულიეტა რას გავდა! ლამის გაზეთში გამოაცხადა, ათი მანეთი შეპირდა, კატას ვინც ნახავდა და მიუყვანდა. ორი დღის შემდეგ კატა თავისით მოვიდა ისეთი კხავილი ასტეხა, მთელმა ეზომ გაიგო.

პატარები ისევ ჩვეულებრივ ერთობოდნენ, უფროსები გრძელ სკამებზე ისხდნენ და მასლაათობდნენ. ვილაცამ ოთახში მყოფ ელგუჯას გასძახა, ენძელამ თევზები შევიჭამაო. ელგუჯამ გააფრთხილა, არ დააფრთხოთო. დათომ იქით გაიხედა, მარო დეიდას ლოჯიაში სამზეურზე რამდენიმე ხმელი თევზი გამოეკიდა. ჯულიეტას კატას თევზებისათვის კუდები უკვე ჩამოეჭამა. ელგუჯა მსუნაგს ფეხაკრეფით მიეპარა და იატაკის საწმენდი ტილოს ჯოხი ისეთი ძალით დაარტყა, რომ დარეტიანებული ენძელა მოაჩირიდან გადავარდა და ასფალტს დაენარცხა. იქვე ბარსიკა იწვა. კატა ერთბაშად წამოხტა და გაქცევა სცადა, მაგრამ ბარსიკამ არ აცალა, ზემოდან დააცხრა. ენძელამ დაიჩხავლა, მკერდით გადმოტრიალდა და ბასრი კლანჭებით ბარსიკას დრუნჩზე ეტაკა.

— პირი არ ახლო, შე ცოფიანო! — აივნიდან ძალს მკივანა ხმით გადმოსძახა ჯულიეტამ, მაგრამ ტკივილისაგან გაავებული ბარსიკას დამშვიდება ადვილი აღარ იყო. იგი წამით მოსცილდა კატას, რომ ბასრი კლანჭებისაგან თავი დაეღწია. როგორც კი კატა წამოდგა და გაქცევა სცადა, ბარსიკა განმეორებით დააცხრა. ბრძოლა ერთ წუთსაც არ გაგრძელებულა. როცა ბარსიკამ პირი გაუშვა, კატას წამოდგომა აღარ შეეძლო, სასიკვდილოდ ასავსავებდა ფეხებს.

დერეფანში ქვის კიბეზე ქალის ფოსტლების ჩქარი ტყაპუნი გაისმა. მიხედნენ, რომ ჯულიეტა ჩამორბოდა.

* * *

პირველი სექტემბრის დილა გათენდა.
რვა საათზე ელგუჯა დათოსთან ავიდა.



— პა, მზად ხარ? წავიდეთ!

დათომ ხელი გაუქნია, არ მოვდივარო.

— როგორ თუ არ მოდიხარ, აბა, სახლში რა უნდა გააკეთებ? რამას ჩამორჩები, განკურნების შემდეგ რაღას იზამ, წელიწადს გააცდენ?

„ოღონდ მოვრჩებოდე, დღელამეს გავასწორობ“, გაიფიქრა დათომ. ელგუჯას კი ფურცელზე მთრთოლვარე ხელით წაუწერა: „წადი, ნუ აგვიანებ, გაკვეთილები ყურადღებით მოისმინე, შემდეგ მე ამიხსენი“.

— არაფერიც. — ხმას აუწია ელგუჯამ, — თუ არ წამოხვალ, არც მე წავალ. — ჩანთა დივანზე დაადგო.

ელგუჯამ გადაწყვიტა, რამდენიმე დღე მასაც გაეცდინა, იქნებ ამან აიძულოს სკოლას დაუბრუნდესო. მაგრამ გადაიფიქრა: უმჯობესია მთელი კლასი ფეხზე დავაყენო, ერთად მოვიდეთ და დავითანხმოთო.

ელგუჯა წავიდა.

დათო ფანჯარასთან ფარდის უკან დადგა.

ხალისიანი, მზითა და სიცოცხლით სავსე დილა იდგა. ჟრიაბიერი. მხიარული გადაძახილი ისმოდა, მთელი ქუჩა ბავშვებს დაეპყროთ. საითაც არ გაიხედავდით, ყველგან ისინი მოჩანდნენ, ხანგრძლივი განშორების შემდეგ ერთმანეთს მაგრად ართმევდნენ ხელს.

ელგუჯამ დერეფანი გაიბრინა. ქუჩაში რომ გავიდა, ფანჯრებს ამოხედა. ფარდის უკან დათო ვერ შენიშნა, დაღვრემილი გაუდგა გზას. დათოს ცრემლი მოერიდა, ფარდას მოცილდა. სავარძელში ჩაეშვა და აქვითინდა.

საათს შეხედა. ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. დათოს ცნობიერებაში ჩაესმა სკოლის პირველი ზარის იდუმალი წკრიალი. იგი წარმოსახვით ხედავდა თავის სკოლას. აი, სკოლის ეზოში ისეთი ზუზუნის, თითქოს ვეებერთელა სკა ყოფილიყო. დერეფნის მხრიდან მათკენ გამოემართნენ მასწავლებლები. ისინი კეთილი, მხიარული, მშობლიური თვალებით შეჰყურებენ სავსე ეზოს... დირექტორი ბავშვებს ულოცავს ახალ სასწავლო წელს... იწყება პირველი გაკვეთილი. მერხები თანდათან შეივსო. მხოლოდ ერთგან წინა მერხი ისე მოჩანს, თითქოს მეორე ნახევარი უღმობელ ძალას ხმლით მოეკვეთოს. ეს ხომ ჩხეიძის ადგილია, სადა არის ჩხეიძე?

ამ დროს დათოს გარკვევით ჩაესმა თავისი გვარი, ვილაც ცივი. გამჭოლავი ხმით კითხულობდა.

ოთახში ცხელოდა, დათო ადგა და აივანზე გავიდა.

სუფთა ჰაერზე ყოფნა ესიამოვნა, დასაყვე სავარძელში ჩაეშვა.

ეზოში მყუდროებას დაესადგურებინა. მზის სხივებს ხვიაარას ფოთლების ჩრდილებით მოეხატა მოასფალტებული ეზო და სახლის კედლები.

დათო ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

ეზოდან კარის ყრუ ჭრიალი თუ რაღაც მსგავსი ხმა მოესმა. აივანზე
რიკულეებში გაიჭვრიტა.

მოპირისპირე სახლის დერეფანთან ლანდმა გაიელვა. ლანდმა შეძვნილი
მიეკრა და ეზო შეათვალიერა. ქალის ფიგურა გარკვევით გამოჩნდა,
ნიაზი ხალათს უფრიალებდა.

ვინ უნდა იყოს, ან რა განუზრახავს?

დათომ ყურადღება დაძაბა. რაკი დარწმუნდა, ეზოში არავინ იყო,
ქალი ფრთხილად გაჰყვა კედელს.

დათომ ჯულიეტა იცნო.

ვის ემალება, ან რა განუზრახავს?

რაღა ბარსიკას სადგომისაკენ აიღო გეზი, აღარ ეშინია?

იქნებ, მისი გულის მოგება გადაუწყვეტია, მაგრამ როგორ?

აჰა, ბარსიკამაც შენიშნა, სადგომთან ყოფილა, წამოდგა, შესახვედ-
რად გამოემართა, რამდენიმე წამიც და, ალბათ, ჯულიეტას კივილი ეზოს
შესძრავს.

საკვირველია, ჯულიეტა ოდნავადაც არ უფრთხის, პირიქით, ხელით
რაღაცას ანიშნებს, თავისთან იხმობს.

სანამ ბარსიკა მიუახლოვდებოდა, ჯულიეტამ ხორცის მოჭრდილი ნა-
ჭერი მიწაზე დაადგო, პატარა ჯამი გადმოაპირქვევა და ზედ რაღაც სითხე
დაღვარა.

— საწამლაგი?!

გაფიქრებისთანავე დათო ინსტინქტურად წამოიჭრა.

ჯულიეტა აჩქარებით დერეფნისაკენ გაბრუნდა. ბარსიკამ ძუნძულით
გამოსწია ულუფის შესათქვლეფად.

ეზოში რომ იყოს, კიდევ ჰო, მეოთხე სართულიდან სანამ ქვევით
ჩაირბენს...

დათოს უნდოდა რაღაც ელონა, მაგრამ რა? საკუთარმა უძღურებამ
საშინლად მოადუნა.

სწორედ ამ დროს ბარსიკა დაღვრილ სითხეს დაეწაფა.

თითქოს მთელი მხამი დათოს სხეულში ჩაედვარაო, მწველი მხურ-
ვალება გულ-მკერდზე ისე შემოენთო, სუნთქვა აღარ შეეძლო, პაერი
აღარ ჰყოფნიდა.

მაგრამ ეს იყო წამიერი განცდა, ერთი გაელვება. უმაღლვე ცნობიერე-
ბა ისე ერთბაშად განიტვირთა რაღაც უმძიმესი, გადამქანცველი, ბურუსი-
ანი განცდისაგან, როგორც ეს კოშმარული სიზმრისაგან თავდაღწეულ
ადამიანს მოსდის.

— დაილუპა? ველარ ვუშველი? — აივანზე ქვითინნარევი ჩურჩული
გაისმა.

დათოს მთელ სხეულში შეაქრქოლა, მან საკუთარი ხმა გაიგონა, აღ-
რინდელი, ნამდვილი ხმა.

ეს როგორ? მაშ, მას შეუძლია ბარსიკას ხმა მიაწვდინოს? აქვე
კიდევაც გადაარჩინოს.

— ბარსა! ბარსა! — გაუბედავად წარმოთქმული ბგერები აივანს ატ-
ვასცილებია.

— ბარსა! ბარსა! — პირველ ცდას მოჰყვა ნერვული ყვირილი, ბე-
დნიერებისა და მწუხარების გამომხატველი ისტერიული ხმა.


ბარსიკამ თქვლეთა შეწყვიტა და გაკვირვებულმა ზევით ამოიხედა.


— ბარსა, პირი არ ახლო, ბარსა ჩემთან!

ბარსიკა დაემორჩილა! დერეფნისაკენ გამოემართა.

დათო კარებს მივარდა, სადარბაზოში გაიჭრა. იგი გარბოდა და თან აზრ-
მიუცემლად გაიძახოდა — „ბარსა, ბარსა, ჩემო ბარსიკა!“ კიბეები მთე-
ლი სისწრაფით ჩაირბინა. გაუკვირდა, რომ ბარსიკა ჩვეულებრივ არ შე-
მოეგება.

ბარსიკა სადარბაზოს კართან იდგა, კუდს ძლივსლა აქნევდა, მუხლები
უცახცახებდა, იმის ძალაც აღარ შერჩენოდა, შემოსასვლელ კარს
მოსწოლოდა და შემოედო. მის მოელვარე, ალერსიან თვალებში თანდათან
ქრებოდა სიცოცხლე.





ბორის მეგრეველი ლხინუი

(ნაწყვეტი პოეზიიდან „ღალი“)

ადლეგრძელებდნენ ვაყს ახალმოსულს
და ფრთებსა შლიდა დარბაზში ლხინი.
გელა ფრთხილობდა, მის ძვირფას კოსტუმს
არ მისწვდომოდა შხეფები ღვინის.

თავი ეჭირა დიდკაცის დარად,
თუმც ბევრს ეცადნენ და ვერ დაათვრეს;
კვლავ მალლა სწევდა და წარამარა
იყურებოდა ოქროს საათზე.

— იცით, რას გეტყვით? — დაიწყო გელამ
და ხმა გაკმინდა სუფრაზე ყველამ:
— მე შევეჩვიე სულ მალე ქალაქს,
იქ ძმაბიჭებიც მყავს ერთგულებად,
მაგრამ მათ შორის მერაბისთანა
მე მეგობარი არ მეგულება.

რომ ცუდი არის ქალაქში ყოფნა,
ახლა ეს ჩვენში ბავშვსაც არ სჯერა.
მუშაობა და ცხოვრება სოფლად
სულ არ შეფერის ნიჭიერ მერაბს.

დღეს იქ ბიძაჩემს საქმე აქვს კარგად,
მყისვე ისრულებს ყოველგვარ წადილს;

ღვინის სარდაფის გამგეა, მაგრამ
ხშირად უფროსთან მიირთმევს სადილს.

ერთხელ, როს სახლში მარტო ვიყავით,
ჩუმად გავანდე მას ჩემი დარდი,
მითხრა: როცა გსურს, ჩამოიყვანე,
მასაც ეუშოვი სარფიან ადგილს.

ვიჯახირებდი სოფელში მუდამ,
ჭკვიანი ბიძა რომ არ მყოლოდა.
მე ახლა მერაბს ეუშველო უნდა
და გავიყვანო ამ ბნელ სოროდან...

მერაბის მამა შექანდა სკამზე,
თვალი აენთო, როგორც ცისკარი:
— თუ მოაგვარებ, გელა, ეგ საქმე
იქნება ჩვენთვის დაუვიწყარი!

თავი ასწია მერაბმა დინჯად:
— მიკვირს, გელა, რომ მსჯელობ ბალღივით;
მთელი გულით გთხოვთ შენ და შენს ბიძას,
ჩემი გულისთვის თავს ნუ დაიღლით!

ახლა რომ ხარობთ ფულის შოვნითა,
მან გაგიდიდა შენ გული ასე?
ვერ მოგინახავთ თქვენთვის სწორი გზა
და მე მაყენებთ ცხოვრების გზაზე?!

ყველა ჭაბუკს რომ შენი გზით ევლო,
ხალხს დამარხავდა ცხოვრება ცოცხლად,
ფულს და ქონებას მაშინ აქვს გემო,
საყვარელ საქმეს აკეთებ როცა!

გელას სახეზე გადაჰკრა ალმა,
შავი თვალები აენთო ბრახით,
მერაბს მოხედა და მიახალა:
— ვერ გაგიგია ცხოვრების აზრი!

ფული თავისით არ ცვივა ციდან,
მის მოხვეჭასაც უნარი უნდა,


ფული თუ არ გაქვს, არ ცხოვრობ მდიდრად,
ხალხი აბუჩად აგიგდებს მუდამ!

— დაფიქრდი, გელა, რას ამბობ, რასა,
ხალხი სიმდიდრეს უარყოფს როდის,
მაგრამ ყოველთვის ადევნებს თვალსა,
თუ ეს სიმდიდრე საიდან მოდის!

თუ კარგ კაცობას, ნათელ გზას ელტვი,
ბნელი ხერხებით
არვის ეხვები.
ხელფასი გქონდა აქ ორჯერ მეტი
და იმ საწყობში რატომ შეხვედი?!

მას, ვინც გადუხვევს ჭეშმარიტ გზიდან,
ცხოვრება მალე მოუგრესს კისერს...
შენ მეგობრობა ჩემთან თუ გინდა,
სოფლად დაიწყებ სამსახურს ისევ!..





გი ლე მოჰასანი

წ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი

ისინი ყოველთვის წარსულზე საუბრობდნენ — ჟანა ყელში მობჯენილი ცრემლებით, როზალია კი წმინდა გლეხური სიღინჯით. მოახლე რამდენიმეჯერ დაუბრუნდა უყურადღებოდ დატოვებული პროცენტების საკითხს. შემდეგ მოითხოვა, რომ საქმეში ჩაუხედავ ჟანას მისთვის გადაებარებიანა დოკუმენტები, რომლებსაც იგი მალავდა, რადგან რცხვენოდა შვილისა.

ამის შემდეგ ერთი კვირის მანძილზე როზალია ყოველდღე მიემგზავრებოდა ფეკამპში, რომ ყველაფერი გაერკვია ნაცნობი ნოტარიუსის მეშვეობით.

შემდეგ, ერთ საღამოს, როცა ქალბატონი ლოგინში ჩააწვინა, სასთუმალთან მიუჯდა მას და პირდაპირ უთხრა:

— ახლა, როცა დაწეწით, ქალბატონო, მოდი ვისაუბროთ.

და მან გააცნო მდგომარეობა.

როცა ყველაფერს გადაიხილდნენ, დარჩებოდა დაახლოებით შვიდი ან რვა ათასი ფრანკი რენტა. მეტი არაფერი.

— რა გაღელვებს, ჩემო გოგო? გვრძნობ, რომ მალე მოვეკვდები. მე ესეც მეყოფა, — უპასუხა ჟანამ.

მაგრამ როზალია გაჯავრდა.

— თქვენ, ქალბატონო, შეიძლება გე-

ყოთ, მაგრამ ბატონ პოლს არაფერს უტოვებთ?

ჟანა აკანკალდა:

— გთხოვ, ნურასოდეს მიხსენებ მას. მე ძლიერ მიმიძიმს მასზე ფიქრი.

— პირიქით, მე სწორედ მასზე ვილაპარაკებ, რადგან თქვენ ასეთი გაუბედავი ხართ, მადამ ჟანა. ახლა იგი სისულელეებს სჩადის, კარგი და პატიოსანი, მაგრამ დრო მოვა და ასე არ იქნება, ცოლს შეირთავს, ეყოლება ბავშვები. იმათ აღსაზრდელად ფული დასჭირდება. ახლა კარგად მომისმინეთ: ჩინარი უნდა გაყიდოთ!...

ჟანა წამოხტა და ლოგინზე დაჯდა:

— გავყიდო ჩინარი! ეს რა გიფიქრია! თ! არასოდეს! ეს-ლა მაკლდა!

მაგრამ როზალიას წარბიც არ შეუხრიია:

— მე გეუბნებით, რომ გაპყიდით მას, ქალბატონო, იმიტომ რომ ასეა საჭირო.

და მან აუხსნა თავისი ანგარიშები, გემები, მოსაზრებები.

ჩინარისა და ორი მოსაზღვრე ფერმის გაყიდვის შემდეგ, ზოლო ყიდვის მსურველი იპოვა უკვე, დარჩება სენ-ლეონარის ოთხი ფერმა, რომლებიც გირათაან განათავისუფლების შემდეგ შემოიტანდა რვა ათას სამას ფრანკს. ყოველ-

* დასასრული. იხ. „ლიტერატურული აპარა“, № 2.

„ღერუად ათას სამას ფრანკს გადადებდნენ მომავალი კარ-მიდამოს რემონტისა და წესრიგზე მოსაყვანად. მაშინ ღარიბმა შეიდი ათასი ფრანკი, რომელთაგან ხუთი ათასს გაიღებენ წლიური ხარჯისათვის, ორი ათასს კი შეინახვენ სხვა საჭიროებისათვის.

მან დასძინა:

— ყველა დანარჩენი გაქრა, ველარ დაიბრუნებ. გარდა ამისა, გასაღები მე მექნება, ეს იცოდეთ, და ბატონი პოლი არაფერს არ მიიღებს, სრულებით არაფერს; იგი თქვენ სულით ხორცამდე გაგცლით.

ქანამ, რომელიც ჩუმად ტიროდა, ჩურჩულით თქვა:

— კი, მაგრამ თუ საკმელი არ ექნა?

— თუ მოშვედება, ჩვენთან მოვა. მისთვის ყოველთვის მოინახება საწოლიც და საკმელიც, თქვენ გგონიათ, რომ იგი ამდენ სისულელეებს ჩაიდენდა, თავიდანვე რომ არ მიეცათ მისთვის არც ერთი სუ?

— კი, მაგრამ მას ეაღებოდა ჰქონდა და სახელი გაუტყდებოდა.

— როცა არაფერი აღარ გექნებათ, არც ფულს ისესხებს. თქვენ გადაუხადეთ, კარგი, მაგრამ მეტს აღარ გადაუხდით: ამაზე პასუხს მე ვაგებ. ახლა დამე მშვიდობისა, ქალბატონო.

და იგი წავიდა.

ქანას თვალში არ მოუხუტავს, მას აძრწუნებდა ფიქრი, რომ ჩინარი უნდა გაეყიდა, წასულიყო აქედან, გამოთხოვებოდა სახლს, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი მისი ცხოვრება.

მეორე დღეს, როცა მასთან როზალია შევიდა, უთხრა:

— ჩემო საბრალო გოგო, ვერასოდეს ვერ შეველევო აქაურობას, არ შემიძლია. მოახლე გაბრაზდა:

— სხვანაირად არ შეიძლება, ქალბატონო. საცაა ნოტარიუსი მოვა მყიდველთან ერთად. თუ არა, ოთხ წელიწადში გადატყავდებით.

სასოწარკვეთილი ქანა იმეორებდა:

— არ შემიძლია, არა და არა.

ერთი საათის შემდეგ ფოსტალიონმა

გადასცა მას პოლის წერილი. მას კიდევ ათი ათასი ფრანკი უნდოდა. რა ექნა? დაბნეულმა ქანამ რჩევისათვის მიმართა მის მიაშურს. მან ხელები გაშალა და უთხრა:

— რას გეუბნებოდით, ქალბატონო? ოჰ! რა კარგად იცხოვრებდით ორივენი, მე რომ არ დავბრუნებულყავი!

და ქანა დაჰყვა მოახლის ნებას, ასე უპასუხა პოლს:

„ჩემო ძვირფასო შეილო, ვერაფრით დაგეხმარები. შენ მე გამაჰოტრე; იძულებული ვარ ჩინარიც კი გავყიდო. მაგრამ არ დაიწყე, რომ შენთვის ყოველთვის მექნება ადგილი, თუ კი მოისურვებ თავი შეაფარო შენს მოხუც დედას, რომელსაც ცოტა სიმწარე როდი აგემნა.“

უპასუხა.

როცა ნოტარიუსი რაფინადის ქარხნის ყოფილ მებატონე ბატონ ჟოფრენთან ერთად მოვიდა, ქანამ თვითონ მიიღო ისინი და წინადადება მისცა, ყველაფერი დეტალურად დაათვალიერეთ.

ერთი თვის შემდეგ მან ხელი მოაწერა გაყიდვის ხელშეკრულებას და იმავე დღეს გოდერვილის ახლოს, მონტივილიერის დიდ გზაზე, სოფელ ბატვილში იყიდა პატარა ბურჟუაზიული ტიპის სახლი.

შემდეგ სულ მარტო საღამომდე ისიერნა დელიკოს ხეივანში. განადგურებული და გონებაარეული, იგი ტირილით გულამოძღარი, იმედდაკარგული ემშვიდობებოდა ჰორიზონტს, ხეებს, ჭიბთ დახრულ სკამს ქადრის ძირში, ყველაფერს, რასაც ასე შეეჩვია მისი მზერა, რაც თითქმის შეეზარდა შეგნებასა და სულში. ქანა ეთხოვებოდა წარაფს, ქეიშიანი მინდვრების ფერდობებს, სადაც იგი ისე ხშირად იჯდა, საიდანაც ხედავდა როგორ გარბოდა ზღვისაყენ გრაფი დე ფურვილი ჟულიენის სიკვდილის საშინელ დღეს, კენწეროჩამოტეხილ ბებერ თელას, რომელსაც ხშირად ეყრდნობოდა, და მთელ ამ მშობლიურ ბაღს.

მოვიდა როზალია, მოჰყიდა ხელი ქანას და ძალით წაიყვანა სახლში.

პარმალთან ოცდახუთი წლის მაღალი გლეხი იცდიდა. იგი მეგობრულად, რო-

გორც დიდხნის ნაცნობს, ისე მიესალმა
ქანას.

—გამარჯობათ, მაღამ ქანა, როგორ ბრძა-
ნდებით? დედაჩემმა დამავალა მოვსული-
ყავი გადასვლასთან დაკავშირებით. მინ-
და ვიცოდე, თან რა მიგაქვთ. ჩემთვის
უფრო იოლია თანდათანობით გადავიტა-
ნო ისინი, მინდვრის სამუშაოებში რომ
ხელი არ შემეშალოს.

ეს იყო მისი მოახლის შვილი, ყულოე-
ნის შვილი, პოლის ძმა.

ქანამ იგრძნო, რომ გული უჩერდებო-
და; ამავე დროს უნდოდა გადაეკოცნა ეს
ყმაწვილი.

იგი ათვალერებდა მას, ეძებდა მსგავ-
სებას თავის ქმარსა და შვილთან. ყმაწ-
ვილი იყო დაჟღაჟა, ღონიერი, დედასა-
ვით ქერათმიანი და ცისფერთვალა. და
საღდაც იგი ყულოენსაც მოგავგონებდათ.
რით? როგორ? ეს აღარ იცოდა, მაგრამ
რალაც საერთო ჰქონდა ყულოენის გარე-
გნობასთან.

— რომ ახლავე მაჩვენებდეთ, რა არის
გადასატანი, დიდად დამავალეზდით, —
გაიმეორა ჭაბუკმა.

მაგრამ ქანამ ჯერ თვითონაც არ იცო-
და რას წაიღებდა, რადგან მისი ახალი სა-
ხლი მეტად პატარა იყო და სთხოვა,
კვირის დამლევს მოდიო.

სხვა ბინაზე გადასვლამ დაასაქმა ქანა
და მის უდიდამო და უიმედო ცხოვრე-
ბაში ნაღვლიანი ხალისი შეიტანა.

იგი ოთახიდან ოთახში დადიოდა და
არჩევდა ნივთებს, რომლებიც რომელი-
მე ამბავს აგონებდნენ, იმ ძვირფას ნივ-
თებს, ჩვენი ცხოვრების ნაწილი რომ
ხდებოდა, კინაღამ თვით ჩვენი არსების
ნაწილიც კი; ნივთებს, რომლებსაც ბავ-
შვობიდან ვიცნობთ და დაკავშირებული
არიან სასიხარულო თუ სამწუხარო მო-
გონებებთან, ჩვენი ისტორიის მომენტებ-
თან. ჩვენი ტკიბილი თუ სევდიანი წუთე-
ბის მუხჯი თანამგზავრები, ისინი მოა-
ველდნენ, გაიცვითნენ ჩვენს გვერდით,
მათი გადასაკრავებიც ადგილ-ადგილ
გასკდა, სარჩული დაიხა, სამაგრები მოი-
რყა, საღებავები გამოხუნდა.

ქანა არჩევდა მათ ერთ-ერთს, მიუჩინებ-
ნშირად ყოყმანობდა და ისე, თვალთა-
თითქოს უმნიშვნელოვანესს, უმნიშვნე-
ლებას იღებდა და ყოველ წუთს იცვლი-
და აზრს, ვერ გადაეწყვიტა ორი საგარ-
ლიდან რომელი აერჩია, ძველი სეკრე-
ტერი სჯობდა თუ ძველებური სამუშაო
მაგიდა.

იგი აღებდა უჯრებს, ყველაფერში
ეძებდა მოგონებებს; ბოლოს, როცა
მტკიცედ იტყუა: „დიახ, ამას წავიღებ“,
ამორჩეული საგანი სასადილო ოთახში
გადაჰქონდათ.

ქანამ მოინდომა შეენარჩუნებინა თა-
ვისი ოთახის მთელი მოწყობილობა: სა-
წოლი, შპალერი, სათი, ერთი სიტყვით,
ყველაფერი.

სასტუმროდან მან წაიღო რამდენიმე
სავარდელი, ისინი, რომელთა ნახატები
ბავშვობიდანვე უყვარდა: მელია და ყა-
რყატი, ყვავი და მელია, ჭრიჭინა და ჭი-
ანჭველა, სევდიანი ყანჩა.

შემდეგ ქანამ მოიარა ყველა კუნძული
თავისი მშობლიური საცხოვრებელი სახ-
ლისა, რომელიც ის-ის იყო უნდა დაე-
ტოვებინა, და ერთხელ სხვენზეც ავიდა.

მოულოდნელობისაგან ქანა სახტად
დარჩა, სულ სხვადასხვა საგნების ნამდ-
ვილი ქაოსი რომ დაინახა: ერთნი დასხვ-
რეულნი, მეორენი მხოლოდ გაჟუჟყა-
ნებულნი, მესამენი რალაც უცნობი მი-
ზეზით ამოტანილნი, შეიძლება იმიტომ,
რომ მობუზრდათ, ან იმიტომ, რომ სხვე-
ბით შეცვალეს. იგი წარაშარა აწყდებო-
და ათასნაირ სამშენისებს, რომლებსაც
განუწყვეტლოვ ხედავდა ოდესღაც, სა-
ნამ უეტრად, მისთვის შეუმჩნევლად არ
გაქრებოდნენ; აწყდებოდა ყოველ-
დღიურ სახმარ უბრალო რამეებს,
ძველ პატარ-პატარა უმნიშვნელო საგ-
ნებს, თხუთმეტი წლის განმავლობაში
გარს რომ ეხვივნენ და რომელთაც ყო-
ველდღე ხედავდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა.
ახლა აქ, ამ სხვენზე უფრო მოძველებუ-
ლი სხვა საგნების გვერდით, რომლებიც
ჩინარში ჩამოსვლის დღიდანვე მშვენივ-
რად ახსოვდა, ამ წვრილმანებმა შეიძინეს

მიეჩვენებოდა მოწმეების, ან კიდევ ხელ-
ახლა ნაპოვნი მეგობრების მნიშვნელო-
ბა. ისინი თითქმის ის აღამიანები იყვნენ,
რომლებსაც დიდიხანა ხვდები. მაგრამ
სრულებით არ იცნობ, ვიდრე ერთ სა-
ლამოს სრულიად უმნიშვნელო საბაბით
არ ალაპარაკდებიან და არ გადაგიშ-
ლიან თავისი სულის საესებით მოულო-
დნელ მხარეებს.

ქანა ერთი საგნიდან მეორეზე გულის
ფანქვლით გადადიოდა და თავისთვის
ამბობდა: „აი, ეს ჩინური ფინჯანი ხელი-
დან გამივარდა და გაიბზარა ერთ სალა-
მოს ქორწილამდე რამდენიმე დღით ად-
რე. ო! აი, დედიკოს პატარა ფანჯარი და
ჯოხი, რომელიც მამაკომ გატეხა, როცა
წვიმით გასივებული კარის გაღებას ცდი-
ლობდა“.

აქ იყო აგრეთვე ბევრი რამ, რომლებ-
საც ქანა არ იცნობდა, რომლებიც მას
არაფერს ავონებდნენ. ისინი, ალბათ, ბე-
ზიამ და ბაბუამ ან კიდევ მათ წინაპრე-
ბა დატოვეს. ეს იყო დამტვერილი, დრო-
მოკმული საგნები, თითქმის ნაღველით
სავსენი იმის გამო, რომ ასე უპატრონოდ
მიუტდიათ და არავინ იცოდა არც მათი
ისტორია, არც თავგადასავალი, რადგან
არავის უნახავს ის პირები, ვინც ეს ნივ-
თები ამოირჩია, იყიდა, ვინც ფლობდა
მათ, უყვარდა ისინი: არავის ახსოვდა ის
ხელები, რომლებიც ყოველდღიურად
ეხებოდნენ მათ, არც ის თვალები, რომ-
ლებიც ტკებოდნენ მათი ცქერით.

ქანა ხელში იღებდა ამ საგნებს, ატრი-
ალებდა და თავისი თითების ანაბეჭდს
ტოვებდა მტერის სქელ ფენაზე; ასე იდ-
გა იგი იქ, ამ ხარახურას შორის დღის
მკრთალ სინათლეზე, რომელიც სახუ-
რავის კვადრატული ფანჯრებიდან შე-
მოდიოდა.

იგი გულმოდგინედ ათვალიერებდა სა-
მეფხა სკამებს და ფიქრობდა, ხომ არ
მოაგონებდა ისინი რაიმეს. მერე წააწყდა
სპილენძის სათბურას, გაჟყვნილ მა-
ყალს, რომელიც ნაცნობი ეჩვენა, და
ხმაურებიდან გამოსული საოჯახო ჭურჭ-
ლეულის მთელ გროვას.

შემდეგ მან ერთად შეაგროვა ის ნივ-
თები, რომელთა წაღება მოისურვა, იქნა
ჩამოვიდა და როზალია გაეზინა
მათ მოსტანად. აღშფოთებული
ლემ უარი თქვა გადმოეტანა „ეს საო-
ხურა“, მაგრამ ქანამ, რომელსაც თით-
ქმის აღარ შერჩა არავითარი ნებისყოფა,
ამჯერად სიმტკიცე გამოიჩინა და მოას-
ლე იძულებული გახდა დამორჩილებოდა.
ერთხელ დილით ახალგაზრდა ფერმე-
რმა, ჟულენის შვილმა დენი ლეოკმა
თავისი ურიკა მოაგორა პირველი რეისი-
სათვის. როზალია თან წაყვდა, რათა
თვალყური ედევნებინა ბარგის გადმოტა-
ნისათვის და ავეჯი თავ-თავის ადგილზე
დაელაგებინა იმ სახლში, რომელიც მათ
უნდა დაეკავებინათ.

მარტო დარჩენილი ქანა საშინელმა
სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და ხეტი-
ალი დაიწყო სახლში. იქაურობის სიყვა-
რულით გრძნობამორეული, იგი ყველა-
ფერს კოცნიდა, რისი წაღებაც არ შეეძ-
ლო, დად თეთრ ჩიტებს სასტუმრო ოთა-
ხის შპალერზე, ძველებურ შანდლებს,
ყველაფერს, რაც კი თვალში მოხვდებო-
და. იგი შეშლილივით დადიოდა ოთახი-
დან ოთახში და ცრემლად იღვრებოდა.
შემდეგ წავიდა ზღვასთან დასამშვიდო-
ბებლად.

ეს იყო სექტემბრის დამლევს. ჩამო-
წოლილი ნაცრისფერი ცა თითქმის დე-
დამიწას დამხობოდა. უხალისი მოყვითა-
ლო ტალღები უყიდევანო შორეთში იკა-
რგებოდნენ. ქანა დიდხანს იდგა თხემზე
და თავში მტანჯველი ფიქრები უტრია-
ლებდა. ბოლოს, რაკი ღამდებოდა, უკა-
ნვე დაბრუნდა. ქანა ამ დღეს არანაკლებ
გაიტანჯა, ვიდრე თავისი უდიდესი მწუ-
ხარების დღეებში.

როზალია დაბრუნებულიყო და უცდი-
და მას. ახალი სახლით მოხიბლული მო-
ახლე ამტკიცებდა, რომ იგი გაცილებით
ხალისიანია, ვიდრე ეს ვეებერთელა კი-
ლობანი, რომლის ახლოს გზაც კი არ გა-
დისო.

ქანა მთელი საღამო ტიროდა.

როგორც კი გაიგეს, მამული გაყიდაო,
ფერმერები ქანასადმი იმდენ თავაზი-

ნობას იჩენდნენ, რამდენიც სავალდებულო იყო, ერთმანეთში კი „შეშლილს“ ეძახდნენ მას, არც კი იცოდნენ რისთვის, ალბათ, იმიტომ რომ რაღაც ინსტინქტით ხდებოდნენ მის ავადმყოფურ და განუწყვეტლოვ მზარდ მგრძნობელობას, მის მგზნებარე ოცნებებს, მისი საბრალო, უბედურებით შერყეული სულის მღელვარებას.

უკანასკნელი დღეც გათენდა. ჟანას ჟულიენის ყოფილ ოთახში ეძინა, რადგან მისი საძინებლიდან ავეჯი უკვე გაიტანეს.

იგი ლოგინიდან გაწამებული აღგა, სული ეხუთებოდა, როგორც ხანგრძლივი ზეცხლის შემდეგ. საზიდარი, რომელზეც საგზაო სკივრები და დარჩენილი ავეჯი ეწყო, უკვე დატვირთული იდგა ეზოში. მეორე ურიკას, ორთვალას უკან რომ იდგა, ქალბატონი და მოახლე უნდა წაეყვანა.

ბიძია სიმონი და ლუდვიგა მარტო რჩებოდნენ ახალი მფლობელის მოსვლამდე, შემდეგ კი ნათესაებში დაბრუნდებოდნენ, რისთვისაც ჟანამ მათ მცირე წლოვრი რენტა გამოუყო. გარდა ამისა, მათ საკუთარი დანაზოვიც ჰქონდათ. ისინი უკვე დაჩაჩანაკებული, დაბერებული მსახურები იყვნენ, გამოუღევარნი და ყბედები. მარიუსმა ცოლი შეირთო და დიდი ხანია დატოვა ეს სახლი.

რვა საათისათვის წამოვიდა წვიმა, წვრილი და ცივი წვიმა, რომელიც ზღვის მსუბუქ ნიავს მოჰქონდა. საჭირო გახდა ურიკა ტილოთი გადაეხურათ. ხეებს ფოთლები უკვე ჩამოცვივდა.

სამზარეულოს მაგიდაზე რძიანი ყავით სავსე ფინჯნებს ორთქლი ასდიოდა. ჟანამ თავისი აიღო და დალია პატარ-პატარა ყლუპებით. შემდეგ აღგა და თქვა:

— წავედით!

მან დაიხურა ქუდი, მოისხა შალი და, სანამ როზალია კალოშებს აცმევდა, ცრემლმორეულმა თქვა:

— გახსოვს, ჩემო კარგო, როგორ წვიმდა, როცა რუანიდან აქ მოვემგზავრებოდით?

მაგრამ ამ დროს სპაჰმმა წაუქპირა გუ-

ლში, ორივე ხელი მეკრძნე. მიიწიო და გულდმა უგრძნობოდ დაეცა.

ერთ საათზე მეტი მკვდარი იყო: შემდეგ გაახილა თვალები, დაწყევნილი კრუნხვები და ლაბალუბით წამოცვივდა ცრემლები.

როცა ოდნავ დაწყნარდა, ისეთი სასტეტე იგრძნო, რომ ვერ აღგა, მაგრამ როზალიას შეეშინა, მეორედ არ მოუვიდეს შეტევა, თუ გამგზავრება დაეაყვნეთ. და შვილი მოძებნა. მათ აიყვანეს ჟანა, წაიღეს და ურიკაში დასვეს გასანთლული ტყავით გადაკრულ ხის სკამზე. მოხუცი მოახლე ჟანას გვერდით დაჯდა, ფეხები დაუთბუნა, მხრებზე თბილი ლაზადა მოახურა, შემდეგ მადლა დაუქპირა გაშლილი ქოლგა და დაიყვინძა:

— მალე, დენი, მალე წაივდეთ აქედან.

ახალგაზრდა საჯდომზე ავიდა დედამისის გვერდით, ადგილის უქონლობის გამო კერძოდ ღამოჯდა და ისეთი სისწრაფით გარევა ცხენი, რომ ძლიერ ბიძგები ორივე ქალს სკამიდან ახტუნებდა.

როცა კუთხეში შეუხვეცს და სოფლათ წაივდნენ. შეამჩნიეს, რომ ეიღაც წინ და უკან დადიოდა გზაზე. ეს იყო აბატი ტოლბიაცი. როგორც ჩანდა, იგი მათ უღარავებდა.

მღვდელი შეჩერდა. გზა დაუთმო ეტლს. იმის შიშით, ტლაპოში არ დამესვაროსო, აბატს ანაფორა აეკაპიწებინა, ხოლო მის ქვემოთ მოჩანდა შეაწინდებიანი გამხდარი ფეხები, რომლებზეც გვებერთელა ტალახიანი ფეხსაცმლები წამოცვიდა.

ჟანამ თვალები დახარა, რომ მისთვის არ შეეხედა. როზალია კი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, გაცოფდა და აბუზლუნდა: „სოფლის ტეტიკა, გაუთილეო!“ შემდეგ ხელი წაავლო შვილს:

— ვადაუქირე ერთი მაგას მათრახი.

მაგრამ მღვდელს რომ გაუსწორდა, დენიმ თავისი ორთვალას ბორბალი მთელი სისწრაფით უცხად გადაატარა ღრანტეზე და თქრიალით ამოხეტილიმა ტალახის ღვარმა თავიდან ფეხამდე დაფარა ეს ღვთის მსახური.

გახარებული როზალია შემობრუნდა, მუშტით ემუქრებოდა მას, სანამ იგი თავისი დიდი ცხვირსახოცით ტალახს იწმენდდა.

XIII

ორი საათის შემდეგ ეტლი გაჩერდა პატარა აგურის სახლის წინ, რომელიც გზის პირას ხეხილის ბაღის შუაში იდგა. ბაღში გაშენებული გასსულელი მსხლის თვითებული ზე თავისი ფორმით სართავ ჯარას მოგაგონებდათ.

ოთხი ცხაურიანი ტალავარი, რომლებსაც ჩიტისეაშლა და კატაბარდა შემოხვეოდათ, ბაღის ოთხ კუთხეს ქმნიდა. ბაღი დაყოფილი იყო მწვანის პატარა პატარა კვადრატებისებურ კვლებად, რომელთა შორის ხეხილით შემორგული ბილიკები გადიოდა.

ძლიერ მაღალი ცოცხალი მესერი ყოველი მხრიდან გარს ერტყა ამ სახლკარს. მეზობელი ფერმისაგან მას ჰყოფდა მინდორი. გზაზე, ას ნაბიჯზე მის წინ, სამკედლო იყო. სხვა საცხოვრებელი სახლები ერთ კილომეტრზე ახლოს არ იყო.

ირგვლივ ჩანდა ფერმებით მოფენილი კოს დაბლობის ხედი, სადაც მაღალი ვაშლის ხეების ოთხი ორმაგი რიგი ვარშემოხვეოდა ეზოს.

ჩამოსვლისთანავე ქანამ დაწოლა მოიხურვა, მაგრამ როზალიამ არ დაანება, ეშინოდა ისევ არ დანაღვლიანდესო.

ბინის მოსაწყობად გოდერვილიდან გამოძახებული ღურგალი მოსულიყო. მაშინვე შეუდგნენ უკვე ჩამოტანილი ავეჯის განლაგებას და ელოდებოდნენ უქანასკნელ ურიკას, რომელიც სადაც იყო ჩამოვიდოდა.

სამუშაო სერიოზული იყო და მოითხოვდა დიდ ფიქრსა და დაკვირვებას.

ერთ საათში უქანასკნელი ურიკა ღობესთან გაჩერდა. იგი წვიმაში გადმოტვირთეს.

როცა დადამდა, სახლში სრული უწყსრიგობა სუფევდა, ავეჯი მიყრილ-მოყრილი იყო. ღონემიხდილმა ქანამ დაწოლისთანავე ჩაიძინა.

შემდგომ დღეებში ქანა ისე გადაიტ-

ვირთა საქმეებით, რომ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. იგი კიდევაც გაიტყა ახალი საცხოვრებლის მორთვამ, რადგან ავეჯითებული აზრი, რომ შვილი უკეთესად რუნდებოდა, გამუდმებით თან სდევდა.

მისი ყოფილი ოთახის შპალერი გააკერს სასაძილო ოთახში, რომელიც იმავე დროს სასტუმრო ოთახიც იყო. საგანგებოდ გააწყო მან მეორე სართულის ორი ოთახის ერთ-ერთი ოთახი, რომელსაც თავის გულში „პუტეს საძინებელი“ უწოდა.

მეორე ოთახი თვითონ დაიჭირა. როზალია კი ზევით, სხვენის გვერდით მოთავსდა.

გულდასმით მორთული პატარა სახლი ძლიერ მიმზიდველი აღმოჩნდა. ქანას იგი თავიდანვე მოეწონა, თუმცა რაღაც მაინც აკლდა, მაგრამ რა — თვითონაც არ იცოდა.

ერთ დღით ნოტარიუსის კლერკმა ფეკაპილიდან მოუტანა სამი ათასი ექვსასი ფრანკი, საფასური ჩინარში დატოვებული ნივთებისა, რომლებიც ავეჯის ვაჭარს შეუფასებია. ამ ფულის მიღება ქანას ისე ესიამოვნა, რომ სიხარულისაგან აცახცახდა. როგორც კი კლერკი წავიდა, მან სასწრაფოდ დაიხურა შლაპა და გოდერვილში წასასვლელად შეემზადა, რათა რაც შეიძლება მალე გადაეგზავნა პოლისათვის ეს მოულოდნელი შემოსავალი.

მაგრამ როცა იგი დიდ გზაზე მიიქროდა, ბაზრიდან მომავალი როზალია შეხვდა. მოახლეს ექვმა გაუფლვა, თუმცა ხეირიანად ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. სიმაღლე რომ შეიტყო, რომელიც ქანამ ვერ დაუშალა, როზალიამ მიწაზე დადგა თავისი კალათი, თავისუფლად რომ გამოეგონებინა აღშფოთება.

მან დღიანი შემოიღდა და აყვირა, შემდეგ მარჯვენა ხელი მოჰკიდა თავის ქალებატონს, მარცხენა ხელში კი კალათი დაიჭირა და საშინლად გაჯავრებული სახლისაკენ გაემართა.

შინ დაბრუნებისთანავე მოახლემ ფული მოსთხოვა. ქანამ გადამალა ექვსასი ფრანკი და მისცა სამი ათასი, მაგრამ როზალიამ ექვი აიღო და მაშინვე გამო-

ამედევნა მისი ეშმაკობა. ჟანამ დანარჩენიც მისცა.

ბოლოს როზალია მაინც დაეთანხმა, რომ ეს დარჩენილი თანხა პოლისათვის გაეგზავნათ.

რამდენიმე დღეში მისგან მადლობა მიიღეს.

„შენ დიდი სამსახური გამიწიე, ჩემო ძვირფასო დედა, რადგან ჩვენ უკიდურესად გაჭირვებული ვიყავით“.

ჟანა ბატელის მაინც ვერ შეეჩვია და ვერა; მას გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ აქ ისე ვეღარ სუნთქავდა, როგორც ყოფილ სახლში, რომ უფრო გრძნობდა მართლობას, უფრო მივიწყებული და განწირული იყო. ჟანა სასერიწოდ გამოდიოდა, მიდიოდა სოფელ ვერნელამდე და უკან ბრუნდებოდა ტრუა-მარის გავლით. შინ რომ მოდიოდა, ისევ დგებოდა და გული წასასვლელად მიუწევდა, თითქოს დაავიწყდა სწორედ იმ ადგილას მისვლა, რომელიც უნდა ენახა და სადაც უნდა ესეირნა.

ეს მეორდებოდა ყოველდღე და ჟანას ვერ გაეგო ამ უცნაური მოთხოვნილებების მიზეზი. მაგრამ ერთ საღამოს ჟანას უნებლიეთ წამოსცდა ფრაზა, რომელმაც გაუხსნა თავისი მოუხვეწრობის საიდუმლოება. სადილს რომ უნდა შედგომოდა, მან თქვა: „ოჰ! როგორ მინდა ენახო ზღვა!“ ის, რაც ასე ძლიერ აკლდა, იყო ზღვა. მისი დიადი მეზობელი ოცდახუთი წლის მანძილზე, ზღვა თავისი მარილიანი ჰაერით, თავისი ბრაზმოკრებით, თავისი გრილა ხმით, თავისი ძლიერი სუნთქვით, ზღვა, რომელსაც ყოველ დღით ხედავდა იგი თავისი ფანჯრიდან ჩინარში, რითაც სუნთქავდა დღე და ღამე, რომელსაც მუდამ გვერდით გრძნობდა და რომელიც უნებლიეთ შეიყვარა, როგორც ცოცხალი ადამიანი.

მოდიოდა ზამთარი; ჟანას დაუძლეველი სასოწარკვეთილება დაეუფლა. ეს არ იყო მწვავე ტკივილი, რომელიც თითქოს ღრღინის სულს. არა, ეს იყო ნაღვლიანი და უწყალო კაეშანი.

როცა ბალახი ისევ ამოიწვერა, ერთი მოკლევადიანი გოგონა ყოველ დღით

ლობის წინ ჩაატარებდა ხოლმე ორ გზას: ღარ ძროხას, რომლებიც გზისწირა თბილესი გასწვრივ ძოვდნენ. საფრთხილიცაა ვე გოგონა ბრუნდებოდა ისეთივე სწრაფად, როგორც სვლით, ყოველ ათ წუთში იგი ერთ ნაბიჯს ადგამდა თავის ძროხებთან ერთად.

ჟანას ყოველდღე ესიზმრებოდა, რომ იგი ისევ-ისევ ჩინარში ცხოვრობდა.

იგი კვლავ იქ ხედავდა თავის თავს მამასა და დედიკოსთან ერთად, ზოგჯერ დედა ლიზონთანაც კი. იგი კვლავ იგონებდა იმას, რაც წავიდა და უკვე დავიწყებას მიეცა; ისევ ატარებდა მადამ ადელაიდას მის ხეივანში და ყოველი გამოღვიძებისას ცრემლები ახრჩობდა.

ჟანა გამუდმებით პოლზე ფიქრობდა და თავის თავს ეკითხებოდა: „რას აკეთებს იგი? როგორია ის ახლა? იშვიათად მაინც თუ ვაკონდები?“ ფერმებს შორის გატყეპნილ ბილიკებზე სეირნობის დროს თავში უტრიალებდა ეს მტანჯველი ფიქრები. მაგრამ განსაკუთრებით აწამებდა დაუმცხრალი ეჭვი იმ უცნობი ქალისადმი, რომელმაც შვილი წარსტაცა. მხოლოდ ეს სიძულვილი აკავებდა მას, ხელს უშლიდა ემოქმედა, სამებრად წასულიყო, შეედწია მის ბინაში. მას სულ ეჩვენებოდა, რომ კარებთან შეხედებოდა შვილის საყვარელი, რომელიც შეეკითხებოდა: „რა გნებავთ აქ, ქალბატონო?“ მის დედურ სიამაყეს აღაშფოთებდა ასეთი შეხვედრის შესაძლებლობა; და ამპარტავნული ქედმაღლობა შეუბღალავად უმწიკვლო და მუდამ უბიწო ქალისა მასში აღვივებდა რისხვას მამაკაცის უნაშურობისადმი, ბილწი ხორციელი სიყვარულისადმი, რომელიც მონად აქცევს ადამიანს და თვით გულსაც კი რყენს. მას ეზიზღებოდა მთელი კაცობრიობა, როცა ფიქრობდა ავტორიტეტის ყველა ბინძურ საიდუმლოებაზე, დამამცირებელ ალერსზე, იმ მტკიცე კავშირის გამოცანაზე, რომელიც დაახლოებით ამოხსნილი ჰქონდა.

კიდევ გავიდა გაზაფხული და ზაფხული. მაგრამ როცა შემოდგომა დადგა გაუწყვეტელი წვიმებით, მონაცრისფრო ცა და ბნელი ღრუბლებით, ჟანას ისე

მოხუზრდა ასეთი ცხოვრება, რომ გადაწყვიტა უქანასკნელი ღონე ეხმარა პულებს დასაბრუნებლად.

ახალგაზრდა კაცს ვნებათაღელვა, ალბათ, უკვე დაუტყრა.

და მან შვილს მისწერა ცრემლიანი წერილი.

„ჩემო ძვირფასო შვილო, გემუდარები დამიბრუნდი. გაიხსენე, რომ მე მოხუცი ვარ და ავადმყოფი, სულ მარტო მთელი წლებს მანძილზე ერთ მოახლე ქალთან ერთად. ახლა ვცხოვრობ პატარა სახლში ზედ გასთან. ეს ძალიან მოსაწყენია. მაგრამ შენ რომ დამიბრუნდებოდე, ყველაფერი შეიცვლებოდა. მე მხოლოდ შენსა და მყავხარ ამქვეყნად და მთელი შვილი წელია არ მინახავხარ! შენ ვერც წარმოიდგენ, რა ტანჯვა გავიარე და რამდენჯერ შენით დამიმშვიდებია გული. შენ იყავი ჩემი სიცოცხლე, ჩემი ოცნება, ჩემი ერთადერთი იმედი, ერთადერთი სიყვარული, შენ კი ჩემთან არა ხარ, შენ მიმატოვე!“

ოჰ! დამიბრუნდი, ჩემო პატარა პულე, დაბრუნდი და გულში ჩამეკარი შენს მოხუც დედას, რომელიც იმედდაკარგული გიწოდის ხელს.

ჟანა“

მან რამდენიმე დღის შემდეგ უბასუხა: „ჩემო ძვირფასო დედა, ვერაფერს ვინატრებდი უკეთესს, ვიდრე შენი ნახვა, მაგრამ ერთი სუც კი არა მაქვს. ვამომიგზავნე ცოტა ფული და ჩამოვალ. თუმცა მე თვითონ მინდოდა მენახე და მოგლაპარაკებოდი ერთი ჩემი განზრახვის შესახებ, რომელიც საშუალებას მომცემდა შემესრულებინა შენი თხოვნა.

იმ ქალის უანგარობა და ერთგულება, რომელიც ჩემი შემწე იყო გადატანილ მძინე დღეებში. უსაზღვროა. უკვე აღარ შემიძლია ამ მდგომარეობაში დავრჩე და თავი ავარიდო მისი ერთგული სიყვარულისა და თავგანწირულების საჯარო აღიარებას. მას ძალიან კარგი მანერები აქვს, რასაც შენ, ეჭვი არ მეპარება, დააფასებ. ამავე დროს იგი ძალიან განათლებულია, ბევრს კითხულობს. და, ბოლოს, შენ ოდნავადაც ვერ წარმოიდგენ,

რა იყო იგი მუდამ ჩემთვის. მე არ მახსოვს და ვიქნები, თუ ჩემს მაღლიერებას არ დაეუმტკიცებ მას. ამრიგად, ~~მეც მინდა შენს~~ დამართო გვარი დავიწერო მასზე. ჩემს შეცდომებსაც მაპატიებდი და ყველანი ერთად ვიცხოვრებდით შენს ახალ სახლში.

შენ რომ მას იცნობდე, დაუყოვნებლივ დამეთანხმებოდი. გარწმუნებ, რომ იგი სრულყოფილებაა და მეტად ზრდილი. შენ, უეჭველია, შეიყვარებდი მას. რაც შემეხება მე, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია.

მოუთმენლად ველი შენს პასუხს, ჩემო ძვირფასო დედა, და ორივენი მთელი გულით გკოცნით.

შენი შვილი

გიკონტი პოლ დე ლამარი“

ქანას თავზარი დაეცა. წერილი მუხლებზე დაიდო და გაშეშდა. იგი მიხვდა იმ ქალის ოინებს, რომელმაც ისე ჩაიჭირა ხელში მისი შვილი, რომ ერთხელაც არ გამოუშვა დედასთან და რომელიც ელოდებოდა მომენტს, მოხერხებულ დროს, როცა სასოწარკვეთილი მოხუცი, დაუსტებელი დედა ველარ გაუძღბდა ცდუნებას გულში ჩაეკრა შვილი და შეუარიგდებოდა ყველაფერს.

და წარუხოცელი სინანული, რაც პოლის უღრეკმა პატივისცემაში გამოიწვია იმ ნაძირალასადმი, გულს უხეთქვდა ქანას. იგი თავისთვის იმეორებდა:

„არ ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ“.

შემოვიდა როზალია. ქანამ წაიბუტბუტა:

— ახლა მისი შერთვა სურს.

მოახლე წამოხტა:

— ოჰ! ქალბატონო, ნება არ დართოთ. ბატონმა პოლმა არ უნდა შეირთოს ის ქუჩის დედაკაცი.

მისუსტებულმა, მაგრამ აღშფოთებულმა ქანამ უბასუხა:

— ეს არასოდეს არ მოხდება, ჩემო გოგო. რაკი მას არ სურს მოვიდეს, თვითონ წავალ მასთან და მაშინ დავინახავთ, ვინ ვის დაძლევის.

ქანამ დაუყოვნებლივ მისწერა პოლს, რომ მიემგზავრება მასთან, მაგრამ შეხე-

დება სულ სხვა ადგილას და არა იმ გომბიოს ბინაში.

პასუხის მოლოდინში იგი მზადებას შეუდგა. როზალიამ დაიწყო თავისი ქალაქონის თეთრეულისა და ტანსაცმლის ჩალაგება ძველ სამგზავრო სკივრში, მაგრამ როცა გაშალა ქანას ძველი კაბა, სოფელში რომ ატარებდა, უცბად წამოიყვira:

— თქვენ სულ არაფერი გაქვთ, რომ ჩაიცვათ! არა, ასე არ გაგიშვებთ! თქვენ შეგარცხვებათ ხალხის, ხოლო პარიზელი ქალები მოახლედ ჩავთვლიან.

ქანა დამორჩილდა და ორივენი წავიდნენ გოდერვილში. შეაჩივს მწვანე უჯრებიანი ქსოვილი და შესაკერავად მისცეს ადგილობრივ მკერავს. შემდეგ ცნობებისათვის შევიდნენ ნოტარიუს მეტრ რუსელთან, რომელიც ყოველ წელს ორიოდ კვირით მიემგზავრებოდა დედაქალაქში. თვითონ ქანა ხომ ოცდარვა წელია პარიზში არ ყოფილა.

მეტრმა დაწვრილებით დაარჩია, როგორ განრიდებოდა ეტლებს, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ არ გაეჭურდათ და ურჩია ფული ჩაეკერებინა ტანსაცმლის სარჩულში, ხოლო ჯიბეში დაეტოვებინა მარტო სახარჯო თანხა. მან დიდხანს ილაპარაკა ნაკლებფასიან რესტორანებზე, რომელთაგან აღნიშნა ორი თუ სამი, სადაც ქალები დადიან. შემდეგ მან ურჩია დაბინავებულიყო სასტუმრო „ნორმანდიაში“ რკინიგზის სადგურის ახლოს, სადაც თვითონ ჩერდებოდა ხოლმე და სადაც შეიძლებოდა მისი სახელით მისვლა.

უკვე მთელი ექვსი წელი იყო, რაც პარიზსა და ჰავრს შორის დააგეს რკინიგზა, რომელზეც ყველგან ლაპარაკობდნენ. მაგრამ დარდით მოცულ ქანას ჯერ კიდევ არ ენახა ორთქლის ეს ფურცოლები, რომლებმაც ააფორიაქეს მთელი ის მხარე.

მაგრამ პოლმა არ უბასუხა.

ქანამ დაიცადა ერთი კვირა, შემდეგ ორი. იგი ყოველ დილით გადიოდა გზაზე ფოსტალიონის შესახვედრად და ათროლებული ეკითხებოდა:

— ჩემი ხომ არაფერი გაქვთ, როზალიანდენ?

იგი კი ცვალებადი ამინდისა და რინწული ხმით ყოველთვის მუდმივად ხებდა:

— ჯერჯერობით არაფერია, ჩემო კეთილო ქალბატონო.

დიახ, რა თქმა უნდა, იმ ქალმა არ დაენება პოლს ეპასუხნა!

მაშინ ქანამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო. უნდოდა როზალიაც წაჰყოლოდა, მაგრამ მოახლემ უარი თქვა, მგზავრობის ხარჯები გაიზრდებოდა.

სხვათა შორის, მან თავის ქალბატონსაც ნება არ ღართო სამას ფრანკზე მეტი წადლო:

— თუ კიდევ დაგპირდებით, მომწერეთ და მე წვეალ ნოტარიუსთან, ეთხოვ, გადმოგიგზავნოთ ფული. მეტი რომ მოგცეთ, ბატონი პოლი ყველას წაგართმევთ.

ამრიგად, დეკემბრის ერთ დილას ისინი დასხდნენ დენი ლეკოკის ორთვალაში და სადგურზე გაემგზავრნენ. როზალიაც იქამდე აცილებდა ქალბატონს.

უპირველეს ყოვლისა მათ გაიგეს რა ღირდა ბილეთი, შემდეგ, როცა ყველაფერი მოაგვარეს და სამგზავრო სკივრი ჩააბარეს, ათვალერებდნენ მათ წინ მდებარე რკინის ზოლებს და ცდილობდნენ გაეგოთ, როგორ მოქმედებდა იგი. ისინი ისე ჩააფიქრა ამ გამოცანამ, რომ აღარც ახსოვდათ მგზავრობის სამწუხარო მოტივი.

ბოლოს, გაისმა შორეული საყვირი. მათ თავი მიაბრუნეს და დაინახეს შავი მანქანა, რომელიც თანდათან დიდდებოდა. იგი შემოვიდა საშინელი რახრახით და ახლოს ჩაუარა ქალებს. მანქანა მოათრევდა პატარა მოძრავი სახლების გრძელ ჯაჭვს და, როცა კონდუქტორმა კარები გააღო, ქანამ ტირილით აკოცა როზალიას და ავიდა ერთ-ერთ ვაგონში.

გულაჩუყებული როზალია ყვიროდა:

— ნახვამდის, ქალბატონო, კეთილი მგზავრობა, ნახვამდის!

— ნახვამდის, ჩემო გოგო.

კედევ გაისმა საყვირის ხმა და მიიღევ-
ბივით ჩაწყობილი ვაგონები ჯერ ნელა,
მერე უფრო ჩქარა, ბოლოს კი საშინელი
სისწრაფით გაგორდა.

კუბეში, სადაც ჟანა იმყოფებოდა, სხვა-
დასხვა კუთხეში კედელზე მიყრდნო-
ბილ ორ ბატონს სიძინავდა.

ჟანა გაკუთრებდა მინდვრებს, ხეებს,
ფერმებს, სოფლებს და ასეთი სისწრა-
ფით გაოცებული გრძნობდა, რომ ჩაიჭ-
რა ახალმა ცხოვრებამ, გაიტაცა ახალ
სამყაროში, რომელიც არ ჰგავდა მისი
ყრმობის მშვიდ სამყაროს, ერთფეროვან
ცხოვრებას.

ზინდღებოდა, როცა მატარებელი პა-
რიზში შევიდა. მებარგულმა აიღო ჟანას
ჩემოდანი. ხალხში გაჟედილი შეშფოთე-
ბული ჟანა ძლივს ახერხებდა ფეხის გა-
დგმას მოძრაე ბრბოში. იგი თითქმის მის-
დევდა მებარგულს, ეშინოდა, მხედველო-
ბიდან არ დამეკარგოსო.

როცა სასტუმროს კანტორაში მივი-
და, მან აჩქარებით თქვა:

— მე მოვედი ბატონ რუსელის რეკო-
მენდაციით.

სასტუმროს დიასახლისმა, ზორბა და
მკაცრი სახის ქალმა, რომელიც საწერ
მაგიდასთან იჯდა, ჰკითხა:

— ვინ არის ეს ბატონი რუსელი?

ჟანა საგონებელში ჩაეჭრა და უპასუ-
ხა:

— გოდერვილელი ნოტარიუსია, რო-
მელიც თქვენთან ჩერდება ყოველ წელი-
წადს.

მსუქანმა ქალმა განაცხადა:

— შესაძლებელია, მაგრამ მე არ ვიც-
ნობ. თქვენ ოთახი გნებათ?

— დიახ, ქალბატონო.

მსახურმა აიღო ჟანას ბარგი და წინ
გაუძღვა კიბეზე.

ჟანას გული შეეკუმშა. იგი მი-
უჯდა პატარა მაგიდას და სთხოვა, რომ
მისთვის მოეტანათ ბულონი და ქათმის
ფრთა. დილის შემდეგ პირში ლუქმა არ
ჩაუღვია.

ჟანამ უხალისოდ ისაძილა ერთადერ-
თი სანთლის შუქზე. იგი გაიტაცა ნაღვ-
ლიანმა ფიქრებმა, იგონებდა, აქ რომ

გზად იყო საქორწილო მოგზაურობიდა,
დაბრუნებისას, აქ, პარიზში ყოფნისას,
ეულიენმა როგორ გამოამყდევინა. მან
ლაღ თავისი ხასიათი, მაგრამ მაშინ იგი
ახალგაზრდა იყო, მხნე და მიმნდობი.
ახლა კი ფიქრობდა, რომ მოხუცდა,
მოუქნელი გახდა, მძალიც, სუსტი და
სულ უმნიშვნელო რამეც კი საქმარისი
იყო, რომ დაბნეულიყო. სადილს რომ
მორჩა, ფანჯარასთან მივიდა და ხალხით
სავსე ქუჩას გადახედა. მას უნდოდა გა-
სულიყო სასტუმროდან, მაგრამ ვერ ბე-
დავდა. იმწუთშივე დავიბნევიო, გაიფიქ-
რა. იგი დაწვა და სანთელს სული შეუ-
ბერა.

მაგრამ გრუხუნე, უცხო ქალაქის შეგ-
რძნება და მგზავრობის მღელვარება
არ აძინებდა. საათები გადიოდა. გარედან
შემოსული ხმაური თანდათან ცხრებო-
და, თუმცა ჟანას მაინც არ ჩაეძინა, მას
აღინიანებდა ამ დიდი ქალაქის სანახევ-
რო თევლები. ის ხომ მიეჩნეოდა სიმშვიდეს
და მინდორ-ველების ღრმა ძილს, რომე-
ლიც ყველაფერს აყუჩებს, მცენარეებს,
ადამიანებს, ცხოველებს. ახლა კი ჟანა
ირგვლივ იდუმალ მოუხსენებლობას გრძნო-
ბდა. თითქმის სასტუმროს კედლებში მო-
სრილებსო, ჟანამდე აღწევდა ძლიერ
სუსტი ხმები. ზოგჯერ ჰრამუნებოდა ია-
ტაკი, იხუტებოდა კარები, წყარუნებოდა
ზარი.

უეცრად, დაახლოებით ღამის ორ სა-
ათზე, სწორედ მაშინ, როცა ის-ის იყო
ჟანას უნდა ჩასძინებოდა, მეზობელ
ოთახში ვიღაც ქალმა დაიყვირა; იგი
სწრაფად წამოხტა და ლოგინზე დაჯდა;
შემდეგ მას მამაკაცის სიცილი მოესმა.

რაკი დილაღ მოახლოვდა, ჟანა პოლზე
ფიქრმა დაიმორჩილა. როგორც კი გან-
თიადმა გამოანათა, იგი აღგა და ტანზე
ჩაიცვა.

პოლი სოფლის ქუჩაზე ცხოვრობდა,
სიტეში. ჟანა როზალიას ღარიგებას მიჰ-
ყვა და ფეხით წავიდა, ფული რომ დაე-
ზოგა. კარგი ამინდი იდგა. ცივი პაერი
კანს სუსხავდა. შეწუხებული ხალხი მი-
ბოდა ტროტუარებზე. ჟანა რაც შეიძლე-
ბოდა ჩქარა მიჰყვებოდა ნაჩვენებ ქუჩას,

რომლის ბოლოს მას უნდა გაეხვია მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. მოედანთან რომ მივიდოდა, გზა ისევ უნდა გაეკითხა. მან ვერ მიაგნო მოედანს და შეეკითხა მეპურეს, რომელმაც სულ სხვა მიმართულება უჩვენა. ქანა იქეთ გაემართა, ისევ აეზნა გზა, იხეტიალა, მიჰყვა სხვადასხვა ჩრქვას და საბოლოოდ დაიბნა.

ახლა აღელვებული ქანა თითქმის ალაღებდებოდა მიდიოდა. ის იყო გადაწყვიტა ეტლი დაეჭირავებინა, რომ შეამჩნია სენა და სანაპიროს გაჰყვა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგი უკვე სოფაჟის ქუჩაზე აღმოჩნდა. ეს იყო ბნელი და ვიწრო შესახვევი. კარის წინ ისე აღელვებული შეჩერდა, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო. პულე აქ ცხოვრობდა, ამ სახლში.

ქანას მუხლები და ხელები უკანაგებად; ბოლოს შევიდა, გაჰყვა დერეფანს, დაინახა შევიცარის სენაკი, გაუწოდა მეკარეს ვერცხლის ფული და ჰკითხა:

— შეგიძლიათ ზემოთ ახვიდეთ და უთხრათ ბატონ პოლ დე ლამარს, რომ მას ელოდება მოხუცი ქალი, დედამისის მეგობარი?

მეკარემ უპასუხა:

— იგი აღარ ცხოვრობს აქ.

ქანა მთლად აცახცახდა და ენის ბორძიკით თქვა:

— ოჰ! სად... სად ცხოვრობს იგი ახლა?

— არ ვიცი.

ქანა ისე დარტყიანდა, რომ კინაღამ გული წაუვიდა, და ერთხანს ხმაც ვერ ამოიღო. ბოლოს თავს ძალა დაატანა, გონება მოიკრიბა და ჩურჩილთი იკითხა:

— როდის გადავიდა აქედან?

კაცი დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს:

— ორი კვირა იქნება. ერთ საღამოს ისინი გამოვიდნენ ჩვეულებრივად და აღარ დაბრუნებულან. ამ კვარტალში ყველას ვალი აქვთ. თქვენც მიხვდებით, თუ რატომ არ დატოვეს თავისი მისამართი.

ქანას თვალწინ ნაბერწყლები აირივნენ, თითქმის თოფიდან გამოსროლილი ტყვიები ტრიალებდნენ მის ირგვლივ.

მაგრამ ერთი აკვიატებული ამბოხი აღმოჩნდა მას არ წაქცეულიყო, მოჩვენებითი სიმშვიდე და გონიერება მას დაეხმარებოდა: მას სურდა გაეგო ყველაფერი და ეპოვნა პულე.

— მამ წასვლისას არაფერი უთქვამს?

— სრულებით არაფერი. მათ თავს უშველეს, რომ ფული არ გადაეხადათ. ეს არის და ეს.

— კი, მაგრამ ვინმე ხომ უნდა გამოგზავნოს წერილებისათვის?

— რას ამბობთ! ისინი წელიწადში ათ წერილსაც არ იღებდნენ. თუმცა წასვლამდე ორი დღით ადრე აუუტანე მათ ერთი წერილი.

ეს ნამდვილად ქანას წერილი იყო. მან სწრაფად თქვა:


— ყურთ დამიგდეთ, მე მისი დედა ვარ და მასთან ჩამოვედი. აი, თქვენც ათი ფრანკი. თუ რაიმე ახალ ამბავს შეიტყობთ ან ცნობებს მიიღებთ, გამაგებინეთ სასტუმრო „ნორმანდიაში“ ჰაერის ქუჩაზე და კარგად გადაგიხდით.

კარისკაცმა უპასუხა:

— იქონიეთ ჩემი-იმედი, ქალბატონო. და ქანა გაიტყა.

ახლა იგი ისე მიაბიჯებდა, არც კი ფიქრობდა სად მიდიოდა, ჩქარობდა, თითქმის მნიშვნელოვანი რამ დავალება ჰქონდა. სწრაფად მიდიოდა კედელ-კედელ და ხშირად ეჯახებოდა პაექტებიანი ხალხი; ქუჩებს ისე სჭრიდა, რომ არც კი უყურებდა ეკოპაეებს და მეეტლეებს საშინლად ლანძღავდნენ. იგი არ უყურებდა ტროტუარის საფეხურებს და ხშირად წაიკრავდა ხოლმე ფეხს და გონებადარკვეული მიიბრუნებოდა წინ.

უეცრად იგი ბაღში აღმოჩნდა და თავი ისე დაქანცულად იგრძნო, რომ იქვე სკამზე ჩამოვდა. როგორც ჩანს, იგი იქ ძალიან დიდხანს იჯდა და თვითონაც ვერ ამჩნევდა თუ ტიროდა, რადგან მავალები ჩერდებოდნენ და უყურებდნენ. ბოლოს იგრძნო, რომ ძალიან შესივდა; მაშინ აღდა და გზა განაგრძო; იმდენად გატანჯული, იმდენად დაბეჩალებული იყო, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა. ქანას უნდოდა ერთი ჰიქა ბულონი შეეს-



ვა, მაგრამ რესტორანში შესვლას ვერ
ბედავდა შიშითა და რაღაცნაირი სი-
რცელით თავისი მწუხარების გამო,
რომელიც, როგორც მას ეგონა, ძლიერ
ეტყობოდა. იგი წუთით ჩერდებოდა ხო-
ლმე რესტორანის კარების წინ, შეიხე-
ლავდა შიგ, უყურებდა ხალხს, მაგიდას-
თან რომ ისხდნენ და სადილობდნენ, დამ-
ფრთხალი გარბოდა და თავისთვის ამ-
ბობდა: „მეორეში შევალ“, მაგრამ ვერც
მეორეში შესვლას ბედავდა.

ბოლოს ჟანამ მეპურესთან იყიდა მთვა-
რის ფორმის პური და ციკქნიდა მას სია-
რულის დროს. გზაში ძალიან მოწყურდა,
მაგრამ არ იცოდა, სად შეიძლებოდა წყა-
ლი დაეღია და ითმენდა.

ჟანამ გაიარა რომელიღაც თალი და
აღმოჩნდა არაკლებით გარშემორტყმულ
მეორე ბაღში. მაშინ მან იცნო პალე-რო-
იალი.

მშემ და სიარულმა ცოტათი გაათბო
ჟანა და იგი ისევ დაჯდა ერთი თუ ორი
საათით.

ბაღში შემოდიოდა კოხტად ჩაცმული
ბრბო, საუბრობდნენ, იღიმებოდნენ, ესა-
ლმებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო ის სვე-
კეთილი ხალხი, სადაც ქალები ლამაზები
არიან, მამაკაცები კი მდიდრები, სადაც
ყველანი ცხოვრობენ მხოლოდ ფუფუნე-
ბისა და სიამოვნებისათვის.

ჟანას შეეშინა ესოდენ ბრწყინვალე
შეკრებულობისა და გასაქცევად წამოხ-
ტა, მაგრამ უეცრად გაუელვა აზრმა, რომ
შეიძლებოდა აქ პოლს შეხედროდა; გა-
უბედავი და ჩქარი ნაბიჯით იგი შეუდგა
ბაღის ერთი ბოლოდან მეორემდე, წინ
და უკან ხეტიალს და გამგლელებს სახე-
ში აცქერდებოდა.

ნოსიერნენი შემობრუნდებოდნენ ხო-
ლმე და უყურებდნენ ჟანას. ზოგი იცი-
ნოდა და უთითებდა მისზე. ჟანამ შეა-
ჩინა ეს და იქაურობას გაეცალა. მან
გადაწყვიტა, რომ მისი საქციელი და შე-
სახელობა ართობდა ხალხს, მისი უჩრე-
ბიანი მწვანე კაბა, რომელიც როზალიამ
შეარჩია და მისივე მითითებებით შეკერა
გოდერვილელმა მეკრავმა.

ჟანა ველარც იმას ბედავდა, რომ მავა-

ლებსათვის გზა ეკითხა. ბოლოს მაინც
გაბედა და იპოვა თავისი სასტუმარი.

დღის დანარჩენი დრო მან სწავლა
უნძრევლად გაატარა თავისი საწოლის
ფეხებთან. შემდეგ ისადილა, როგორც
წინა დღით, სუპითა და ხორცის ნაჭრით.
მერე კი დაწვა. იგი ყველაფერს აკეთებ-
და მაშინაღუდრად, ჩვეულებისამებრ.

მეორე დღეს მან პოლიციის პრეფექ-
ტურას მიმართა, შვილი მომიძებნეთ;
საიმედო ვერაფერი უთხრეს, მხოლოდ
შეპირდნენ, ამ საქმეს ხელს მოვკიდებ-
თო.

მაშინ ჟანამ კვლავ დაიწყო ქუჩებში ხე-
ტიალი, იქნებ ჩემს შვილს გადავეყარო.
ამ მოფუსფუსე ხალხში ჟანა უფრო
გრძნობდა მარტობას, უფრო უპატო-
ნოდ და უბედურად მიაჩნდა თავი.
ვიდრე უკაცრიელ მინდვრებს შორის.

სალამოს სასტუმროში რომ დაბრუნ-
და, უთხრეს, ერთმა კაცმა გიკითხათ ბა-
ტონ პოლის დავალებით და ხვალ ისევ
მოვაო. ჟანას სისხლი აუჩქეფდა გულში
და მთელი ღამე თვალი არ მიუღუპავს,
ნეტავი, თვითონ ხომ არ ყოფილა? დიახ,
რა თქმა უნდა, ის იყო, თუმცა აღწერი-
ლობით ჟანამ ვერ მიაგვანა მას.

დღის ცხრა საათისათვის კარზე დაუ-
კაკუნეს. მან დაიყვირა:

— შემობრძანდით!

ჟანა მზად იყო ხელგაშლილი მივარდ-
ნოდა მოსულს. კარებში ვიღაც უცნო-
ბი გამოჩნდა. სანამ იგი ბოდიშს უხდიდა
შეწუხებისათვის და უხსნიდა თავის სა-
ქმეს — მას სურდა მიედო პოლის ვალი,
ჟანა გრძნობდა, რომ ტირიდა. იგი ცდი-
ლობდა დემბელა თავისი სისუსტე და
თითით იწმენდდა თვალებში მოწოლილ
ცრემლებს.

უცნობს სოფლის ქუჩის შვეიცრისაგან
გაუგია, რომ ჟანა ჩამოვიდა და, რაკი
შვილი ვერ იპოვა, დედას მიმართა. მან
გაუწოდა ქაღალდი, რომელიც ჟანამ
დაუფიქრებლად გამოართვა; წაიკითხა
ციფრი ოთხმოცდაათი ფრანკი, ამოიღო
ფული და გადაიხადა.

ამ დღეს ჟანა არსად გასულა.

მეორე დღეს სხვა მევალები გამო-

ცხადდნენ. ჟანამ მისცა ყველაფერი, რაც ღირსა, შემოინახა მხოლოდ ოციოდე ფრანკი და როზალიას აცნობა თავისი გასაქირი.

მოახლის პასუხის მოლოდინში ჟანა მთელ დღეებს ქალაქში ხეტიალობდა. არ იცოდა რა ექნა, სად მოეკლა ეს ნაღვლიანი დრო, დაუსრულებელი. საათებო, ვისთვის ეთქვა აღერსიანი სიტყვა, ვინ გაიზიარებდა მის მწუხარებას. იგი ალაღბებულად დღიოდ და ახლა გამგზავრების სურვილი ტანჯავდა, სურდა დაბრუნებულიყო იქ, თავის პატარა სახლში, განმარტებით რომ ედგა უკაცრიელი გზის პირად.

რამდენიმე დღის წინათ მას იქ ცხოვრება არ შეეძლო, იმდენად ჩაგრავდა მოწყენილობა, ახლა კი პირიქით, გრძნობდა, რომ შეუძლია იცხოვროს მხოლოდ იქ, სადაც მისი უხალისო ჩვეულებები იყო დანერგული.

ბოლოს, ერთ საღამოს დახვდა წერილი და ორასი ფრანკი. როზალია სწერდა: „მადამ ჟანა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდით, რადგან მეტს არაფერს აღარ გამოგიგზავნით. რაც შეეხება ბატონ პოლს, მე წავალ მასთან, როგორც კი არიშეს შევითყობთ.“

მოგესალმებით. თქვენი მოახლე როზალია“.

იმ დილით, ჟანა რომ ბატონის გაგზავრა, თოვდა და ძალიან ციოდა.

XIV

ჩამოსვლის დღიდან ჟანა არც გარეთ გამოდიოდა, არც მოძრაობდა, ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს დგებოდა, ფანჯარაში იხედებოდა, როგორი ამინდიაო, შემდეგ სასადილო ოთახში ჩადიოდა და ბუხართან ჯდებოდა.

მთელი დღის განმავლობაში იგი ასე იჯდა, არ იმძვრებოდა და თვალს არ აცილებდა ალს, უგზო-უკვლოდ დანეტიალობდა თავის ნაღვლიან ფიქრებში და თანმიმდევრობით იგონებდა თავისი უბედურების სამწუხარო პროცესს. ბინდი ნელ-ნელა ავსებდა პატარა ოთახს, ჟანა კი ისევ-ისევ უძრავად იჯდა, მხოლოდ შესას თუ შეუთქვებდა ხანდახან ცეცხლში.

მაშინ როზალიას შეჰქონდა ლამაზი გასახება ხოლმე:

— წავიდეთ, ქალბატონო ჟანა, თუ უნდა ამოძრავდეთ, თორემ გარდაიცვალავთ შექვამთ ამ საღამოს.

ხშირად ჟანას აეცემატებოდა რაიმე ახრი და გულს უწყალებდა, ტანჯავდა, ან კიდევ სრულიად უბრალო წვრილმანი მის სნეულ თავში სერიოზულ მნიშვნელობას იღებდა.

უფრო მეტად იგი წარსულით ცხოვრობდა, შორეული წარსულით. გამუდმებით თან სდევდა ყრმობისდროინდელი და კორსიკაში საქორწილო მოგზაურობის მოგონებები. ამ შორეული კუნძულის ღიბიხნის წინათ მივიწყებული პეიზაჟები უეცრად თვალწინ დაუდგებოდა ბუხრის მგუჟტავ მუგუზლებში; ავონდუბოდა ყველა წვრილმანი, სულ უმნიშვნელო ამბები, ყველა ადამიანი, რომლებიც იქ ნახა, მათი მეგზურის — ჟანა რავოლის სახე სულ თვალწინ ედგა, ზოგჯერ კი თითქოს მისი ხმაც ესმოდა.

შემდეგ ჟანა იხსენებდა პოლის ბავშვობის ტკბილ წლებს, როცა იგი მას დეიდა ლიზონის გვერდით ნოყიერ მიწაზე დაჩოქილს აიძულებდა სალათა გადარგო. ქალები კი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაესწროთ ბავშვის გულის მონადირება, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უკეთ გაახარებდა ნერგს და ვინ მიიღებდა მეტ ყლორტებს.

მაშინ ჟანას ტუჩები ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ, „პულე, ჩემო პატარა პულე“, თითქოს შვილს ელაპარაკებოდა. ამ სახელს მისი ოცნებები აღარ სცილდებოდა; ზოგჯერ იგი საათების განმავლობაში ცდილობდა გაშვერილი თითით პაერში მოეხაზა „პულეს“ შემადგენელი ასოები. ეს ასოები მას ნელა გამოჰყავდა ცეცხლის წინ, წარმოიდგენდა, თითქოს ხედავდა მათ, შემდეგ გაიფიქრებდა, რომ შეეძლო, დაღლილობისაგან აკანკალებული ხელით ისევ თავიდან იწყებდა ასო პ-დან და თავს ძალას ატანდა, რომ როგორმე ბოლომდე დაეწერა მისი სახელი. დაამთავრებდა თუ არა, ისევ თავიდან იწყებდა.

ბოლოს ქანცი ელვოდა, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა, გამოჰყავდა სხვა აიტყვებდა და გააფთრებამდე მიდიოდა.

განდევნილთა ყოველგვარმა უცნაურობამ შეიპყრო ქანა. სულ უმნიშვნელო ნივთის გადაადგილებაც კი აღიზიანებდა მას.

როზალია მაინც აიძულებდა ქანას, რომ ემოძრადა, სასეირნოდ გამოჰყავდა გზაზე, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ ქანა აცხადებდა:

— მეტი აღარ შემიძლია, ჩემო გოგო. — და გზისპირა თხრილთან ჯდებოდა.

მალე მან ყოველგვარი მოძრაობა შეიძულა და რაც შეიძლებოდა დიდხანს რჩებოდა ლოგინში.

მხოლოდ ერთი ბავშვობის დროინდელი ჩვეულება კვლავ მტკიცედ ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში: რძიანი ყავის დაღვევისთანავე ღებებოდა ლოგინიდან. ეს სასმელი განსაკუთრებით უყვარდა და სხვა ყველაფერს უფრო შეეღეოდა, ვიდრე მას. იგი ყოველ დილით თავის სტუბური აგზნებული მოუთმენლობით ელოდებოდა როზალიას შემოსვლას და, როგორც კი სავსე ფინჯანი გაჩნდებოდა ღამის პატარა მაგიდაზე, მაშინვე ლოგინზე წამოჯდებოდა და ხარბად სვამდა ყავას. შემდეგ გაღიხვრიდა საბანს და ტანზე იცვამდა.

მაგრამ ნელ-ნელა ქანა მიეჩნია ღამბაქზე ფინჯანის დადგმის შემდეგაც რამდენიმე წამს კიდევ ეოცნება. შემდეგ კი ისევ წვეებოდა ლოგინში და ასე დღითი-დღე ახანგრძლივებდა ზოზონს, ვიდრე გააფთრებული როზალია არ გამოჩნდებოდა და თითქმის ძალით არ ჩააცემებოდა ტანზე.

სხვათა შორის, ქანას ნებისყოფის ნასახივრ აღარ შერჩა და ყოველთვის, როცა მოახლე რჩევისათვის მიმართავდა ან როცა რაიმეს ჰკითხავდა, მისი აზრი რომ გაეგო, იგი უპასუხებდა:

— როგორც გინდა, ისე გააკეთე, ჩემო გოგო.

ქანამ ისე დაარწმუნა თავი, უკუღმართმა ავმა სულმა დამნავსაო, რომ წმიდა აღმოსავლურ ფატალიზმამდე მივი-

და; იგი თავს არწმუნებდა, რომ მისი ოცნებები ილუბება, იმედები იმსხრება და მთელი დღეობით ყოველგვარად ვიდრე სრულიად უმნიშვნელო მოქმედებას გადაწყვეტდა, ისე სჯეროდა, რომ სწორ გზას აცდენილია და საქმე ცუდად წაუთვა.

ქანა წარამარა იმეორებდა:

— რა უიღბლო გავჩნდი ამქვეყნაზე.

როზალია აღშფოთებით უპასუხებდა:

— რას იტყოდით მაშინ, ლუკმა პურის

ძებნა რომ დაგპირებოდით, ყოველდღე დილის ექვს საათზე წასულიყავით დღიურ სამუშაოზე? საკმაოდ ბევრია ისეთი ქალები, რომლებიც იძულებული არიან ასე მოქცენენ, მაგრამ ღრმა მოხუცებულობისას მაინც სილატაკეში კვდებიან!

ქანა უპასუხებდა:

— აბა დაუფიქრდი, მე ხომ სულ მართო ვარ, შეილმაც მიმატოვა.

მაშინ მთლად გაიცეცხლებული როზალია ამბობდა:

— აი, თურმე რაშია საქმე! იმათ რაღა უნდა თქვან, რომელთა შვილები სამხედრო სამსახურში არიან, ან ამერიკაში გადასახლდნენ?

როზალიას ამერიკა ესახებოდა რაღაც გამოუცნობ ქვეყნად, სადაც სიმდიდრის მოსაპოვებლად მიდიან და საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

როზალია განაგრძობდა:

— ადრე თუ გვიან ღება მომენტი, როცა განშორება აუცილებელია, რადგან მოხუცები და ახალგაზრდები ერთად ცხოვრებას ვერ ეგუებიან.

და უღმობღეო ტონით დაასკვნიდა:

— ან რას იტყოდით, თქვენი შვილი რომ მომკვდარიყო?

ამის პასუხს ქანა ვეღარ პოულობდა.

როგორც კი გაზაფხულის პირველ დღეებში ჰაერი შერბილდა, ქანა რამდენადმე მოღონიერდა, მაგრამ ენერგიის დაბრუნების შემდეგ იგი მეტი გაშმაგებით მიეცა თავის შავ ფიქრებს.

ერთხელ დილით ქანა სხვენზე რაღაც ნივთს ეძებდა და შემთხვევით გააღო ძველი კალენდრებით სავსე სკივრი; მათ

ინახავდნენ ბევრი სოფელის ჩვეულებრისამებრ.

თითქმის თავისი წარსული ცხოვრების წლები იპოვაო, ჟანა შეიპყრო უცნაურმა, ბუნდოვანმა მღელვარებამ და სახტად იდგა ამ ოთხკუთხედი მუყაოს ქალღლების გროვის წინ.

მან ყველას ერთად მოხვია ხელი და ქვევით, სასადილო ოთახში ჩაიტანა. ეს იყო ყველანაირი ზომის ქაღალდი, დიდები და პატარები. ჟანა წლების მიხედვით ალაგებდა მათ მაგიდაზე. უეცრად იპოვა პირველი კალენდარი, ის, რომელიც თვითონ ჩამოიტანა ჩინარში.

მან დიდხანს ათვალიერა ეს კალენდარი, რომელზეც საკუთარი ხელით წაეშალა რიცხვი იმ დღით, რუნიდან რომ მიემგზავრებოდა მონასტრის დატოვების მეორე დღეს. და ჟანა ატირდა. იგი ტიროდა მწარე, გამშრალი ცრემლებით, იმ მოხუცი ქალის უმწყო ცრემლებით, რომელსაც თვალწინ დაუდგა თავისი უბედურებით სავსე ცხოვრება, აღბეჭდილი აი, ამ მაგიდაზე გადაშლილი მუყაოს ნაჭრებში.

უეცრად ჟანას გაუელვა აზრმა, რომელიც მალე მკაცრ, განუმეორებელ და განუზიდებელ მანიად ექცა. მან მოინდომა დღიდან დღემდე აღედგინა ყველაფერი, რაც კი გაუქუთებია თავის სიცოცხლეში.

მუყაოს ეს გაყვითლებული კვადრატები მან ერთი მეორის მიყოლებით ნემსით დაამაგრა კედელზე და საათებს ატარებდა ხან ერთის, ხან მეორის წინ და იხსენებდა: „რა შემემთხვა მე ამ თვეში?“

ჟანა ხაზს უსვამდა თავისი ცხოვრების ღირსსახსოვარ თარიღებს და, ამრიგად, ზოგიერთი თვე მთლიანად აღადგინა მეხსიერებაში, ერთმანეთს უხამებდა და უკავშირებდა რა ყოველ წერილმან ფაქტს, რომელიც წინ უსწრებდა ან მისდევდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას.

მხოლოდ ყურადღების და მეხსიერების დიდი დაძაბვით, მთელი ნებისყოფის მოკრებით და იმის წყალობით, რომ ძლიერ იოლად და მკაფიოდ იხსენებდა თავისი ცხოვრების შორეული წარსულის

მოვლენებს, მან მოახერხა თითქმის მთლიანად აღედგინა ჩინარში სიტყვის პირველი ორა წელაწადი. **თარგმანი**

მაგრამ შემდგომი წლები ბურუსში იკარგებოდა. ირეოდა, ერთმანეთს ახვადებოდა. ზოგჯერ ჟანა დიდხანს იჯდა თავჩალუნული რომელიმე კალენდრის წინ და წარსულზე ფიქრით გადაქანტულს ვერაფერით ვერ გაერკვია. მუყაოს ამ ნაჭერს ეკუთვნოდა თუ არა ესა თუ ის მოვლენა. იგი დადიოდა კალენდრიდან კალენდართან, სამუდამოდ ჩავლილი დღეების ამ სურათებთან, რომლებმაც გზაჯვარედინის მსგავსად მოჰყვნილი იყო მთელი ოთახი. შემდეგ ერთ-ერთი მათგანის წინ სკამს დაიდგამდა და თავისი მოვლენების ჩიჩქნაში ჩაძირული უძრავად იჯდა დაღამებამდე.

და უცბად, როცა მზის მცხუნვარებამ სიცოცხლე გააღვიძა, როცა მინდვრებზე ნათესებნი ამოიწვერა, ხოლო ხეებმა ფოთლები მოისხეს, როცა ვაშლის ხეები ბაღებში ვარდისფერ ბუჩქებად გადაიფურჩქნა და არომატით გაჟღინთა ვაკე, ჟანაც საოცრად აეგზნო.

იგი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, წინ და უკან დადიოდა, დღეში ოცჯერ გადიოდა და ისევ შემოდისოდა. ხშირად სინანულის ციებ-ცხელებით შეპყრობილი შორს, ფერმებს შორის ხეტიალობდა.

ხშირ ბაღახში მოკრუნჩხული ზიზილები, მზის სხივი, ფოთლებს შორის რომ იპარებოდა, ნაურმალში დაგებებული წყალი, რომელშიც ლურჯი ცა ისარკებოდა, ყველაფერი ეს აღელვებდა ჟანას, გულს უჩუყებდა. გონებას ურევდა, მივიწყებულ შეგარძნებებს უღვიძებდა, როგორც მისი ქალიშვილური განცდების გამომახილს, როცა იგი მინდვრებზე ხეტიალობდა და ოცნებობდა.

იგი ისევ ერთოდა, ისევ ტკებოდა გააფხულის სითბოს გამაბრუებელი სიამითა და ნეტარებით, როგორც მაშინ, როცა მომავლის მოლოდინით ცხოვრობდა. და ახლა, როცა დაუფიქრდა და მიხვდა, რომ მომავალი აღარსადაა, ჟანა ერთსა და იმავე დროს მთელი გულთაყხარობდა და იტანჯებოდა კიდევ, თითქმის

მის გამომშრალ კანში, მის გაციებულ სისხლში, მის დამძიმებულ სულში შეღწეულ გაღვიძებული სამყაროს მარადიულ სიხარულს ახლა მისთვის მხოლოდ მიმქრალი, მიბუთებული მიმზიდველობა შეეძლო გაემეტებინა.

ქანას ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა ამქვეყნად. მზე ისე ვეღარ ათობდა, როგორც მის ყრმობაში, ცასაც არ აღწევდა ისეთი ღეროვანი ფერი, ბალახსაც დაეკარგა თავისი მწვანე ფერი, ყვავილებიც კი გაუფერულდნენ, ნაყლებად მომხიბვლელი გახდნენ და ვეღარ ავრცელებდნენ წინანდელ გამაბრუებელ სურნელებას.

მაგრამ ისეთი დღეებიც გამოერეოდა, როცა ქანას კარგი გუნება-განწყობილება ედგებოდა და იგი ისევ ოცნებობდა, იმედოვნებდა, ელოდა. ან კი განა შეიძლება, რაგინდ უღმობელი და სასტიკი ბედის გზედეს, მუდამ უიმედოდ იყო, როცა გარეთ ასეთი სიამეა?

თავისი ავზნებული სულით გამხსნელებული ქანა მთელი საათობით დადიოდა სახლის წინ. ზოგჯერ უეცრად შეჩერდებოდა, ჩამოვდებოდა გზის პირას და სევდიან ფიქრებს მიეცემოდა: რატომ არ უყვარდათ იგი ისე, როგორც სხვები? რატომ არ ხვდა მას წილად ეგემნა სულ უბრალო სიამეც კი მშვიდი არსებობისა?

ზოგჯერ ქანა წუთით ივიწყებდა, რომ მოხუცი იყო, რომ ამერიდან არაფერი ადარ ელოდა. გარდა რამდენიმე უსიხარულო და განდევნილ წელიწადისა, რომ მთელმა მისმა ცხოვრებამ უკვე ჩაიარა და იგი, როგორც ოდესღაც, როგორც თექვსმეტი წლისა, აწყობდა გულისგამხარებელ გეგმებს, ხატავდა მომავლას მომხიბვლელ სურათებს. მაგრამ უეცრად მკაცრი სინამდვილის შეგნება დაატყდებოდა თავს: იგი დგებოდა ისე დამტყვევებული, თითქმის რაღაც სიმძიმე დაეცა და წელი მოსწყვიტაო, და უკვე უფრო ნელა გაუდგებოდა გზას სახლისაკენ. იგი ჩურჩულებდა:

— ოჰ! გამოშტერებული ბებერი ვარ! სულელი ბებერი!

ახლა როზალია წამდაუწუმ უმეორებდა:

— დაწყნარდით, ქალბატონო! ზნელოვნება დღევანდელ ასე?

ერთხელ დილით მოახლე ჩვეულებრივზე ადრე შევიდა მის ოთახში, მაგიდაზე რძიანი ყავა დაუდგა და უთხრა:

— აბა, ჩქარა დალიეთ, დენი გველოდება პარამლთან. ჩინარში უნდა წავიდეთ, იქ საქმე მაქვს.

ქანას ეგონა, ეს-ესაა გული შემიღონდებაო. მღელვარებითა და შიშით აცხცებულმა ტანზე ჩაიცვა. იმის გაფიქრება, რომ იგი კვლავ ნახვდა თავის ძვირფას სახლს, აბნევდა და ძალ-ღონეს აცლიდა.

გაბრწყინებული ცა გადაფენოდა დღემიწას. ცხენი გახალისდა და ზოგჯერ ჰენებით მიგელავდა. ეტუვანის თემში შესვლისას ქანას სუნთქვა შეეკრა, ისე ძლიერად უცემდა გული, ხოლო როცა აგურის ბოძებიანი ღობე შეამჩნია, ორჯერ თუ სამჯერ უნებლიეთ ამოიოხრა:

— ოჰ! ოჰ! ოჰ! — თითქმის გულისამაფორიქებელ სანახაობას უყურებდა.

ორთვალა კუიარებთან გააჩერეს და, სანამ როზალია და მისი შვილი თავის საქმეებზე დადიოდნენ, ფერმერებმა ქანას შესთავაზეს, მეპატრონეები აქეთ არ არიან, სახლში შეიარეთო და კლიტეები მისცეს.

ქანა მარტო წავიდა. ძველ სასახლეს ზღვის მხრიდან მიადგა, შეჩერდა და შეათვალიერა იგი. გარედან ყველაფერი უცვლელად დაეტოვებინათ. იმ დღეს ამ განიერი მონაცრისფერი შენობის პირქვეშ კედლებზე მზის სხივები იდიმებოდნენ. ყველა დარბაზი დაკეტილი იყო.

ქანას პატარა გამხმარი ტოტი დაეცა კაბაზე, მან ზევით აიხედა: ჰადრიდან დასცემია. ქანა მიუახლოვდა გლუვ და მჭრქალკანიან სქელ ხეს და ხელებით მიეაღერა, როგორც ცოცხალ არსებას. ბალახში დამპალ ხის ნატეხს წამოჰკრა ფეხი. ეს იყო უკანასკნელი ნამტერევი იმ სკამისა, რომელზეც იგი ისე ხშირად ჯდებოდა თავისიანებთან ერთად და რო-

მელიც დადგეს იქ ყულოენის პირველი ვიზიტის დღეს.

შემდეგ ჟანა ვესტიბულის ირსაგდულიან კარებს მიადგა და დიდი გაჭირვებით გააღო იგი, რადგან მძიმე დაჟანგული კლიტე არ ემორჩილებოდა. ბოლოს ჰოქლომი ზანტი ჭრიალით ნებას დაჟყვა და უკვე ცოტათი მორყეული კარი ერთი ბიძგით გაიღო.

ჟანამ მაშინვე, თითქმის სირბილით, მიაშურა თავის საძინებელს. მან ვერ იცნო იგი. იქ თეთრი შპალერი გაუქრავთ, მაგრამ ფანჯარა რომ გაღო და საყვარელ ჰორიზონტს გახედა, სულის სიღრმეში შეძრული ჟანა იქვე გაქვავდა. იგი უყურებდა წარადებს, თელებს, ლანდას, შორიდან თითქმის უძრავი წაბლისფერი იალქნებით მოფენილ ზღვას.

შემდეგ მან ხეტილი დაიწყო ამ ვეებერთელა ცარიელ ბინაში. ათვალერებდა კედლებზე ძლიერ ნაცნობ ლაქებს. იგი შეჩერდა ერთი კუბურუტანის წინ, რომელიც მამამისმა გაბურღა შეღესილ კედელზე. ამ კედელს რომ ჩაუვლიდა, ბარონი ახალგაზრდობას გაიხსენებდა ხოლმე და თავის გასართობად ჯოხით ფარკობდა.

დედკოს ოთახში, საწოლის მახლობელ ბნელ კუთხეში, კარის უკან მან იპოვა ოქროსთავიანი ქინძისთავი, რომელიც ოდესღაც თვითონ ჩაარტო იქ (როგორც ახლა აგონდებოდა ეს), შემდეგ კი წლობით ეძებდა, და ვერც ვერავინ იპოვა ის. ჟანამ აიღო ქინძისთავი, როგორც ფასდაუდებელი რელიკვია, და აკოცა.

ჟანა ყველაფერს ედებოდა. ეძებდა და პოულობდა თითქმის უჩინარ ანაბეჭდებს წინანდელ, გამოუცვლელ გადასაკრავებზე, კვლავ ზედავდა იმ უცნაურ ფიგურებს, რომელთაც ჩვენი ფანტაზია მიაწერს ხოლმე ქსოვილის ნახატებს, მარმარილოს ძარღვებს ან გამოსახულებათა ჩრდილებს ჟამთა ვითარებაში გამუქებულ ქერზე.

იგი უხმაუროდ, სულ მარტო დადიოდა ვეებერთელა დადუმებულ სახლში, როგორც სასაფლაოზე. მთელი მისი ცხოვ-

რება აქ იყო დამარხული. ჟანა სასტუმრო ოთახში ჩავიდა. დარბები დახურული იყო და ბნელოდა. ერთხანს მან შეძგინა რაფერს ზედავდა, მაგრამ შემდეგ თვალი შეაჩვია სიბნელეს და თანდათან იცნო მაღალი შპალერი, რომელზეც ჩიტები დაფარულატებდნენ. ორი სავარძელი ძველებურად ბუხრის წინ იდგა, თითქმის ეს-ეს არის მიატოვესო. თვით სუნიც კი ოთახისა, მისი განსაკუთრებული სუნი, როგორც ეს ცოცხალ არსებებს აქვთ ხოლმე, სუსტი, მაგრამ კარგად ნაცნობი არამატი, ძველ სავანეთა ნაზი და გაურკვეველი სურნელება იჭრებოდა ჟანაში, ახვევდა მას მოგონებებში. უბრუებდა ტვინს. წარსულის ამ ამონასუნთქს დაწაფებულ ჟანას სული ეხუთებოდა და თვალს არ აცილებდა ორ სავარძელს. უცბად ავკიატებულმა აზრმა წარმოშვა წამიერი ჰალუცინაცია. მას მოეჩვენა, არა, ცხადად დაინახა, როგორც ხშირად დაუნახავს წინათ, რომ დედა და მამა სხედან და ფეხებს ითბობენ ცეცხლთან.

შეშინებულმა ჟანამ უკან დაიხია, ზურგით დაეჯახა კარს და მიეყრდნო მას, რომ არ დაეცემულიყო, მაგრამ სავარძლებისათვის თვალი მაინც არ მოუცილებია.

მოჩვენება გაქრა.

რამდენიმე წუთს ჟანა გონს ვერ მოვიდა; შემდეგ ნელ-ნელა თავი შეიკავა და იმის შიშით, მთლად არ გავგიჟდო, გაქცევა მოინდომა. შემთხვევით მან თვალი მოჰკრა კარის ამყოლს, რომელსაც ეყრდნობოდა, და შეამჩნია „პოლის ქდეები“.

სუსტი ანაბეჭდები უთანასწორო შუალედებით ზევით მიჰყვებოდა შედებილი კარის კიდეს, ხოლო ჯაყვით ამოჭრილი ციფრები უჩვენებდა მისი შვილის წლებს, თვეებს და სიმაღლეს. ზოგი ხელწერა, უფრო მსხვილი, ბარონისა იყო, უფრო წვრილი კი თვით ჟანასი; ხან კიდევ დედა და ლიზიონისა, აკანკალებული ხელით დაწერილი. ჟანას მოეჩვენა, რომ პატარა პოლი აქაა, მის წინ და თითქმის ქერათმიანი თავით ისევ ეკვრის კედელს, რომ სიმაღლე გაუზომონ.

ბარონი ყვიროდა: „ჟანა, იგი ერთი სანტიმეტრით გაიზარდა ამ ექვსი კვირის განმავლობაში!“

ჟანამ გაშმაგებული სიყვარულით და-
მოცნა კარის აყვოლი.

მაგრამ მას ეზოდან დაუძახეს. ეს რო-
ზალია იყო:

— მაღამ ჟანა, მაღამ ჟანა, საუზმეზე
გელოდებიან.

ჟანა თავგზაბანებული გავიდა. არ ეს-
მოდა რას ელაპარაკებოდნენ. ჭამდა, რა-
საც მიუტანდნენ, ყურს უვდებდა საუ-
ბარს, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა; ალ-
ბათ, ესაუბრა ფერმერ ქალებს, რომლებ-
მაც მისი ჯანმრთელობა აინტერესებდათ,
ნებას რთავდა მისთვის ეკონათ, თვითო-
ნაც კოცნიდა მიშვერილ ლოყებს და, ბო-
ლოს, ჩაჭდა ეტლში.

როცა სასახლის მაღალი სახურავი ხე-
ებს ამოეფარა და მხედველობიდან დაკა-
რგა, ჟანამ საშინელი გულისტკივილი
იგრძნო. გრძნობდა, რომ ახლა კი სამუ-
დამოდ გამოემშვიდობა მშობლიურ
სახლს.

დაბრუნდნენ ბატყილში.

ახალ ბინაში რომ შედიოდა, ჟანამ კა-
რების ქვეშ თეთრი რაღაც შეამჩნია. ეს
იყო წერილი, რომელიც ფოსტალიონმა
შეაგდო ჟანას იქ არყოფნის დროს. მან
იმწუთშივე იცნო პოლის წერილი. მღელ-
ვარებისაგან აცახცახებულმა გახსნა და
წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო დედა, აქამდე იმიტომ
არ გწერდი, რომ არ მინდოდა იძულებუ-
ლი გამეხადე ტყუილ-უბრალოდ ჩამო-
მეყვანე პარიზში, რადგან მე თვითონ
დღე დღეზე ვაპირებდი შენს მონახულე-
ბას. ამჟამად დიდი უბედურება დაამატე-
და თავს და მეტისმეტად მძიმე მდგო-
მარეობაში ვარ. სამი დღის წინ ჩემს
ცოლს გოგონა შეეძინა და ახლა სიკვდი-
ლის პირზეა. მე კი ერთი სუტ არ გამაჩ-
ნია. არ ვიცი რა ვუყო ბავშვს. ჯერჯერო-
ბით მას შეძლებისდაგვარად ჩემი მეკარე
ქალი ზრდის საწოვარათი. მაგრამ მეში-
ნა ისიც არ დავკარგო. ხომ არ შეგიძლია
შენ იყისრო მისი გაზრდა? მე სრულებით
არ ვიცი რა გავაკეთო და არც ფული

მაქვს, რომ ბავშვი გავაძიო. მიპასუხე
სასწრაფოდ. შენი მოსიყვარულე შვილი

პოლი“.

ჟანა სკამზე ჩაიკეცა და ძლიერ
ბა ძალა, როზალიასთვის რომ დაეძახა.
როცა მოახლე ქალი მოვიდა, მათ ერთდ
გადაიკითხეს წერილი და შემდეგ დიდ-
ხანს ჩუმად ისხდნენ ერთმანეთის პირდა-
პირ.

ბოლოს როზალიამ თქვა:

— მე წავალ პატარასათვის, ქალბატო-
ნო. ბავშვს ხომ ვერ მივატოვებთ ასე.

ჟანამ უპასუხა:

— წადი, ჩემო გოგო.

ისინი ისევ გაჩუმდნენ, შემდეგ მოახ-
ლემ განაგრძო:

— დაიხურეთ შლაპა, ქალბატონო, და
წავიდეთ გოდერვილში ნოტარიუს-
თან. თუ ის ქალი კვდება, ბატონმა პოლ-
მა იგი უნდა შეირთოს გოგონას გული-
სათვის.

ჟანამ უსიტყვოდ დაიხურა შლაპა.
ღრმა, იღუმალმა სიხარულმა აავსო მისი
გული, ვერაგულმა სიხარულმა, რომ-
ლის დაფარვასაც ყოველნაირად ცდი-
ლობდა იგი. იმ უსინდისო სიხარულმა,
რომლისგანაც წითლდებოდა, მაგრამ რომ-
ლითაც გულის სიღრმეში გაგიყვებით
ტყუბიან: მისი შვილის საყვარელი
კვდებოდა.

ნოტარიუსმა დაწვრილებით აუხსნა მო-
ახლეს როგორ უნდა ემოქმედა; როზა-
ლიამ რამდენიმეჯერ გაამეორებინა იგი
და, როცა დარწმუნდა, აღარ შეეცდებოდა,
განაცხადა:

— ნუ გეშინიათ, ახლა ყველაფერი
ჩემზე იყოს.

იგი იმ საღამოსვე გაემგზავრა პარიზს.
ჟანა ორ დღეს ისე ლელავდა, რომ აზ-
როვნების უნარი გამოეცალა. მესამე
დღეს, დილით, როზალიასაგან მიიღო
ერთი ვანაწერა, რომელიც აუწყებდა,
რომ მოახლე საღამოს მატარებლით და-
ბრუნდებოდა. მეტი არაფერი.

სამი საათისათვის ჟანამ მეზობელს ორ-
თვალა ეტლი შეაბმევინა და ბეზვილის
სადგურში გაემგზავრა როზალიას შესაზ-
ვედრად.



ქანა ბაქანზე იდგა და მიშტერებოდა ლიანდაგების სწორ ხაზებს, რომლებიც შორს მიდიოდნენ და სადღაც იქ, პორი-ზონტზე ერთმანეთს უერთდებოდნენ. დრო და დრო იგი საათს უყურებდა. „კიდევ ათი წუთი. — კიდევ ხუთი, — კიდევ ორი წუთი. — აი უკვე დროა“, მაგრამ შორს ლიანდაგზე არაფერი ჩანდა. შემდეგ უეცრად შეამჩნია თეთრი ლაქა, კვამლი, შემდეგ მის ქვევით შავი წერტილი, რომელიც დიდდებოდა, დიდდებოდა და მთელი სიწრაფით ახლოვდებოდა. ბოლოს ვეებერთელა მანქანამ სვლას უკლო და ქშენით ჩაუარა ქანას, რომელიც ხარბად ათვალიერებდა ვაგონის კარებს. რამდენიმე მათვანი გაიღო, პლაცდორმაზე ჩამოდიოდნენ ბლუზიანი გლეხები, კალათებიანი ფერმერი ქალები, რბილქუდიანი წვრილი ბურჟუეზი. ბოლოს მან დაინახა როზალია, რომელსაც რაღაც თეთრი შეკვრა ეკავა.

ქანას უნდოდა მისკენ წასულიყო, მაგრამ შეშინდა, არ დაეცეო, ისე დასუსტებოდა ფეხები. დაინახა თუ არა იგი, მოახლე ჩვეული სიმშვიდით მიუახლოვდა და უთხრა:

— გამარჯობათ, მაღამ ქანა, აი მე დავბრუნდი, თუმცა ბევრი გასაჭირი შემხვდა.

ქანამ წაილულულა:

— მაინც?

როზალიამ უპასუხა:

— აი რა. ქალი წუხელ გარდაიცვალა. ისინი ცოლ-ქმარი არიან. აი პატარა.

და მან გაუწოდა ბავშვი, რომელიც არც კი ჩანდა აუარება სახვევში.

ქანამ უნებლეთ გამოართვა იგი. ისინი სადგურიდან გავიდნენ და ეტლში ჩასხდნენ.

როზალიამ აუწყა:

— ბატონი პოლი დაკრძალვის შემდეგ ჩამოვა. შეიძლება ხვალ, ამ დღესვე წაილულულა:

— პოლი...

მხოლოდ ეს ერთი სიტყვა.

მზე პორიზონტზე ეშვებოდა და სინათლით რწყავდა ამწვანებულ ველებს. შეფერადებულს აყვავებული რაფსის ოქროსფერი ლაქებით და სისხლისფერი ყაყაოებით. უსაზღვრო მყუდროება სუფევდა დამშვიდებულ მიწაზე, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა. ორთვალა სწრაფად მიგორავდა, გლეხი ენას აწყლავუნებდა და აქეზებდა ცხენს.

ქანა იყურებოდა პირდაპირ, ცაში, რომელსაც აფრენილი მერცხლების გუნდი რაკეტასავით კვეთდა. უეცრად ნახმა სითბომ, სიცოცხლის სითბომ შეატანა ქანას კაბაში, გადაეცა ფეხებს და მთელ სხეულში შეიჭრა. ეს იყო იმ პატარა არსების სითბო, მის მუხლებზე რომ ეძინა.

მაშინ ქანა განუზომელმა მღელვარებამ შეიპყრო. მან სწრაფად გამოაჩინა ბავშვის სახე, რომელიც ჯერ არ ენახა: მისი შვილის გოგონა. და როცა მკვეთრი სინათლით შეშფოთებულმა სუსტმა არსებამ თავისი ცისფერი თვალები გაახილა და ტუჩები ააწმანუნა, ქანამ მაგრად ჩაიკრა იგი გულში, აიყვანა ხელში და გაშმაგებული კოცნით დაუფარა სახე.

მაგრამ კმაყოფილმა როზალიამ ბუზდუნით შეაჩერა იგი:


— კმარა, კმარა, ქალბატონო ქანა, გეყოფათ, თორემ აატირებთ პატარას.

შემდეგ მან დასძინა, თითქოს თავის საკუთარ ფიქრებს უპასუხაო:

— ხედავთ, როგორია წუთისოფელი: იგი არც ისე კარგია და არც თუ ისე ცუდი, როგორც ჰგონიათ.

ფრანგულიდან თარგმნა ლამარა მხაიძემ.





ნოღაქ მოღაბაქი

სოფლის თვალნი

ოდნავ ღრუბლიანი დღე იდგა, მზე დრო და დრო გამოიხედავდა ხოლმე. ცაზე გაფენილ ღრუბლის თეთრ ქულებს ქარი აღმო-სავლეთისაკენ მიერეკებოდა და მოჩანდა პირამოწმენდილი ცისკიდური, რომელიც იქ, თვალსაწიერზე, ზღვას უერთდებოდა. გზა ქობულეთს რომ გაცდა, დაიწყო ჩაის პლანტაციები. გზის ორივე მხარეს ნაძვისა და ფიჭვის ახალგაზრდა ხეები მისდევდა. ალაგ-ალაგ, შუა პლანტაციებში, ქვის ფარდული იდგა. ეს კოლმეურნეთა მოსასვენებელი ადგილებია. აქვე იწონება მოკრეფილი ჩაის ფოთო-ლი და აქვე სადილობენ მეჩაიე-ები. სწორედ რომ ჩაის საკრეფი ამინდი იდგა. პირველი ვეგეტა-ციაც შესანიშნავი იყო და კოლმე-ურნეები დილიდანვე უკლებლივ გამოსულიყვნენ სამუშაოდ. უფ-როსებს გვერდში ახალგაზრდე-

ბიც ამოსდგომოდნენ, ჩაის კრეფ-დნენ თავდახრილნი, უსიტყვოდ, ხელის სწრაფი მოძრაობით. იესე-ბოდა კალათები, გოდრები...

ვუყურებდი მათ და უნებლიეთ ვფიქრობდი, რომელი მათგანი უნდა შეასახელო, რომ არ გაგო-ცოს მისმა წარმატებამ. ყველას პატიოსანი შრომით გაუთქვამთ სახელი. ჰკითხეთ და გიპასუხებენ: შარშან გეგმაც და ვალდებულე-ბაც გადაჭარბებით შეასრულეს, გამოიმუშავეს შრომადლის მაქსი-მუმი, მიიღეს ამდენი და ამდენი ფულადი შემოსავალი. ეს ერთი მხრივ, მაგრამ საზოგადოებრივი შრომა ხომ მათი პირადი ბედნიე-რების წყაროა. ისევ ჰკითხეთ და გიპასუხებენ: ზოგის შვილი უმაღ-ლეს სასწავლებელში მოეწყო, ზოგი კიდევ უმაღლესი განათლე-ბით მშობლიურ სოფელს დაუბ-რუნდა. ერთის ოჯახში ქორწილი

იყო, მეორემ ძეობა იზეიმა, მესამემ ახალი სახლი აიშენა. ყველაფერი ეს ერთმანეთს ისე ერწყმის, რომ ძნელი დასაჯერებელია, ამ ორმოცი წლის წინათ უსახლკარო გლეხმა კულტურული ცხოვრების რა მაღალ დონეს მიაღწია... უყურებ მათ და ისევ უბრუნდები პირვანდელ ფიქრს: რომელი მათგანი უნდა შეასახელო, რომ ღირსეულად არ დაიცვას ხალხის წარმომადგენლის საპატიო სახელი...

მაგრამ მუხანგატელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მხოლოდ თინა რამაზის ასული ცეცხლაძე დაასახელეს.

მთას მთა მისდევს, ფერდობს — ფერდობი. ბოლო არ უჩანს ჩაის პლანტაციების რიგებს, ხოლო ალაგ-ალაგ, მაღალი ხეების კორომში, დგას კოლმეურნეთა ოდა-სახლები. როცა მზე გამოიხედავს, თუნუქის სახურავები თვალის მომჭრელად ლაღლაპებს, თითქოს ქვეყანას ახარბებს, შემხედვით, რა ამაყად ვდგავარო. გზიდან ერთ ნაბიჯზე, უკვე ჩაის პლანტაციები.

— თინა ცეცხლაძის პლანტაცია რომელია? — ვეკითხებით შუახნის ქალს.

ქალმა თავი ნელა ასწია, წელზე აკიდული კალათა გაისწორა და, როცა შემოგვხვდა, თვალები გაუნათდა.

— ჩვენი თინასი?

— დიახ, თქვენი თინასი, მაგრამ ახლა იგი მარტო თქვენი როდია.

ქალს გაეღიმა და ხელი ქვემოთ კენ გაიშვირა:

— აქვეა ახლოს.

— თავის პლანტაციაშია?

— რა თქმა უნდა!

ვიდრე თინას პლანტაციაში ჩავიდოდით, გზად კოლმეურნეობის თავმჯდომარე რეზო გოგითიშვილი შემოგვხვდა. დილაადრიან ისიც კოლმეურნეობთან ერთად გამოსულიყო პლანტაციებში. უკვე რამდენიმე ბრიგადის შემოვლა მოეწყო და ოდნავ დაღლილი წყაროზე გაოფლიანებულ სახეს იგრილებდა. დანახვისთანავე ჩვენკენ გამოემართა. ძალზე ახალგაზრდა ჩანდა. ჭაღარაშერეული ურჩი თმა თავზე ბუჩქივით ადგა. უნებლიეთ წლოვანება ვკითხე; ორმოცდაოთხისა ვარო, ბალღური ღიმილით თქვა მან. ალბათ, ეს კითხვა უკვე რამდენადმე ნაცნობი იყო მისთვის. ჩვენი მისვლის მიზეზი არც კი უკითხავს, თავადვე თქვა:

— ჩვენს თინასთან ხარო?

— დიახ!

— წამობრძანდით, გაგაცნობთ, — თქვა მან და დუმილის შემდეგ, როცა უკვე ბილიკს დავადექით, დასძინა, — ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი მოწინავე მეჩაიეა. თვითეული მათგანი ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, განსაკუთრებით ბევრი ახალი პლანტაცია გავაშენეთ. თუ წინათ გვესაყვედურებოდნენ გეგმების შეუს-

რულებლობას და არ ყოფილა არც ერთი საოლქო, თუ რესპუბლიკური თათბირი, სადაც ჩვენი კოლმეურნეობა არ გაეკრიტიკებინოთ, დღეს, როგორც ზედავთ, გამოსაჩენი პირი გვაქვს. ამას ისიც მოწმობს, რომ ჩვენმა კოლმეურნეობამ დაასახელა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. რა თქმა უნდა, თინა ერთია, მაგრამ მთელი სოფელი ვამაყობთ ამით. ჩვენი თინასაგან კიდევ მეტს მოველით. დარწმუნებული ვართ, ნდობას გაგვიმართლებს.

შუა პლანტაციაში შევჩერდით.

— აი, აქ იწყება თინას ფართობი, — თქვა რეზომ.

ღიახ, სწორედ აქ დაიწყო თინას წარმატებათა გზა, ამ ფართობზე, ამ მობიბინე ჩაის ბუჩქებში. და არც ისე დიდი ხნის წინათ. თინა აჭელია. მუხაესტატეში ამ შვიდიოდე წლის წინათ ჩამოსახლდა. თავდაპირველად ეძნელებოდა სხვა კუთხეში ყოფნა, სხვა ადამიანებთან შეთვისება. არ იცოდა, როგორი თვალთ შეხედავდნენ მას. მაგრამ პირველი დღეებიდანვე ახალი მეზობლები მხარში ამოუდგნენ: აჭიდან სახლის ჩამოტანაში დაეხმარნენ, სამოსახლოც გამოუყვეს. პირველმა შიშმა მალე გაიარა. თავის მხრივ, თინაც ამოუდგა ახალ მეზობლებს მხარში, ჩაის ფართობი გაიპიროვნა და დღენიადავ კარგი შრომით სოფლის სიყვარულს იხვეჭდა.

მართალია, იგი მაღალმთიან

სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ ჩაის კრეფაში უკვე დაოსტატებული იყო. ჯერ კიდევ მოწვევას აქვს ქალებს ქაქუთის კოლმეურნეობაში დაჰყვებოდა ჩაის საკრეფად. ყოველ დილით კოლმეურნეობის კანტორის წინ მოიყრიდნენ თავს, დასხდებოდნენ ავტომობილზე და ქაქუთში მიდიოდნენ. რა თქმა უნდა, შორი გზა ყველას ღლიდა, მაგრამ რა ექნათ. მათს კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერებაცა და საერთო შემოსავალიც ნაკლები იყო. 1958 წელს, როცა თინა ბედს ეწია, თუმცა ეძნელებოდათ მამა-პაპური კერის მოშლა, მთელმა ოჯახმა გადაწყვიტა ძველი კარმიდამო დაეტოვებინა. მაგრამ ერთ წელსაც არ გავიწყო, რომ ოჯახში იმატა შემოსავალმა. ოდა-სახლი ქვის სვეტებზე წამოჭიმეს, ქვედა სართული ქვით გამართეს. ეზოში მანდარინი და ხეხილი გააშენეს. ერთი შეხედვით, ახალმოსახლეობისა არაფერი ეტყობათ, მაგრამ მათი ოდა-სახლი სოფელში მაინც უღიმღამოდ გამოიყურება. ახალი სახლის აშენება იქვე, იმავე ეზოში, უკვე დაგეგმილი აქვთ; ზედა სართული იგივე დარჩება—აჭიდან ჩამოტანილი წაბლის სახლი, ხოლო ქვედა სართულსა და წინამოს ქვით გამართავენ.

თინა ათი წლისა იყო, როცა მამა სამამულო ომში დაედუბა. მამამ უმცროსი შვილი ტარიელი აკვანში დატოვა. თინა ერთობ დიდი ქალი გახდა. მთელი ოჯახის ავ-

კარგი დედასა და მას ჯაყვა მხრებზე. უმცროსი დაძმა (სულ ხუთნი იყვნენ) თინას შეჰყურებდა... ზამთრის შემასაც იგი ჭრიდა, პირუტყვსაც ის უვლიდა, წყალიც მას მოჰქონდა, სკოლაშიც სწავლობდა. მდგომარეობამ მძიმე შრომას შეაჩვია და ნებისყოფა გამოუმუშავა. როცა სამამულო ომი დამთავრდა, ჯერ მდელით „შრომითი მამაცობისათვის“ დააჯილდოვეს. ეს სიხარული ოჯახში ყველაზე მეტად თინამ გაიზიარა, რადგან იგი მასაც ეკუთვნოდა. გამოხდა ხანი. თინამ რვა კლასი დაამთავრა და სამუშაოდ სოფელში დარჩა. იგი უკვე თავს დიდ ქალად თვლიდა და შრომაში არავის ჩამორჩებოდა. 1950 წელს კომკავშირის რიგებში მიიღეს, ხოლო სამიოდე თვის შემდეგ მოწინავე გოგონა სოფლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. თავის სოფელში იგი მოწინავე იყო, მაგრამ რასაც გაზეთებში კითხულობდა და თავისი ყურით ისმენდა, მისი მიღწევები სათქმელადც არ ღირდა. ყველამ იცოდა, რომ თინას მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ საამისო პირობები მაღალმთიან სოფელში არ ჰქონდა.

ახალმოსახლეობა თინას ჩვილ ბავშვიანობას დაემთხვა. ახლა იგი სამი შვილის დედაა, უმცროსი ჯერ კიდევ აკვანში წევს, ხოლო უფროსი გაისად სკოლაში შევა. თინას მეუღლე — სკენდერი კოლმეურნეობაში მძლოლად მუშაობს. ხანდახან ჩაისაც კრეფს და შარ-

შან 454 შრომადლე გამოიმუშავა. მძლოლის პროფესიას ჯარისკაცის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევამდე დაეუფლა. თვალები უბრწყინავს, როცა სიტყვა მის ოჯახზე ჩამოვარდება. ევრც კი წარმოედგინა, თუ ესოდენ მოკლე დროში მთელი სოფლის სიყვარულს დაიმსახურებდნენ. უამრავი გეგმა და განზრახვა აქვთ. ახლა ოდნავადაც არ ეეჭვებათ მათი განხორციელება და თამამად ჰყვება ხოლმე. იცის, შეუძლებელი არაფერია ჩვენს ქვეყანაში, ყოველი დღე გამარჯვებისა და წინსვლის დღეა.

თინა მეოთხე ბრიგადის პირველი რგოლის წევრია. რგოლში სულ ჩვიდმეტი კაცია, მაგრამ მაინც ძნელია ყველა მათგანზე ილაპარაკო. შარშან რგოლმა გეგმაცა და ვალდებულებაც გადაჭარბებით შეასრულა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რგოლის ხელმძღვანელი ლილი მჟავანაძე, რომელმაც სახელმწიფოს 6,7 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარა, თ. ქაჯაია (4,2), ე. ელიაძე (4), მ. ტაკიძე (4,7 ტონა). წელს რგოლმა 43,2 ტონა „მწვანე ოქროს“ მოკრეფა გადაწყვიტა და ამ დავალების შესრულებას რგოლის თვითმული წევრი დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა. დეპუტატობის კანდიდატი წელსაც 0,6 ჰექტარ პლანტაციას უვლის. შარშან მან 7.340 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ე. ი. გეგმას

3.430 კილოგრამით გადააქარბა და საშუალო საპეტარო მოსავლიანობა თორმეტ ტონამდე გაზარდა. ერთი სიტყვით, თანამოსაქმეებს საკმაოდ გაუსწრო. წელს კი რვა ტონა „მწვანე ოქროს“ მოკრეფას აპირებს.

როცა დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებდნენ, თინა ჩვეულებრივ გამოცხადდა კრებაზე. საკოლმეურნეო კლუბის დარბაზი ხალხით იყო სავსე. იგი თავის მეგობრებთან ერთად ერთ კუთხეში იჯდა. რა თქმა უნდა, აინტერესებდა ვის დაასახელებდა სოფელი დეპუტატობის კანდიდატად, ვინ აღმოჩნდებოდა რჩეულთა შორის, ვის მიანდობდნენ ესოდენ დიდ და საპატიო საქმეს.

— მართალი გითხრათ, არ ველოდი, — ამბობს მოკრძალებით თინა, — ჩემი გვარი რომ გავიგონე, საკუთარ ყურებს არ დავუჯერე. არ ვიცოდი, რა ხდებოდა და გაყუჩებული ვიჯექი. ჩემი მეგობრები კი იქვე, დარბაზში ჩუმად მილოცავდნენ. ზოგი კიდევ სიტყვით გამოვიდა და ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა. არაფერი მეთქმის, გარდა იმისა, რომ მათი ნდობა უნდა გავამართლო!

— გვჯერა შენი, თინა, — უთხრა თავმჯდომარემ. — ხალხის ნდობას გავამართლებ!

თინას წინააღმდეგ 120 კილოგრა-

მი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრეფა. უკმაყოფილო იყო, წეტეა მოკრეფა შეიძლებოდა, მაგრამ რაღაღ თვითონ არაფერ შუაში იყო, წვიმამ შეუშალა ხელი. როცა ჩვენ გველაპარაკებოდა, თვალი ჩაის ბუჩქებისაკენ გაუბრუნდა. მშვენივრად მოვლილ პლანტაციასი მოსავალს კარგი პირი უჩანს, ჩველი ყლორტებით გადაბიბინებული ბუჩქები ზღვასავით ღელავს. ჩაის ფოთლის კრეფის დაწყებიდან სულ რამდენიმე კვირა გავიდა, მაგრამ თინამ უკვე ორ ტონამდე „მწვანე ოქრო“ მოკრიფა. წინ ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ თინა არაფერს ამბობს, დუმს. საბოლოო სიტყვას საქმე იტყვის...

ქარმა ღრუბლები გადარეკა და მზემ გამოიხედა. ჩაის ბუჩქებით გადამწვანებულ ფერდობებს მკრთალი ოქროსფერი დაედო. თინამ სავსე კალათს გადახედა, რომელიც ჩვენთან ლაპარაკის დროს იქვე, ბუჩქებს შუა დადო. სახეზე წუხილი დაეტყო. აღარ დაგვიყოვნებია, გამოვეთხოვეთ და წამოვედით. როცა უკან მოვიხედეთ, თინა ბუჩქს დასტრიალებდა, ჩაის ყლორტებს შერჩევით კრეფდა და თავაულებლივ კალათში ყრიდა. საოცარია, ადამიანის შესაძლებლობას ზღვარი არა აქვს. დაილოცოს მისი მარჯვენა!

15 მაისი. მუხანგატა.



სოლომონ ჩხაიძე

ზღვა და „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსანში“ ზღვა წარმოდგენილია როგორც ერთგვარი ფონი გმირთა მოქმედებისა თუ მათი სულიერი მდგომარეობის მხატვრული აღწერისას. ზღვა და მასთან დაკავშირებული საგნები პოემაში არის პოეტური ხერხების, მხატვრული შედარების, მეტაფორის და სხვათა შექმნის საშუალება. ამ თავისებურებათა ფონზე იშლება ზღვის მოტივი „ვეფხისტყაოსანში“. შეიძლება დავიწყოთ იმით, რომ რუსთაველი ხშირად აღნიშნავს გმირთა ცრემლისღვრის განსაკუთრებულ სიმწვავეს. პოემაში ასმათის შესახებ ნათქვამია:

„ატირდა მალლად ცრემლითა,
ზღვათაცა შესართავითა“.

ნესტანის დანახვისთანავე ტარიელს გული შეუღონდა, ამის გამო:

„დედოფალი ზღვასა შეიქმს,
მას რომ ცრემლი დაუღვრია“.

ზღვა სახელდებით ჭერ კიდევ პოემის დასაწყისშია მოხსენებული, იქ, სადაც გადმოცემულია როსტევან მეფის რჩევა-დარიგება გახელმწიფებული თინათინისადმი:

„უხვად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გაედინების“.

ამ სტრიქონს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უცხოელი მკვლევარი ასეთ შენიშ-

ვნას ურთავდა: ალბათ, ეს არის მეცნიერი პოეტის მიერ მოგონება იმ ბერძენ ფილოსოფოსთა თეორიისა, რომლის მიხედვით წყალი უხილავი მიწისქვეშა გზებით გამომდინარეობს ზღვიდან მდინარეთა სათავეებისაკენ და ასე ხდება მუდმივი მიმოქცევა წყლისა დედამიწაზეო (ნ. გულაკი).

ზოგჯერ ზღვა სახელდებით ნახსენები არაა პოემაში, მაგრამ ივულისხმება. ტარიელი უყვება ავთანდილს ნესტანისგული „ამაჰარის“ გამო:

ესეა ჩემი სიცოცხლე,
ჩემი მომცემი ახისა,
მჯობი ყოვლისა სოფლისა,
წყლისა, მიწისა და ხისა“.

ძვირფასო სუენიერი, რომელიც ნესტანის გადაკარგვის შედეგად დარჩენილია ტარიელს, მისთვის მთელ ქვეყანას (ყოვლისა სოფლისა—შდრ. „ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი“... 242) ნიშნავს, ე. ი. მთელ ზღვასა და ხმელეთს.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ხშირად იხსენიება ამირბარის თანამდებობით, რაც ზღვაზეა ეპიზოდის, სამხედრო-საზღვაო ძალთა მინისტრს (ა. შანიძე), აღმირალს, ფლოტის უფროსს (იუსტ. აბულაძე) ნიშნავს; ინდოეთის მეფემ ფარსადანმა ტარიელს მამას სარიდანს „უბოძა ამირბარობა“ (316). პოემაში დიდსტურობულია

ინდოეთის სახელმწიფო კანონი, რომ-
ლითაც „თვით ამირბარსა ინდო-
ეთს აქვს ამირ-სპასალარობა“, ე. ი. ტა-
რიელი არის საზღვაო საქმეთა ვაზირიც
და სახმელეთო ჯარების მთავარსარდა-
ლიც. სარიდანის გარდაცვალების შემდეგ
ზღვათა ვაზირობა ტარიელს უბოძეს.
ცნობილია მისი სიტყვები:

„ამირბარი ვარ, ხელმწიფე,
სრულად ინდონი მმონებენ“.

ტარიელიც შესანიშნავი მეზობლის
თვისებებს ამჟღავნებს ზღვაზე თუ ხმე-
ლეთზე.

ზღვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება
პოემის სიუჟეტში. ნესტანი დავარის
ბრძანებით ზღვაში კიდობნით გადაჯარ-
გეს:

„მან უთხრა: „წადით დაჯარგეთ
მუნ, სადა ზღვისა ჭიბია;
წყინდისა წყალი ვერ ნახოს.
მყინვარე, ვერცა ლიბია“.

„ზღვის ჭიბი“ ზღვის შუაგულს,
ცენტრს აღნიშნავს (ა. შანიძე).

სხვადასხვა ქვეყნის ზღვებში შეუღლუ-
ღავად დატურავენ და ზღვით სხვადასხვა-
ნაირ სავაჭრო თუ სხვა დანიშნულების
საქონელს ეზიდებიან. მხოლოდ ზღვის
მეკობრენი თუ უშლიან ხელს საზღვაო
მიმოსვლას. ასეთი თავისუფალი მიმოს-
ვლის ბევრი შემთხვევაა აღწერილი პო-
ემაში.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ რუს-
თაველი დიდი ოსტატობით გეიხატავს
ზღვაზე ხანგრძლივად ყოფნის დამღწეულ,
დამქანცველ და ერთფეროვან შთაბეჭდი-
ლებას. ტარიელი ამბობს:

„ზღვა-ზღვა ცურვა მომწყყინა,
მით გამოვე ზღვისა პირსა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ნიშანდობლივია
ზღვის სანაპირო ქალაქის — მულღაზან-
ზარის ხედი. ტარიელი უყვება ავთან-
დილს:

„ღამით მევლო, მოვიდოდი,
ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი;
ჭგანდეს ქალაქს, ვეახლენით,
ცალ-კერძ იყენეს კიდეთ ნაღნი...
მუნ გარდავხე მოსვენებად,
დამხედეს რამე ხენი ლაღნი“.

როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, მულ-
ღაზანზარი ლამაზი ქალაქია, რომელსაც
ზღვა და ზღვის სანაპიროს უკვლავს
შეენებს. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია
ზღვის სანაპიროზე ნადირობა, ღამის თე-
ვა, პურობა და ა. შ. ფრიდონი ამბობს:

„დღეს გამოვე ნადირობას,
ზღვისა პირსა ვინადირე“.

რუსთაველს იზიდავს ზღვის კლდოვა-
ნი სანაპიროებიც. ცნობილია ტარიელის
სიტყვები:

„აწ თავსა მისად საძებრად
მივსცემ, სად კლდე და წყალია“.

შორიდან მოჩანს ზღვა მთელი თავისი
მშვენიერებით:

„დღესა ერთსა მე და ფრიდონ
ნადირობას გამოვედიო,
ზღვასა ზედა წაწურვილსა
ქედსა რასმე გარდავედიო“.

ზღვაზე გადამღვარი (წაწურვილი) მა-
ღალი ქედიდან ზღვის მზერით ტყეებიან
რუსთაველის გმირები. ზღვაზე უცხო სა-
განი გამოჩნდება. იქმნება ახალი ვითარე-
ბა:

„ზოგჯერ ზღვისკე მივიხედნი,
წავსდგომოდი ამა გორსა;
ზღვასა შიგან ცოტა რამე,

დავინახე თუცა შორსა...
ვერად ვიცან, გავეკვირე
გონებასა ამაღ ორსა“.

ფრიდონს ვერ გაუტყვევია, თუ რა სა-
განია, შორიდან რომ ზღვაზე მოჩანს.
იგი იმწამსვე ცხენით მიეშურება სანაპი-
როსკენ:

„ზღვის პირსა მივე, შევხედენ,
ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა“.

„მზისა ტიალსა“ ნიშნავს ახლად ჩასულ
მზის შუქზე (ა. შანიძე). ჩამავალი მზის
სიმშვენიერე ზღვაზე თავისებურად წარ-
მოუსახავს რუსთაველს.

გულანშაროს სამეფოში თვალს ახარებს
ზამთარ-ზაფხულს მრავალფერადი ყვავი-
ლები, შესანიშნავი ზღვის სანაპირო.

„ზღვა გაიარა ავთანდილ,
მივა ტანითა მკვერითა.

ნახეს ქალაქი მოცულთ



გარე ბალისა ტევრითა...

მათ ბალთა პირსა დააბეს

ნავი საბლითა სამითაჲ.

„ზღვათა სამეფო“ მელიქ-სურხავის
სამფლობელოა. იქ მეტწილად ვაჭრები
ცხოვრობენ და, ცხადია, ალუბ-მიცემობა-
საც დიდი ვასაქანი აქვს.

„აქ მოდის ტურფა ყველი

ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა“

ავთანდილ-ფატმანის სატრფიალო თავ-
გადასავალში ჩვენს ყურადღებას იპყ-
რობს ჭანწანავირის საცხოვრებელი სახ-
ლის გარეგანი ხელი:

„ზღვის პირსა სახლი ნაგები

დგა ქვითა წითელ-მწვანითა,

ქვეშეთვე სრითა ტურფითა.

კვლა ზედათ ბანის-ბინითა,

დიდროვანითა ტურფითა,

მრავლითა თანის თანითა“.

ფატმანის სახლს კი რუსთაველი ასე
აღწერს:

„იქ ბალსა შიგან ტურფანი

სახლნი, ნატიფად გებულნი,

მალანი, ყოვლგნით მსედედენი,

ზღვას ზედა წაყიდებულნი“.

„წაყიდებულნი“ ამ შემთხვევაში „წა-
წურვილის“ სინონიმია და ნიშნავს ზღვა-
ზე გადამდარს. თავისთავად ცხადია
ზღვის სანაპიროს ასეთი ხედის სილამაზე.

რუსთაველმა შესანიშნავად იცის, რომ
ზღვის უსაზღვრო სივრცის დანახვა კაე-
შანს უქარვებს ადამიანს და აწყენარებს.
ფატმანი უყვება ავთანდილს:

„უქმოვანევენ სარკმელნი და

შევაქცივე პირი გზასა,

ვიხედვიდი, ვიქარვებდი

კაეშნისა ჩემგან ზოდასა;

შორს ამიჩნდა ცოტა რამე,

მოცურვიდა შიგან ზღვასა.

მფრინველად ეთქვი, ანუ მზეცად

სხვას ვამსგავსე მეცა რასა!“

აღსანიშნავია, რომ ავთანდილისადმი
ფრიდონის ნაამბობშიც ნავი ზღვაზე
სწრაფმავალია და შორიდან ფრინველი-
ვით ჩანს:

„აქა მათ ზანგთა მონათა,

მზე მოიყვანეს ნავითა...“

შორს მნახეს, ადრე გამეჩვენა.

ნავი მფრინველი ჩნდა ვითა
ზღვაზე მოგზაურობა განწყობილი
სიმძნელებთან იყო დაკავშირებული.

არაფერ იცოდა, რას უქადდა ზღვაში შე-
სულთ ნებტენი. ამ მხრივ ყურადღებას
იპყრობს ავთანდილის ლოცვის ერთი აღ-
გილი, სადაც იგი ევედრება უზენაესს
ბოროტებისა და ყოველგვარი მაცოდუნე-
ბელი ძალის დათრგუნვას:

„მტერთა ძლევა, ზღვათა დელვა,

ღამით მავნე განმარიდევ!“

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ბევრს მო-
გზაურობენ საკვირველსა და საოცარ
ქვეყნებში, მაგრამ მოგზაურობას თან ახ-
ლავს მოულოდნელობანი. აი ავთანდი-
ლის სიტყვები ტარიელისადმი:

„მოგშორდები და არ ვიცი,

თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი“.

„ვეფხისტყაოსნით“ ცნობილია, რომ
მეზღვაურთა შორის არიან უფრო გამო-
წრთობილნი, რომლებსაც ბევრი უვლიათ
და უნახავთ. ტარიელი და ფრიდონი ნეს-
ტანის საძებრად გზავნიან მეზღვაურებს:

„ჩვენ გავგზავნეთ მენავენი,

რომელთაც კვლა უვლია“.

ბოემით ცნობილია ზღვაზე „ცუდი ად-
გილები“ (642). ცხადია, ქართველიანი,
ნისლიანი, შტორმიანი; ცნობილია აგრეთ-
ვე „ცუდი ცურვა“ (650), რაც „ამაოდ
ცურვა“ (614), ზღვაზე უშედეგოდ გაწე-
ულ შრომას გულისხმობს. ყურადსაღე-
ბია ავთანდილისა და ტარიელის შეხვედ-
რის ერთი ეპიზოდი, რომელშიც ასახუ-
ლია უკაცრიელი ზღვის სანაპიროს სურა-
თი:

„თხა მოცლეს და მიითრიეს,

ცეცხლი შექმნეს ზღვისა პირსა,

სევს და ჭამეს, რაცა ჭამა

შეჰფეროდა მათსა ჭირსა;

მას ღამესა ერთად იყვნეს,

ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა“.

„ვეფხისტყაოსანში“ საზღვაო ბრძო-
ლების შემზარავი სურათია წარმოდგენი-
ლი:

„კიოდეს იგი ლაშქარნი,

ხმა მათი არ გაწყდებოდა,

ამგერეს ძელი, რომელსა



ზედა სახნისი ჰგებრდა,
 ყმა ნავის თავსა უშიშრად
 ქვე დგა, არ თურე კრთებოდა..."
 ბრძოლაში გამარჯვებული ავთანდილის
 შესახებ რუსთაველი პოეტური არტი-
 ტიზმით შენიშნავს:

„ამოა კარგსა მოყმესა,
 რა ომი გაჰმარჯვებოდეს...
 რა შეენოდეს დაკოდლობა,
 ცოტაი რამე ჰვნებოდეს“.

პოემაში აღწერილია ზღვაზე დაუნდო-
 ბელი ბრძოლა ტარიელისა ფრიდონის
 ბიძაშვილებთან. ამ საბრძოლო ეპიზოდ-
 ზში რუსთაველი იხსენიებს სხვადასხვა
 იარაღს: ისარს, აბჯარს, შუბს, ხმალს,
 რკინის კეტს, ჩაბალას (სპილენძის თავ-
 საბურავი), მეკობრეთა ნავის ძელს, „რო-
 მელსა ზედა სახნისი ჰგებოდა“ ნავთა სა-
 ძგერლად... ძელი მოკვეთილ ხეს ნიშნავს
 ძველ ქართულში, მაგრამ იგი „უღპოლ-
 ველ ურთხლის“ (საბა), ე.ი. არაადვილად
 აღოზადი ურთხელის აღმნიშვნელიცაა.
 ალბათ, ასეთი ძელი თუ ჰქონდა მეკობრე-
 თა ნავს.

ნავთან ერთად „ვეფხისტყაოსანში“ იხ-
 სენიება ხომალდიც. ავთანდილი რომ
 ბაღდადიდან მომავალ ვაჭრებს მეკობრე-
 თაგან ათავისუფლებს, ზღვაზე ბრძოლის
 აღწერისას რუსთაველი ამბობს:

„შევიდეს, ჩასდეს ხომალდსა,
 გამართეს ზღვისა კიდითა“.

ხომალდი „საომარი ნავია“ (საბა) და
 ამ მომენტისათვის შესატყვისი. სხვაგან,
 კერძოდ, ზღვაზე ფრიდონის ბიძაშვილებ-
 თან ბრძოლის ეპიზოდში, ტარიელი და
 ფრიდონი ნავ-კატარლას გაამზადებენ
 საომრად:

„დავკაზმეთ ნავი, კატარლა
 და რიცხვი სპათა ჭარისა“.

კატარლა აგრეთვე „ნავია საბრძოლ-
 ლო“ (საბა).

ყურადღებას იქცევს „ვეფხისტყაოს-
 ნის“ ერთი ადგილი, სადაც ნავსადგური
 (ნავთა სადგომი) მოიხსენიება:

„აჩინა კაცნი, სადაცა
 სადგურნი ნავთა სჩენოდეს“.

ნავსადგურში, ცხადია, სხვადასხვა ქვე-
 ყანაში მიმავალი ნავ-ხომალდი დგას:

„მონახა, პოვა ავთანდილ
 ნავი მისისა მხარისა“.

ზღვის თემასთან უშუალოდ დაკავშირ-
 სტროფი, სადაც ბუნების მოვლენათა მე-
 სანიშნავი სურათით წარმოდგენილი:

„რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი
 და მათა ატყდეს ღვარია,
 მოვა და ხევთა მოგრაგნის,
 ისმის ბათქი და ზარია,
 მაგრამ რა ზღვათა შეერთვის,
 მაშინ ეგრეცა წყნარია.“

ზღვა „აწყნარებს“ მთიდან მომქუხარ,
 მბორგავ მდინარეს.

ანტიკურ ლიტერატურაში ცნობილია
 მითოლოგიური არსება სირინოზი, რომე-
 ლიც კუნძულზე ან ზღვაში ბინადრობს,
 მეზღვაურებს გზად ხვდება და ატკობს,
 აჯადოებს შესანიშნავი გალობით. რუს-
 თაველისთვისაც კარგადაა ცნობილი ეს
 ფრინველი. ტარიელი უყვება ავთანდილს
 ნესტანის ბღ-წალკოტის ამბავს, სადაც
 სირინოზთა უამესად გალობენ ფრინვე-
 ლები:

„ბაღჩა ვნახე უტურფესი,
 ყოვლისავე სალხინოსა;
 მფრინველთაგან ხმა ისმოდა
 უამესი სირინოსთა“.

ყურადაღებია „ვეფხისტყაოსნის“ ერ-
 თი ადგილი. სადაც რუსთაველი ზღვასთან
 სიახლოვეს ნათლად ამჟღავნებს. ტარიე-
 ლი უყვება ავთანდილს:

„გაერ მომრტყმოდეს ჯალაზნი,
 ვითა ჩამსხდომნი ნავისა“.

ტარიელის ზღვაზე ბრძოლის ერთ ეპი-
 ზოდში ნათქვამია:

„ზღვასა შევე, მომეგება
 ნეომარი ვითა ღელვა“.

რუსთაველი მტრის ძალას ბუნების
 მძვინვარე სტიქიონს, ზღვის ღელვას ადა-
 რებს. თავისთავად ცხადია ამ შედარე-
 ბის კონკრეტულობა.

„ვეფხისტყაოსანში“ ნავიც მხატვრულ
 შედარებადია გამოყენებული. პოემაში
 ნავი ზოგადად სახელია ყოველგვარ ნავთა,
 დიდი იქნება იგი თუ მცირე. ნავი თვალ-
 თა გუგას აღმნიშვნელია და მეტაფორუ-
 ლი სახით გადმოგვცემს ავთანდილის
 მძაფრ განცდას ფატმანთან ყოფნისას.

„ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს,
სდის ზღვათა შესართავისად,
შიგან მელნისა მორევსა,
ცურავს გიშრისა ნავი სად“.

ავთანდილის თვალებიდან მომდინარე ცრემლი ერთვის ზღვას, მელნის მორევი (შავი თვალები) ზღვადაა ქცეული, რომელშიც ცურავს „გიშრის ნავი“. გიშერი შავი ფერის მინერალია, ასე რომ, „გიშრის ნავი“ შავ თვალთა თვალია. ესაა მეტად რთული ორიგინალური მეტაფორა.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მკვლევარი წარსულში ქაჩეთის ციხეს საქართველოში ეძიებდა, შავი ზღვის სანაპიროზე. დანამდვილებით ძნელი იმის თქმა, ქაჩეთის ციხეში რუსთაველი რომელიმე კონკრეტულ ადგილს გულისხმობდა, თუ იგი პოეტური განზოგადების ნაყოფია საერთოდ. მაგრამ ერთი კი ცხადია: პოემაში ამგვარი სიახლოვე ზღვასთან შავი ზღვის სანაპიროების სილამაზით, მშვენიერებითა და თავისებურებითაც აიხსნება, რომელიც რუსთაველს უნახავს, უგრძნია და შთავონებულად წარმოუსახავს. ვასთავალისწინებელია სხვა საგულისხმო ვითარებაც. ყოველგვარი ნაწარმოები ერთგვარი უკუფენა ავტორის ბიოგრაფიისა. პოემაში მოხაზულია ფართო გეოგრაფიული პორტიონტი, მეტწილად წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყ-

ნების, იმდროინდელი მსოფლიოს ზღვასა და ხმელეთის დიდი ნაწილი. ამ მხრივ საგულისხმოა ხალხური გადმოცემების თაველის შესახებ, რომელიც გვამცნობს, რომ პოეტს ბევრი უმოგზაურია, ჭაბუკობაში განათლება საბერძნეთში მიუღია, შეუძწავლია უცხო ენები და ფილოსოფია. ბრძენი პოეტი, რიტორი და ფილოსოფოსი თითქმის წარმოუდგენელია უცხო ქვეყანათა უხილავად და თვითონ „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც იმ დროისათვის უდიდეს სივრცეზე (არაბეთში, ხატათში, ინდოეთში...), მსოფლიოს ზღვებსა და ხმელეთზე მიმდინარეობს მოქმედება, ხელს უწყობდა რუსთაველის უცხო და საკვირველ ქვეყნებში ჭაბუკობის ეპოს შესაძლებელი, სავარაუდო მოგზაურობის რწმენის შემუშავებას.

XII საუკუნის საქართველოში დადასტურებულია ადგილობრივ და უცხოურ ფულთა დიდი რაოდენობა. ჩვენს ქვეყანაში ამ დროს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭროდ გახსნილი იყო საქარავნო, სახმელეთო და საზღვაო გზები. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა თავისებური გამოხატულება არ ეპოვა პოემაში: „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი წარმოგვიდგება სამშალო საუკუნეთა ბრძენ პოეტად, რომლისთვისაც მახლობელია და ნაცნობი ზღვა, მეზღვაურები, მათი ცხოვრება, ზღვის სანაპიროს პეიზაჟი...



ალექსანდრე ჩავლიშვილი მწერლის მხაზველი ოსტაზობის შესავლის ნ ყ ა რ ო ე ბ ი

წერილი პირველი

* * *

მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების „ვარიანტისა“ და „სხვა რედაქციას“. ნაწარმოების კანონიერი ტექსტისა და ამავე ნაწარმოების „ვარიანტისა“ თუ „სხვა რედაქციის“ შედარება უხვ მასალას იძლევა მწერლის ლიტერატურულ-მხატვრული ოსტატობის ცხადყოფისათვის. ვარიანტები და სხვა რედაქცია, რა თქმა უნდა, ყველა თხზულებას არა აქვს, ან იმიტომ, რომ თავიდანვე არ ჰქონია, ან ჩვენამდე არ მოუწეულა. მაგრამ თუ კი ეს მასალები შემონახული და გამოვლენილია, ისინი დეტალურად უნდა შევისწავლოთ, რადგან მათ შეეყვართ ავტორის შემოქმედებითს ლაბორატორიაში და ხელს გვიწყობენ მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლაში.

ვიღრე ამის შესახებ ვილაპარაკებდეთ, მანამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ თვით „ვარიანტისა“ და „სხვა რედაქციის“ ცნების შესახებ.

* ნაშრომიდან „მხატვრული ოსტატობის თეორიული საკითხები“.

როგორც „ტექსტოლოგიის საფუძვლებში“ ნათქვამი, „ტექსტების დაუმთხვევლობა მნიშვნელოვანი მოცულობითაც კი, მიეკუთვნებიან ვარიანტების რიცხვს, თუ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კონცეფცია და ჩანაფიქრი, სტილი, სიუჟეტი, ფაბულა, კომპოზიცია, მოქმედი პირები მთლიანად რჩება უცვლელი“ (გვ. 360). ამ განსაზღვრებას ავსებს და აზუსტებს ვარიანტის შემდეგი დეფინიცია: „ვარიანტის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს მხატვრული ნაწარმოების ტექსტის კერძო კითხვათსხვაობანი ცალკეული სიტყვის, ტაების, სტროფის, თავისა და სხვა ნაწილებისა, რომლებიც არ სცვლიან მის ხასიათს მთლიანად“ („რედაქტირების თეორია და პრაქტიკა“, რუს., ნაწ. II, 1964, გვ. 328).

მასმასალაში, „ვარიანტი“ ისეთი „კითხვათსხვაობაა“, რომელიც ნაწარმოების ტექსტში შეტანილია მხოლოდ ავტორის მიერ შეგნებულად და მიზანდასახულად, ეხება იგი ცალკეულ სიტყვას, ტაებს, სტროფს, თავს თუ სხვა ნაწილებს, მაგრამ უცვლელად ტოვებს მთლიანად ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, ჩანაფიქრს, სტილს, სიუჟეტს, ფა-



ბუღალს, კომპოზიციას და მოქმედ პირთა რაოდენობას.

„სხვა რედაქციაც“ პირვანდელი ტექსტის შეცვლაა, მაგრამ ვარიანტისაგან განსხვავებით ეს ცვლილება რედაქციული ხასიათისაა მხოლოდ მაშინ, თუ მას რაიმე ახალი შეაქვს ნაწარმოებში, ე. ი. თუ იცვლება ნაწარმოების კომპოზიცია, ან ფაბულა, ან სიუჟეტი, ან იდეური ჩანაფიქრი, ან თუ დამატებით შემოყვანილია ახალი პერსონაჟი. რასაკვირველია, ყველაფერი ეს უნდა მოხდეს მოცემული ნაწარმოების ჩარჩოში, თორემ თუ ყველაფერი ძირეულად შეიცვალა, მაშინ ახალ ნაწარმოებთან გვექნება საქმე და არა მოცემული ნაწარმოების ახალ რედაქციასთან. „სხვა რედაქცია“ მაინც ძველის, უწინდელი ნაწარმოების რედაქციაა და არც სავსებით ახალი ნაწარმოებია.

* * *

ერთი შეხედვით, ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაში ვარიანტულ ცვლილებებს აღვნიშნავთ არ უნდა ჰქონდეს, რადგან პოეტური მადლის წყალობით მისი მხატვრული ჩანაფიქრი ბუნებრივად ისეთ ზუსტ შესატყვის ფორმაში უნდა იღვრებოდეს, რომ რაიმე შესწორება აღარ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ შემოქმედებითი ფსიქოლოგიის მიერ დღემდე დაგროვილი უამრავი ფაქტი გვიჩვენებს, რომ ვარიანტები და სხვა რედაქციები, მართალია, ყველა ნაწარმოებს არ გააჩნია, მაგრამ არ არის მწერალი, რომელსაც რაიმე ცვლილება არ შეეტანოს თავის რომელიმე ნაწარმოებში. ყველა მწერალი მეტნაკლებად აპირკეთებს ყველა ან ზოგიერთ ნაწარმოებს, ზეგწავს და სრულყოფს მათ (ა. ცეცელინი, მწერლის შრომა, 1962, გვ. 539-559. რუს.). მაშასადამე რედაქციული და განსაკუთრებით ვარიანტული ცვლილებები არ არის შემოუხვევითი მოვლენა, იგი შემოქმედებითი პროცესის აუცილებელი ელემენტია.

რა იწვევს რედაქციულ და ვარიანტულ ცვლილებებს? რა განაპირობებს მათ წარმოშობას?

ზოგადად რომ ვთქვათ, ვარიანტსა და

სხვა რედაქციას უკეთესი ძიება იწვევს ვარიანტების და ახალი რედაქციების შემოქმედებითი ძიების ნაკლებად მოქმედებით. „შეად ხელნაწერებში დაფიქსირებულია სწორედ ქაშინი, ძიებანი, ცდები“, წერს პროფ. ბ. მეილახი თავის ერთ-ერთ საინტერესო წერილში (მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგია. იხ. ეურნალი „ვოპროსი ლიტერატური“. 1960, № 6, გვ. 76).

ვარიანტი და სხვა რედაქცია ავტორის მიერ „დაწუნებული“ ტექსტებია. სიტყვა დაწუნებული ბრძყალბაში იმითმ ჩაესვით, რომ ვარიანტები თავისთავად უფარგისი როდია. მართალია, ზოგერთი ცვლილება შეიძლება მართლაც უფარგისი და უარსყოფი იყოს, მაგრამ უმეტესობა ვარგისია, თუმცა სრულყოფილი მაინც არ არის და ამიტომ „იწუნებს“ მათ ავტორი და უფრო კარგითა და სრულყოფილით ცვლის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვარიანტული და რედაქციული ცვლილებების წარმოშობის მიზეზი საერთოდ უნდა ვეძიოთ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული სრულყოფისაკენ მწერლის დაუცხრომელ მიწრაფებაში. სწორედ ესაა, რომ იწვევს ნაწარმოების კომპოზიციის ცვლას, დეტალების ძებნას, პერსონაჟების ინდივიდუალიზაციას, პოეტური გამომსახველობითი საშუალებების შერჩევას და ა. შ. იბება კი მანამდე გრძელდება, სანამ მიღწეული არ იქნება ის ერთადერთი საბოლოო რედაქცია, რომელიც ყველაზე სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენს და ზუსტი შესატყვისობით გამოხატავს ავტორის ნება-სურვილს.

ასეთია ნაწარმოებში შეტანილი ცვლილებების ზოგადი მიზეზი. მაგრამ ეს მიზეზი ამავე დროს ყოველ ნაწარმოებში კონკრეტულ სახეს იღებს, რამდენადაც თვით მიზანია კონკრეტული. ამიტომ მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლისათვის ვარიანტებისა და რედაქციების მნიშვნელობის გარკვევის დროს სწორედ ის არის მთავარი, რომ ჩაეწვდეთ იმ კონკრეტულ მიზანსა და მიზეზს, რომლებიც წარმოშობენ მოცემული ნა-

წარმოების ვარიანტებსა და სხვა რედაქციებს. საქმე ის არის, რომ ავტორი მხოლოდ გვიჩვენებს ამ ცვლილებებს და არ გვეუბნება, თუ, რატომ მოიქცა ასე. მართალია, ზოგჯერ ავტორი თვითონ განმარტავს ცვლილებების მიზეზსა და მიზანს, მაგრამ ასეთი აღსარება ძალზე იშვიათია. ჩვეულებრივად კი ვხედავთ და ვკითხულობთ განსხვავებულ ტექსტებს, ხოლო ცვლილების გამომწვევი მიზეზი და მიზანი ჩვენ უნდა ვეძოთ; ეს, რასაკვირველია, ერთობ ძნელი და მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ამ მოსალოდნელით თავი იჩინოს თვითნებობამ და შეიძლება მწერალს ზოგი ისეთი რამ მივაწეროთ, რაც მას აზრადაც არ მოსვლია. საკითხი განსაკუთრებით რთულდება მაშინ, თუ ნაწარმოების ავტორი ცოცხალი აღარ არის. მხოლოდ ღრმა მეცნიერული დაკვირვება და ფაქტების უღმრთელი ლოგიკა გვიხსნის ამ მოსალოდნელი სუბიექტურობისაგან.

* * *

მხატვრული ნაწარმოების ვარიანტებისა და სხვა რედაქციების წარმოშობის მიზეზების გარკვევა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოცემული ნაწარმოების **კანონიერი ტექსტის** არსებობას, რადგან მხოლოდ ამ კანონიერი ტექსტისა და ვარიანტების შედარების სფუძველზეა შესაძლებელი იმ მიზეზების გამოკვლევა, რაც იწვევდა პირვანდელ ტექსტში ცვლილებების შეტანას.

კანონიერი ტექსტის დეფინიცია მოცემულია ტექსტოლოგიაში. ისეთი ტექსტი, რომელიც დადგენილია ტექსტოლოგიის მიერ, იწოდება **კანონიურ ტექსტად**. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „კანონიური ტექსტი—ეს არის ნამდვილად ავტორისეული ტექსტი მის უკანასკნელ რედაქციაში“. კანონიური ტექსტი გამოხატავს ავტორის ნებას. „ავტორის ნება კი ეს არის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი, რომელმაც თავისი მატერიალური განხორციელება პოვა ნაწარმოების განსაზღვრულ ტექსტში“.

ტექსტოლოგიიდან ისიც ცნობილია, რომ კანონიური ტექსტი ნაწარმოების

იგივე ძირითადი ტექსტია, ოღონდ გარდა-ვისუფლებული მასში არსებული დამხინჯებისაგან. როგორც ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების მასალებიდან შესაძლებელია ნაწარმოების ძირითად ტექსტში ადგილი ჰქონდეს დამახინჯებებს. ეს მოვლენა არღვევს მწერლის ნება-სურვილს და ამიტომ იგი უნდა ჩამოვაშორეთ ტექსტს.

დამახინჯების წარმოშობის მიზეზი მრავალნაირია, მაგრამ მაინც შეიძლება მათი სამ კატეგორიად დაყოფა: ცენზურული (ავტოცენზურული) დამახინჯებანი, რედაქტორული გასწორებანი და ასოთამწყობთა შეცდომები. ამას გარდა, ნაწარმოების ტექსტში ცვლილებები შეაქვს თვით ავტორს თავისი სურვილით, ყოველგვარი იძულების გარეშე. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების ტექსტში შეიძლება შევხვდეთ ორი სახის ცვლილებებს მათი წარმოშობის მიხედვით: პირველია ის ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ტექსტში შეტანილია გარეშე პირების მიერ; მეორეა ის ცვლილებები, რომლებიც მომდინარეობენ ავტორისაგან და მის ნება-სურვილს გამოხატავენ.

მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის დროს კონკრეტულად უნდა შევაფასოთ თვითეული მათგანის, როგორც მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროს, მნიშვნელობა.

1. ცენზურული (ავტოცენზურული)

ცვლილებები. ოქტომბრის რევოლუციამდე ლიტერატურაში ჰეგმარითი მწერლებისათვის ცენზურა მეტად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა. კერძოდ, ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსები მუდამ უჩიოდნენ ცენზურის გულჭკობას და ბარბაროსულ დამოკიდებულებას

მხატვრული ნაწარმოებებისადმი. „ჩემ სიცოცხლეში,—წერდა აკაკი წერეთელი,—ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიმიყვება. მე ვამბობ „ცენზურაზე“. ვინც მომსწრე არ არის და არ განუცდია, იმას მარტო გაგონებით წარმოადგენა არ შეუძლია მისი, თუ რა იყო

წინეთ ის საოცარი „ცენზურა“ (ტ. XIV, 333).

კალმის ქალაქები, ანუ „ტერმინატორები“, როგორც აკაკი წერეთელი უწოდებდა ცენზორებს, ისე სასტიკად ებრძოდნენ ყოველგვარ პროგრესულ აზრს, რომ ავტორები იძულებული იყვნენ თვითონვე შეეტანათ ნაწარმოებში ისეთი ადგილები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ნაწარმოების გატარებას ცენზურაში. ასეთ მოვლენას ტექსტოლოგიაში ეძახიან **ავტოცენზურას**. ამგვარ ცვლილებას ის უზიარებდა აქვს ცენზურის მიერ გადამახინჯებულ ტექსტთან შედარებით, რომ მასში ერთგვარად მაინც მოჩანს „ავტორის ნება“, თუმცა იძულებითი, მაგრამ ცენზორის ველურობასთან შედარებით მაინც ნაკლებ საზიარო.

კითხვა ისმის: როგორია ამ ცენზურული და ავტოცენზურული ცვლილებების შემცველი ტექსტების მნიშვნელობა? გამოყენებულ უნდა იქნას თუ არა ისინი როგორც ოსტატობის შესწავლის წყარო?

რასაკვირველია, თუ ეს დამახინჯებანი არ გასწორდა კანონიკურ ტექსტში, ისე დამახინჯების შემცველი ძირითადი ტექსტი არ იქნება სრულფასოვანი წყარო მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად. ცენზურული და ავტოცენზურული ცვლილებები მწერლის ოსტატობის დარღვევის მაჩვენებელია.

მოვიტანო ამის დამამტკიცებელ მასალებს.

ამჟამად არსებობს წიგნი, რომელშიც შეტანილია მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც ცენზორს ამოუღია ლევ ტოლსტოის „აღდგომის“ პირველი, 1899 წლისა და რევოლუციამდელ სხვა გამოცემებიდან. მასში შეტანილია დიდი თუ პატარა 75 ამოღებული ადგილი. დეკასახელებზე ერთ მათგანს. პირველად ლ. ტოლსტოის დაუწერია: „წინამძღოლი, როგორც ლიბერალი, ზოგიერთ თავის თანამოაზრესთან ერთად იბრძოდა ალექსანდრე მესამის დროს რეაქციის წინააღმდეგ. იგი სავსებით გატაცებული იყო ასეთი ბრძოლით და არაფერი იცოდა თა-

ვისი ოჯახური უბედურების შესახებ“ ამ წინადადებად ცენზორს ამოუღებია ყველა: „ალექსანდრე მესამის დროს“ ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ალექსანდრე მესამის დროს თითქმის ადგილი არ ჰქონდა რეაქციას.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ამოღებული ადგილების რაოდენობა 75 აღწევს. საბედნიეროდ, ყველა ეს ადგილი ამჟამად აღდგენილია და ხელთ გვაქვს ავტორის ნება-სურვილის გამომხატველი კანონიკური ტექსტი რომანისა. მაგრამ რა იქნებოდა, რომ ეს ადგილები სამუდამოდ გაენადგურებინა ცენზურას, უკვალოდ მოესპო ისინი? რასაკვირველია, მაშინ „აღდგომას“ არ ექნებოდა ის მამხილებელი შინაარსი, რითაც იგი ახლა გამოირჩევა, დიდად შეილახებოდა რომანის იდეურ-მხატვრული ღირსება და ავტორის ოსტატობაც არ იქნებოდა სრულყოფილად გამოვლენილი. ამიტომ შეიძლება გაეთოდეს შემდეგი დასკვნა: ის ნაწარმოები, რომლის ტექსტში არ არის გასწორებული და აღდგენილი ცენზურის მიერ გადამახინჯებული და ამოღებული ადგილები, არ შეიძლება ჩაითვალოს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის სრულყოფილ წყაროდ.

ამგვარი ტექსტები იმას გვიჩვენებენ, თუ როგორ ანადგურებდნენ ბოროტი ძალები მწერლის მხატვრულ ოსტატობას და ხელს უშლიდნენ მის სრულყოფილად განხორციელებას. შეიძლება ცენზურულ გადამახინჯებათა უამრავი მაგალითის მოტანა, მაგრამ ახლა ჩვენ საკითხის მეორე მხარე გვანიტერესებს. სამეც ის არის, რომ არამც თუ ცენზურის მიერ შეტანილი ცვლილებების მქონე ნაწარმოების ტექსტი არ არის სრულფასოვანი მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად, არამედ ის ნაწარმოებიც, რომელშიც ცენზურის შიშით თვით ავტორს შეუტანია ზოგიერთი ცვლილება. ამის მაგალითია ის ავტოცენზურული ცვლილება, რაც შეიტანა ოსტროვსკიმ თავის კომედიაში „თავისიანები ვართ — მოვრიგდებით“. ამ კომედიის პირველი რეაქცია, რომელიც გამოქვეყნებული იყო

ქუჩაზე „მოსკვიტაინის“ 1850 წლის
მარტის ნომერში, უკვე იმავე წლის აპ-
რილში აკრძალეს როგორც სცენისათვის,
ისე ბეჭდვისთვისაც.

1858 წელს დრამატურგი ამზადებდა თავის თხზულებათა პირველ კრებულს. იმისათვის, რომ თხზულებათა ამ კრებულში ეხილა თავისი კომედია, სხვა ბევრი გადაკეთებისა და შესწორების გარდა, რომლებიც ასუსტებდნენ პიესის მამხილებელ ძალას, დრამატურგი იძულებული გახდა პიესაში შეეყვანა ახალი პერსონაჟი — უბნის ზედამხედველი. უკანასკნელ სცენაში უბნის ზედამხედველი მიდის ბოლშაქოვსთან და ატყობინებს მას, რომ „უფროსების მოწერალობით“ იგი უნდა „წარადგინოს სასამართლოს ბიჭუღოთან გაკორტებული ვაჭრის ბოლშოვის ქონების გადამაღვის საქმის გამო“.

ამგვარად, საცენზურო კომიტეტის მოთხოვნის მიხედვით ბიწიერება დასჯილი აღმოჩნდა „ჭერ კიდევ დელამიწაზე“.

ამ რედაქციით პიესა იდგმებოდა 1881 წლამდე. შემდეგ ავტორმა იგი თავისი სურვილის მიხედვით გამართა და ავტოცენზურული გადამახინჯებანი გაასწორა.

ასეთი გასწორებული ტექსტი, ცხადია, სავსებით გამოდგება მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად.

2. რედაქტორის მიერ შეტანილი ცვლილებები. ზოგჯერ ცენზურის შიშით ნაწარმოების ტექსტში შესწორება შეჰქონდათ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შესწორებანი, რომლებიც არა შეთანხმებული თხზულების ავტორთან.

ამის თვალსაჩინო მაგალითია აკაკი წერეთლის ლექსი „ნაფი“, რომელიც „ცისკარში“ დაიბეჭდა. აკაკის ტექსტის მიხედვით ლექსი ასე მთავრდებოდა:

„მას შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა
ნაღს

და მანებელი აღარაინ ჰყავს...
გაქული არის გარეშე მტერი,
მომორდა იმ ნახს, აღარსადა ჰყავს,
მეგრამ რაი, რომ ის ხეამაღლი
მას თავზე აყრის მტერსადა და ნავავს“.
როგორც პრეფ. ა. გაჩეჩილაძე წერს,

როგორც პროფ. ა. გაჩეჩილაძე წერს,

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ი. ბე-
რესელიძემ ცენზურის შიშით აქ ლექსი-
დან ბოლო ოთხი სტრიქონი ~~საქართველო~~
ლო, ხოლო ორთა პირველი სტრიქონი ~~საქართველო~~
შეაწვორა:

„მისსა შემდეგ აქვს მშვიდობა ნავს

და მაგნებელიც აღარავინ ჰყავს“.

გარეშე პირის მიერ ამგვარად შესწორებული ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოადგენდეს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროს, რადგან ასეთი „შესწორება“ ეწინააღმდეგება ავტორის ნება-სურვილს და იდეოლოგიას. აკაკის „ნავის“ მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ დებულების სისწორე. ეს ლექსი ალევგორიულის ხასიათისაა და მასში „ნავი“ საქართველოს სიმბოლოა, ხოლო „ხეამალდი“ — რუსეთისა. ზღვაში ქარი ქროდა. ნავი ილუპებოდა. ამ დროს ხომალდმა გამოიარა. ნავმა მას დახმარება სთხოვა. ხომალდს ნავი შეებრაღა, ჭაჭვი მოაბა და დაამაგრა. „რა ნავი ნახა განსვენებული, შეიქმნა ქარი განრისხებული: დიდის დაკეხნით ხეამალდს შეკებრა, მაგრამ მას სივრცეს დააყოლ ვერა“. ქარი ჩადგა, ზღვამდე მოისვენა. „ნავს ესე საქმე დიდელ იამა, სთქვა: „გამომიჩნდა კეთილი მამა“. აქ ალევგორიულად არის გამოთქმული ის ცემშიარითი აზრი, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება იმთავითვე სიკეთეს წარმოადგენდა, რადგან დიდმა რუსეთმა დაიცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან, დამყარდა ერთგვარი მშვიდობა და შესაძლებელი გახდა სამეურნეო და კულტურული წინსვლა. მაგრამ ამასთან ერთად აკაკი ხაზს უსვამს საკითხის მეორე მხარესაც და „ის ხეამალდი მას (ნავს) თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“. ესეც სიმართლე იყო, რადგან სიკეთესთან ერთად შეერთებას მოჰყვა ბოროტებაც, რამდენადაც თვითმპყრობეობის კოლონიური პოლიტიკის შედეგად ქართველი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა. აკაკი სწორედ ამას გულისხმობდა ნავის თავზე ხომალდის მიერ დაყრილ „მტვერსა და ნაგავში“. ი. კერესელიძემ კი ამოიღო ამ იდეის შემცველი სტრიქონები, რითაც ლექსმა დაკარგა



ეკტორისეული აზრი და მიჩქმალა აკაცი, როგორც მალაღიდურობის ოსტატი. სწორედ ამის გამო ასე დამახინჯებული ტექსტები არ შეიძლება გამოდგეს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროდ. მაგრამ თუ მოხერხდა ავტორისეული ტექსტის აღდგენა, მაშინ კანონიკური ტექსტის შედარება აღრიხედელ ტექსტთან ძვირფას მასალას მოგვცემს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ხელაღებით ითქვას, თითქმის რედაქტორების თუ სხვა გარეშე პირების მიერ შეტანილი ცვლილებების შემცველი ნაწარმოები არასოდეს არ გამოდგებოდეს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროდ.

8. მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად გამოდგება ისეთი ნაწარმოების ტექსტი, რომელშიც ცვლილებები შეტანილია რედაქტორის ან სხვა რომელიმე გარეშე პირის მიერ, ოღონდ ავტორის ნებართვით. 1897 წლის 2 იანვარს მწერალი ვ. გ. კოროლენკო სწერდა პ. პ. ბულივინს: „თქვენი რომანი მიცემულია დასაბეჭდად და უნდა გამოვიდეს იანვარის წიგნთან ერთად. ვსარგებლობ რა თქვენი თავაზიანი თანხმობით, პირველ თავებში მე შევიტანე ზოგიერთი (არაარსებითი ხასიათის) შესწორება. ახლა უნდა გთხოვოთ აი რა: არის ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელთა გამოსწორება მხოლოდ თქვენ თვითონ შეგიძლიათ...“ უსახელებს რა ამ შეცდომებს, კოროლენკო განაგრძობს: „...ვიტოვებ უფლებას თქვენი თავაზიანი ნებართვის საფუძველზე, უფრო არაარსებითი ხასიათის ცვლილებები თვითონ შევიტანო“ (გობროსი ლიტერატური“, 1962, № 4, გვ. 153-154).

როგორც ვხედავთ, ზოგჯერ მწერლები ნებას რთავენ რედაქტორებს შეიტანონ საჭირო ცვლილებები ტექსტში, ე. ი. უცხადებენ მათ ნდობას, ოღონდ იმ ერთი პირობით, თუ ეს შესწორება არის არაარსებითი. თუ ცვლილებები ამ ფარგლებს სცილდება, მაშინ ირდევია ავტორის ნება-სურვილის აუცილებლად დაც-

ვის კანონი და ასეთი ნაწარმოები მოდგება მწერლის სამწერლობის შესწავლის მასალად და წყაროდ. ეკტორის თანხმობით შეტანილი ცვლილებები კი ანგარიშსასწაველია ოსტატობის შესწავლის დროს, თუმცა სრულყოფილ მასალად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს. აქვე უნდა ითქვას კიდევ ერთი მოვლენის შესახებ.

ცნობილია, რომ კლასიკოსი მწერლები გულისხმიერ მზრუნველობას იჩენენ ახალგაზრდა დამწყები მწერლების მიმართ: კითხულობენ მათ ნაწარმოებებს, აძლევენ საგულისხმო შენიშვნებს და ა. შ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მათ დაოსტატებას, შემოქმედებით მომწიფებას და ლიტერატურაში მწერალთა ახალი კადრების შემოსვლას.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვიანტერესებს საკითხი: რა მნიშვნელობა აქვს ამ დახმარების ამსახველ მასალებს მწერლის ოსტატობის შესწავლის საქმეში? მოკლედ ვიტყვით, ასეთ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის დაოსტატების და არა ოსტატობის შესწავლისათვის. დაოსტატება და ოსტატობა რამდენადმე განსხვავებული ცნებებია. როდესაც ოსტატი მუშაობს, იგი ოსტატობას კი არ სწავლობს, არამედ ახალ ნაწარმოებს ქმნის. შეიძლება ამ ახლის შექმნაში მან ახალი რამ შესძინოს თავის ოსტატობას, განავითაროს და წინ წასწიოს იგი, მაგრამ ეს იქნება არა მოწადის დაოსტატება, არამედ ოსტატის ნოვატორობა. ასე რომ არ იყოს, მაშინ ნოვატორული ძნელი გასარჩევი იქნებოდა არანოვატორულისაგან. ამკარაა, რომ ნოვატორობა დაუფლებული ოსტატობის ამაღლების სფეროში შედის და არა დასაუფლებელ ოსტატობაში.

ახალგაზრდა დამწყები მწერლებისადმი დახმარების ამსახველი მასალები სწორედ იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ იზრდებოდა დამწყები მწერალი ოსტატობის სფეროში. მაგრამ ისინი დაოსტატების შემსწავლელი მასალებია და არა ოსტატობის ანალიზის წყაროები. დაოსტატება პრო-

ცესია, რომლის მიზანს შეადგენს მწერლობის, როგორც გარკვეული პროფესიის, დაუფლება, მისთვის სავალდებულო საოსტატო მინიმუმის ათვისება, ხოლო ოსტატობა — ეს არის დაოსტატებით მოპოვებული უნარის ამოქმედება შემოქმედების პროცესში.

4. კრიტიკის გავლენით შეტანილი ცვლილებები. მხატვრული ნაწარმოების „ვარიანტისა“ და „სხვა რედაქციის“ შესწავლას დროს გვხვდება ისეთი მასალები, რომლებიც განეკუთვნებიან გარეშე პირების გავლენით მოხდენილი ცვლილებების შემცველ ტექსტს, მაგრამ შეიცავენ ერთგვარ თავისებურებას: ეს ცვლილებები უშუალოდ გარეშე პირს კი არ შეაქვს ტექსტში, არამედ თვით ნაწარმოების ავტორს, მაგრამ გარეშე პირის უშუალო გავლენით. ასეთ პირად უნდა ჩაითვალოს კრიტიკოსი, რომელიც განიხილავს რა ნაწარმოებებს, ისეთ სამართლიან შენიშვნებს აძლევს ავტორს, რომ იგი იძულებული ხდება შემდეგ გამოცემაში შეასწოროს ნაწარმოები მითითებული შენიშვნების მიხედვით.


მოვიტანთ ამის მაგალითს.

შ. დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“ პირველად „მნათობში“ იბეჭდებოდა „მენჯი-რობუს“ სახელწოდებით. გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1946 წ. 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა კ. წალასყურელის კრიტიკული შენიშვნა. კრიტიკოსს მოჰქონდა ამონაწერი დადიანის რომანიდან: „მე მართალს მოგახსენებთ. თქვენ შეიძლება გგონიათ, რომ საქართველოს მარგანეცის მეთი არა მოეძევა რა, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ ჩვენში უხვად არის გაბნეული თუთია, თუჯი (!?), სპილენძი, ნახშირი, მოლიბდენი, ოქრო და სხვა მადნეული“ და შენიშნავდა, რომ თუჯი მადნეული არ არის, ხოლო „მოლიბდენის არსებობა კავკასიაში მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებშია დადგენილი და გასული საუკუნის 90-იან წლებში (რომანის მოქმედება 90-იან წლებში ხდება) ევკვობ, რომ ვინმეს სცოდნოდა მისი არსებობა კავკასიის მთებში. კიდევაც რომ სცოდნოდა,

ეს არაგვის დაინტერესებდა, ვინაიდან მოლიბდენის გამოყენება მეტალურგიაში მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წლებში დაიწყო.“

„მნათობში“ დაბეჭდილი რომანის ცალკე წიგნად გამოცემისას შ. დადიანს ნაწილობრივ გაუთვალისწინებია კრიტიკოსის შენიშვნები და პირვანდელ ტექსტს საბოლოოდ ასეთი რედაქცია მიუღია: „მე მართალს მოგახსენებთ. თქვენ იქნებ გგონიათ, რომ საქართველოს მარგანეცის მეთი არაფერია გაჩნია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენში უხვად არის გაბნეული თუთია, რკინა, სპილენძი, ნახშირი, მოლიბდენი, ოქრო და სხვა ძვირფასი მადნეული“ (ხაზგასმა ჩვენი—ა. ჩ.). როგორც ვხედავთ, ავტორს სამართლიანად მიუჩნევია კრიტიკოსის შენიშვნა თუჯის შესახებ და ეს სიტყვა ამოუღია ტექსტიდან, ამასთან ტექსტის ზოგიერთი ადგილიც შეუცვლია. მაგალითად, „არა მოეძევა რა“ შეუცვლია სიტყვებით: „არაფერია გაჩნია“. ეს საბოლოო რედაქცია უთუოდ სჯობს წინანდელს. უწინ იყო: „სხვა მადნეული“, ახალში ჩამატებულია სიტყვა „ძვირფასი“ და გამოდის „ძვირფასი მადნეული“. რაც უფრო ტრობულია. მართალია, ავტორს არ გაუზიარებია კრიტიკოსის შენიშვნა მოლიბდენის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ მაინც სასარგებლო საქმე გაკეთდა: შეიქმნა შინაარსობრივად და მხატვრულად გამართული საბოლოო ტექსტი.

არის ისეთი კრიტიკაც, რომლის ავტორია არა ცალკეული პიროვნება, არამედ კოლექტივი, ესა თუ ის ორგანიზაცია. ამგვარი კრიტიკის ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია გაზეთ „პრაოდის“ სარედაქციო წერილი ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ თომაზე. როგორც ცნობილია, ფადეევმა ეს რომანი პირველად გამოაქვეყნა 1946 წელს. რომანი გააკრიტიკეს საბჭოთა პრესის ორგანოებმა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მასში არ იყო სრულყოფილად ნაჩვენები კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი კრასნოდონის იატაკქვეშა ორგანიზაციის საქმიანობაში. ალ. ფადეევმა ეს შენიშვნა



ნები მიიღო, დამატებით შესწავლა ისტორიული მასალები, მათს საფუძველზე მნიშვნელოვნად გადაამუშავა რომანი და 1951 წელს ხელმოერდ გაამოსცა იგი. რომანის ამ ახალ რედაქციაში შეტანილი ცვლილებების ანალიზი მოცემულია გაზეთ „პრაგდის“ სარედაქციო წერილში და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მას მიმართოს. ჩვენ მხოლოდ ფაქტზე მითითებით ვკმაყოფილდებით.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კრიტიკულ შენიშვნას მწერალი არ ღებულობს და ნაწარმოებს არ ასწორებს.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ქეშმარიტი კრიტიკული შენიშვნები, რომლებსაც მიზნად აქვს ნაწარმოების გაუმჯობესება, ჯეროვან ასახვას პოულობს გულისხმიერი მწერლის შემოქმედებაში. კრიტიკის შენიშვნათა საფუძველზე მწერალი გადაამუშავებს ხოლმე ნაწარმოებს და შეაქვს მასში სათანადო ცვლილებები. მართალია, ეს ცვლილებები „გარეშე ძალის“ შემოქმედების შედეგია, მაგრამ ისინი იმ თავისებულებას შეიცავენ, რომ მწერლები შეგნებულად

ეთანხმებიან მათ და ამით ისინი იტყვიან ნებაყოფლობით შეტანილ ცვლილებებს და გამოხატავენ მწერლის მიზანმიმართულ ვილს. ასეთი ცვლილებების შემცველი ტექსტი წარმოადგენს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს.

ამ დებულებას ვერ არყევს ის ცალკეული შემთხვევები, როცა მწერალი არ ეთანხმება კრიტიკულ შენიშვნებს და არც ასწორებს ნაწარმოებს. ასეთი მოვლენა ხშირი არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სიმართლე არა კრიტიკოსის, არამედ მწერლის მხარეზე იყოს. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ ისეთი კრიტიკის შესახებ, რომელსაც მიზნად აქვს მწერალი ააცდინოს ქეშმარიტ გზას და რეაქციონურ ან კონსერვატულ პრინციპებს დაუმორჩილოს. რასაკვირველია, ასეთ კრიტიკას პროგრესული მწერლები არ ეთანხმებიან და, თუ იძულებით ეთანხმებიან და მის მიხედვით სცვლიან ნაწარმოებს, ასეთი ნაწარმოები არ შეიძლება გამოდგეს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროდ.





ნალი ლუგბაძე

სანდრო სიგაქიძის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები

ქართული სიმბოლიზმის ისტორიაში სანდრო ცირეკიძეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი იყო პოეტი, პროზაიკოსი, ცისფერყანწელთა ორდენის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჟურნალ „მშვილდოსანის“ რედაქტორი, ქართული წიგნის გამომცემელი და მთარგმნელი. მასვე ეკუთვნის სტატიები და წერილები, რომლებშიც აღძრულია მრავალი საინტერესო ესთეტიკურ - ლიტერატურული საკითხი. მიუხედავად ამისა, სანდრო ცირეკიძის შემოქმედება და მისი ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები დღემდე არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი.¹

სანდრო გიორგის-ძე ცირეკიძე

¹ წიგნში „ადამიანები და წიგნები“ (1964) შ. აფხაიძემ დაბეჭდა წერილი სათაურით „სანდრო ცირეკიძე“. ესაა ერთადერთი ნაშრომი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ იგი უფრო მოგონებაა, ვიდრე მეცნიერული ნარკვევი — 5. დ.

დაიბადა ქ. ქუთაისში 1894 წელს, ღურგლის ოჯახში. წინასწარი მომზადების შემდეგ იგი შევიდა რეალურ სასწავლებელში, სწავლობდა წარჩინებით, განსაკუთრებით ემარჯვებოდა მათემატიკა, მაგრამ ძლიერ უყვარდა მშობლიური ლიტერატურა. შემოქმედებითი მუშაობა მას ბავშვობიდანვე დაუწყია. „სანდრო ყოველთვის განირჩეოდა თავისი ინიციატივით, ორგანიზატორული ნიჭით. თითქმის ყოველდღე გვიკითხავდა თავის ნაწერებს. უხაროდა და ჩვენც გვაქეზებდა“, იგონებს შ. აფხაიძე. საგულისხმოა, რომ მეხუთე კლასის მოსწავლეს სანდროს დაუარსებია სალიტერატურო წრე. „დაგვიტოვო თავისი ოთახი და აქ მართავდა სხდომებს. ხშირად აწყობდა ქართველ მწერლების კითხვას, მათი ნაწარმოების გასამართლებას“, — წერს შ. აფხაიძე. ერთი წლის შემდეგ მან გამოსცა ხელნა-

წერი ჟურნალი „ჩანგური“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. აი ამ ჟურნალში გამოაქვეყნა ს. ცირეკიძემ თავისი პირველი კრიტიკული შენიშვნები პოეზიის შესახებ.

მეშვიდე კლასში იყო სანდრო, როცა გადაწყვიტა ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შესულიყო და დაიწყო ლათინური ენის შესწავლა, შემდეგ იგი გაემგზავრა პეტროგრადში, სადაც დიდი ინტერესით გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს — მუზეუმებს, თეატრებს, სახალხო სახლს და ა. შ.

1914 წელს ს. ცირეკიძე ტუბერკულოზით დაავადებული დაბრუნდა საქართველოში და შემდეგ გაემგზავრა კიევს, სადაც სწავლა განაგრძო იმავე ფაკულტეტზე, დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი (არ ჩაუბარებია მხოლოდ სახელმწიფო გამოცდები) და დაბრუნდა ქუთაისში. „აქ გახდა იგი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი „ცისფერი ყანწების“, წარსულთან ყველა ხიდი დაანგრია, აქამდე დაწერილი მინიატურები დახია, გაანადგურა, ცეცხლს მისცა, აქედან დაიწყო ახალი შემოქმედება... წაშალა თითქმის საზღვარი პოეზიასა და პროზას შორის“ (შ. აფხაიძე).

1916 წელს სანდრო ცირეკიძემ დააარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“, სადაც დაიბეჭდა ქართველ სიმბოლისტთა ჟურნალი „მშვილდოსანი“, ახალი პოეზიის ანთოლოგია, მაღარმეს ლექსების თარგმანები.

მანვე ქუთაისში დააარსა მწერალთა კავშირი და კიდევაც შექმნა ამ საქმეს. კავშირის ფუნქციონირებადმოტანის დროს სანდრო გაცივდა, ლოგინში ჩაწვა და აღარ ამდგარა. 1923 წლის ივნისში იგი გარდაიცვალა.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია სანდრო ცირეკიძის პირადი წერილები, რომლებიც გამსჭვალულია ცისფერყანწელთა მისტიციზმით. აი რას წერს სანდრო ცირეკიძე შალვა აფხაიძეს: „ჩემო შალიკო, შენი წერილი დღეს მომიტანეს მხოლოდ (წერილი აბასთუმნიდანაა, სადაც მძიმე ავადმყოფი ს. ცირეკიძე იმყოფებოდა — ნ. დ.). მართლა, შენ მისტიციზმზე მწერ. იქნებ ამ მხრით მე გაგასწრო: მე მალე ღმერთს ვიწამებ. რა სასაცილო ამბავია, როდესაც ამბობ — ხვალ ღმერთს ვიწამებო, მაგრამ მე ამ გზით მივდივარ“. ამ სტრიქონების ავტორი სიკვდილის სარეცელზე იწვა და იქნებ ცხოვრების ამოების იდეა სიკვდილის შიშმა ჩაუნერგა? არა. მისი შემოქმედება თავიდანვე მკვეთრად ატარებდა დეკადანსის ნიშნებს. ამის დასადასტურებლად დავიმოწმებთ ლექსს „ოცნება“, რომელიც დაწერილია 1910 წლის 3 აგვისტოს.

„დაე გაფრინდი ოცნება,
გაპვლიჯე ბაღე გონების,
იქ წადი, სადაც ამ ქვეყნის
არა რა მოგვეგონების.
ის მხარე შენთვის არსებობს,
შენც გიყვარს, მასაც უყვარხარ.
იქ წადი, იქ იხალისე.
ამ ჯოჯოხეთში ნულა ხარ.“

ლექსი მხატვრულად სუსტია. ჩანს, მისი ავტორი შეპყრობილია მისტიციზმით, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ცხოვრებას ჯოჯოხეთს უწოდებს და სურს გაეცალოს მას. ეს არ იყო შემთხვევითი მოტივი პოეტის შემოქმედებაში.

ს. ცირეკიძე ისე, როგორც ყველა ცისფერყანწელი, სუბიექტური იდეალიზმის ნიადაგზე იდგა და სწამდა ორი ქვეყანა — რეალური და მისტიკური, ამავე დროს პირველთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა ირრეალურს, რადგან სწამდა ამ უკანასკნელის მარადიულობა. მისი თქმით, პოეტს უნდა აესახა მარადიული ქვეყანა: „პოეტია ის, — წერდა ს. ცირეკიძე, — ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჩრდილი მარადიულობის... მოვლენების იქით საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა... პოეტი არ გვიჩვენებს ჭეშმარიტ ორეულს ქვეყნისას, ის მხოლოდ გვამცნობს მის შესაძლებლობას. მოვლენათა სწორი ასახვა საქმეა ფოტოგრაფიისა და მეცნიერის“... („მეოცნებე ნიამორები“, წიგნი V, 1921, გვ. 11-12).

ეს ამონაწერი კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ რამ მიიყვანა ახალგაზრდა მოაზროვნე იდეალიზმთან? ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მწერლის თანადროეობაში. რომელსაც იგი შემდეგნაირად ახასიათებს: „გაიცრია ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ზმელეთი

და მოისმა სუნთქვა ქაოსის...“ აი სწორედ იმის გამო, რომ ცხოვრება ქაოსს დაემსგავსა, რომელიც ზურგს აქცევს მას და მიისწრაფის უსაზღვროებისაკენ, ვარდება მისტიციზმში: „პოეზია და რელიგია, — წერდა ს. ცირეკიძე, — იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქმნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები... პოეზია არასოდეს არ იქნება პოზიტიური. იგი მისტიციზმია და კაბალისტიკა ნიშნების“. ასე მიიყვანა სინამდვილით უკმაყოფილებამ და, რაც მთავარია, უკეთესისათვის ბრძოლის ხამდვილი გზების უცოდინარობამ ს. ცირეკიძე იდეალიზმთან და თავისი პროტესტი ცხოვრებისადმი იმით გამოხატა, რომ უარყო იგი და იწამა „პოეტის მეორე სამყარო“.

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამ „პოეტის მეორე სამყაროს“ შეცნობა? მხოლოდ და მხოლოდ ინტუიციით. კანტის, ბერგსონისა და სხვა იდეალისტი ფილოსოფოსების მსგავსად ცისფერყანწელებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს ინტელექტი და ინტუიცია და უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭეს. როგორც ტიპიურმა ცისფერყანწელმა, ს. ცირეკიძემაც აღიარა ქვეცნობიერის პრიმატი მხატვრული შემეცნების პროცესში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ხელნაწერი სტატია სათაურით „ილიას შეუგნებელი შემოქმედება „კაცია ადამიანი?!-ში“ (ყველგან ვიცავთ ავტორის სტილს — ნ. დ.), რომელიც დაცულია საქა-

როველოს ლიტერატურულ მუზეუმში (ხელნაწერი № 13).

სტატიაში ს. ცირეკიძე ცდილობს გაარკვიოს მხატვრული შემეცნების პროცესის თავისებურებანი. ამ საკითხით იგი იმიტომ დაინტერესებულა, რომ თურმე ერთმანეთს უპირისპირებდნენ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს: ილიას შემოქმედებას მიიჩნევდნენ შეგნებულად, აკაკისას კი შეუგნებლად. „...ეს აზრი საერთოთაა თითქმის მიღებული, დასძენს ს. ცირეკიძე. — მაგრამ მე მას როგორღაც ვერ ვეთანხმები. ჩემი აზრით ილიას შემოქმედებაც შეუგნებელია და ეს მსურს „კაცია ადამიანი?!“ — ს. განხილვით დავამტკიცო“. როგორც ვხედავთ, აკაკის შემოქმედება რომ შეუგნებელია, ეს საეჭვო არ ყოფილა, მაგრამ ილიას შემოქმედებაც შეუგნებელიაო, გვარწმუნებს სტატიის ავტორი.

საინტერესოა, როგორ ესმოდა ს. ცირეკიძეს „შეუგნებელი შემოქმედება“? იგი არ უარყოფს შემოქმედებითს პროცესში გონების მონაწილეობას, მაგრამ უპირატესობას მაინც ქვეცნობიერს ანიჭებს. „შეუგნებელი შემოქმედება იმას კი არ ნიშნავს, თითქო პოეტს თავის შემოქმედების არაფერი არ ესმოდეს! ეს სიცრუეა, ხელოვანს ესმის თავის შემოქმედება, მაგრამ მთელი სიღრმე-სიგანით კი არა! ზერელეთ, მისი ცოდნა აქ გარეგნულია, ვიწროა.“ ს. ცირეკიძის აზრით, გონების მონაწილეობა

შემოქმედებითს პროცესში ადრე წერება მხოლოდ იდეის შემოქმედებით, იდეისა, რომელსაც შემოქმედებითი პროცესის ყველა დანარჩენი მომენტი კი ინსტინქტს დაუთმო. „პოეტურ შემოქმედების ნიჭი, ინსტინქტურათ, პატრონის გაუგებრათ, ჩუმათ მუშაობს, გარმონიასა ქმნის და პუბლიცისტური აზრი უბრალო მხატვრული სამოსელის წილ პოეზიის სათუთ ლეჩაქს იცვამს, მშვენიერების ნაზის მორცხვობით გამოიციქრება.. აი, აქაა შეუგნებელი მოქმედება.. პოეტი აქ მშვენიერებას ქმნის, მაგრამ შეუგნებლად“, წერდა იგი.

როგორც ვხედავთ, ს. ცირეკიძემ დაარღვია შემოქმედებითი პროცესის მთლიანობა, მისგან ცალკე გამოყო იდეის შემუშავება და მას შეგნებული მოქმედება უწოდა. ხოლო იდეის მხატვრულ განსხვავებას შეუგნებელი. ეს წმინდა იდეალისტური დებულებაა, რომელიც სათავეს იდებს ბერგსონის ე. წ. ინტუიტიურ თეორიაში.

როგორც უკვე ვთქვით, ს. ცირეკიძე მხატვრული შემოქმედების პროცესში ერთადერთ შეგნებულ აქტად თვლიდა „პუბლიცისტური აზრის“, ე. ი. იდეის შემუშავებას, მაგრამ ეს უკანასკნელი — იდეურობა ნაწარმოების ნაკლად მიაჩნდა და არა ღირსებად. მან სწორად ამოიცნო ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანი?!“ იდეები, მაგრამ იქვე შე-

ნიშნა, „რომ ეს პრაქტიკული უფრო პუბლიცისტური აზრები არ გვიჩიდავენ. აბა როდის გინახავთ, რომ დღიურ ჰიპ-ვარამზე ბაასს კაცი მოეხიბლოს? მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ და სახელდობრ შეუგნებელ შემოქმედებითს ნაყოფში, გარმონიაში, პოეზიაში“. წერდა ს. ცირეკიძე. მისი მტკიცებით, „პუბლიცისტური აზრი“ ანუ იდეა არ შედის ნაწარმოების მხატვრულობაში. ე. ი. ცირეკიძე ფორმას თიშავს შინაარსისაგან, რაც იდეალისტური ესთეტიკის უპირველესი ნიშანია. ამავე დროს აღეურობა მან განიხილა როგორც „წვრილმანური, ყოველდღიური და კონკრეტული“. ფორმა კი როგორც წმინდა ესთეტიკური და აბსტრაქტული. ეს უკანასკნელი უკვდავია და დროისა და სივრცის გარეშე არსებობს. „პუბლიცისტიკა წვრილმანურია, ყოველდღიურია, კონკრეტულია. — წერდა იგი, — მას დროსა და ადგილის გადაშორება არ შეუძლია. და პოეზია? პოეზია ხომ სილამაზეა. მშვენიერებაა და განა სილამაზე. მშვენიერება დროულია? პირიქით, იგი აბსტრაქტული, განუყენებული რამაა, იგი დროსა და ადგილს არა სცნობს. პოეზიის შრომანახამბახით მორთული ნავი აბსოლუტურ სივრცეში მიმოცურავს. მან არ იცის დასაბამი და არ იცის ბოლო. იგი უკვდავების სიმბოლოა“. ესაა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ გადამდერება. ეს თეორია კი, რომელიც იდეალიზმს ემყარება, გვარწმუნებს, რომ არსებობს „წმინდა“;

ხელოვნება დროისა და სივრცის გარეშე, ე. წ. „აბსოლუტური ხელოვნება“. განდგომილნი კი, რომლებიც პრაქტიკული ცხოვრებისათვის, როგორც განუყენებელი, თავისივე თავის მიზანი.

მსოფლმხედველობრივმა შეხედულებამ ს. ცირეკიძე იქამდე მიიყვანა, რომ მან „კაცია-ადამიანი?“ „წმინდა ხელოვნების“ ნიმუშად აღიარა და შეუგნებელი შემოქმედების ნაყოფი უწოდა, უარყო მისი რეალისტური ხასიათი: „კაცია-ადამიანი?“ დაბატული სინამდვილე ემპირიული, ხელშესახები სინამდვილე როდია, ეს ოცნებისებური სინამდვილეა“, წერდა იგი.

არა მარტო მხატვრული შემოქმედების პროცესი, არამედ შემეცნება საერთოდ ს. ცირეკიძემ განიხილა როგორც შემცნობი სუბიექტის განწყობილებათა შედეგი. მან უარყო საგნებისა და მოვლენების ობიექტური რეალობა და სამყაროს შეცნობის მთავარ საშუალებად მიიჩნია სმენა და მხედველობა: „ჩვენი ათვისების მთავარი გზები — სმენა და მხედველობა — არაა ერთნაირად ღია და გატყეცილი“, — ამტკიცებდა იგი („მეოცნებე ნიამორები“, 1923, № 9, გვ. 12).

მატერიალისტური გნოსეოლოგია გვასწავლის, რომ შემეცნების პროცესი უპირველეს ყოვლისა მთლიანი პროცესია, რომლის დროსაც მობილიზებულია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალები. შემეცნებაში მონაწილეობს არა მარტო სმენა და მხედ-

ველობა, არამედ ადამიანის ხუთივე გრძნობა — ის იპყრობს აზრს, ჭკუას, ნებისყოფას, მეხსიერებას, ფანტაზიას, წარმოდგენას და ა. შ.

ირრეალური სამყაროს შეცნობის პროცესშიც ს. ცირეკიძე ძირითად ფუნქციას აკისრებდა შემცნობ სუბიექტს, მის განცდებს: „ადამიანის განცდას აქვს საფეხურები, — წერდა იგი, — და ისტორიის სიგრძეზე პოეტური თრთოლვა იცვლება და წვრილდება, იცვლება პოეტური ხედვის ობიექტი, იცვლება თვითონ ხედვის მახვილობა, მომართვა... მოვლენასთან მისვლას აქვს ნაირი დალუნვა და აფერადება სანახაობის“.

წერილში „პოეტი და მკითხველი“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ 1923 წლის მეცხრე ნომერში, ს. ცირეკიძე იმეორებს იდეალისტური ესთეტიკის იმ მცდარ დებულებას, ხელოვანს რომ ღვთიურად აცხადებდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ინტელექტის ძალისა და შემოქმედებით პროცესში მისი წარმმართველი როლის უარყოფა, ხელოვანის პასიურად გამოცხადება და რელიგიის აპოლოგია. ს. ცირეკიძემ პოეტი მთლიანად მოწყვიტა ხალხს, იგი მიიჩნია ზეცადად, რომელიც „გულივერის დიდი ნაბიჯებით ადის მაღლა ახალი ცის დასანახავად“. ეს მისტიკოსის ცნობილი გზაა, გზა „რჩეულთათვის“ და, როგორც ს. ცირეკიძე ფიქრობს, „მას ბრბო ვერ გაყვე-

ბა, ბრბო გატყეცილი გზით მიდის“.

ს. ცირეკიძემ ხელოვნებას გამოჰყო პოეზია. „პოეზია არაა ნაწილი ხელოვნების. ხელოვნება ტექნიკაა, მიღწევაა... ხელოვნებას საქმე აქვს მარტო მატერიალურთან. ფერების შერჩევა, ხაზების მოშვილდვა, ხმების შეწყობა ისე, რომ თვალს ეამოს, სმენა დატყბეს — ხელოვნებას სხვა აზრი არა აქვს.. მას პოეზიასთან არაფერი კავშირი აქვს“. ს. ცირეკიძის აზრით, თუ ხელოვნებას საქმე აქვს მატერიალურთან, იგი აღარაა ჭეშმარიტი ხელოვნება: მას მიზანი გააჩნია და მოჯამაგირეა. „უტილიტარული ხელოვნება, — წერდა ს. ცირეკიძე, — ხშირად სალდება „აზრიან ხელოვნებათ“, ასეთია აკაკი წერეთლის წერილი ბანკობაზე. ეს „აზრიანი პოეზია“ არაა პოეზია. იგი მხოლოდ ბელეტრისტიკაა“.

რას უწოდებს ს. ცირეკიძე პოეზიას? ყველაფერი, რაც უმიზნოა, რაც ირრეალურს გამოსახავს, პოეზიაა. „პოეზია ნგრევაა, ქმედობაა, გადალახვაა საზღვრების.. პოეზია არ ეტევა ლიტერატურაში, ის უფრო მაღალია“.

ამგვარად, ქართული სამოციანელების მიერ ლიტერატურაში მტკიცედ დანერგილი პრინციპი ცხოვრებასთან ხელოვნების მჭიდრო კავშირისა ცისფერყანწელებმა უკუაგდეს, პოეზია მოსწყვიტეს ცხოვრებას და ირრეალური ქვეყნის სამსახურში ჩააყენეს.

ს. ცირეკიძე ხელოვნების საფუძვლად აცხადებდა არა სინამდვილეს, არამედ ღვთაებრივ მუზას და ფანტაზიას, რომლებიც მართოდენ პოეზიაში ქმნიან ესთეტიკურს და ისიც იმიტომ, რომ პოეზია „გადალახვას საზღვრების... იგი არის სახელების ღარქმევა საგნებისათვის. ამ სასწორზე უნდა აიწონოს ყველა, ვისაც აქვს პრეტენზიები პოეტის სახელის ტარების. მარტო ეს კრიტერი გამოიცნობს მართალ ხმას და გაზომავს მის სიმაღლეს. ამ ხაზით შეგნებულათ მიდის სიმბოლისტიკის შკოლა“, წერდა იგი სტატიაში „სათაური პოეზიაში“ (მეოცნებე ნიამორები“, 1919, № 3, გვ. 15).

იყო რა ტიპიური დეკადენტი, ს. ცირეკიძემ პოეზიის მთავარ მიზნად გამოაცხადა სიმახინჯის ასახვა. იგი წერდა: „სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზიის მთავარ თემად. პოეზია გვაგრძნობინებს მთელ პირობითობას ქვეყნისას და გვებადება სურვილი, რომ ეს მახინჯი ნილაბი გადავხადოთ მის უთქმელ ზედაპირს“ (1921, № 5, გვ. 12). რაკი აქ ლაპარაკია ცხოვრების მახინჯი ნილბის მოხდაზე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ს. ცირეკიძეს პოეზია ესმოდა როგორც ცხოვრების გაუმჯობესების იარაღი? ხომ არ აკისრებდა იგი პოეზიას „ცხოვრების სახელმძღვანელოს“ როლს? რა თქმა უნდა, არა. პოეზია ს. ცირეკიძისათვის იყო მხოლოდ და მხოლოდ მარადიული მშვენიერების და მარა-

დიული სილამაზის გამოსახვის საშუალება, მაგრამ სილამაზე და მშვენიერება მას ესახებოდა მხოლოდ რეალურ სამყაროში, პოეტის პალუცინაციებითა და ფანტაზიით შექმნილ ქვეყანაში, სადაც ფანტასმაგორული სახეები სახლობენ. ამიტომ „პოეზია ქვეყნის ბუთაფორული გამართლებაა“.

სინამდვილის ასახვის უარყოფამ, ცხოვრებისეული მოვლენებისა და საგნების ადეკვატური სიმბოლოების ძიებამ ახალგაზრდა ესთეტიკოსი იქამდე მიიყვანა, რომ მან უარყო ყველა ჟანრი, გარდა მინიატურისა, და, ბოლოს, მინიატურიდან სათაურთან შეჩერდა. „მინიატურის გზას რომანიდან სათაურთან მივეყვართ“, ასკვნიდა ს. ცირეკიძე.

რატომ მისცა უპირატესობა ს. ცირეკიძემ მინიატურას? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ განიხილავდა იგი ლიტერატურულ ჟანრს და საერთოდ სტილის საკითხებს. მისი აზრით, ლიტერატურული ჟანრისა და გვარის წარმოშობის განმსაზღვრელი ფაქტორია ცხოვრების ტემპი და არა შინაარსი, არა იდეები. ს. ცირეკიძე მინიატურის სამშობლოდ თვლიდა აღმოსავლეთის ქვეყნებს, კერძოდ, სპარსეთს იმის გამო, რომ „სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან. მინიატურის ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შეილია“. შემოქმედი მხატვრის



ტეძერამენტს (სიზანტე, სიჩქარე და ა. შ.) განაპირობებს აგრეთვე ცხოვრების ტემპი. ძნელია იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობდა ს. ცირეკიძე ცხოვრების ტემპში. ერთი კი ცხადია, რომ მასში არავითარ შემთხვევაში არაა ნაგარაუდევო იდეები, რომლებთანაც უშუალო კავშირში უნდა განვიხილოთ ლიტერატურული სტილის საკითხებიცა და შემოქმედის მსოფლმხედველობა.

„ჩქარ კვეყანაში. — წერდა ს. ცირეკიძე, — შემოქმედნიც გაბედული და ჩქარი არიან. ისინი დიდ და ფართო სურათებს ხატავენ. მინიატურა კი წერტილებით იწერება და მას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს ჭადრის ჩრდილში“. ს. ცირეკიძის ამ მოსაზრებაში ჭეშმარიტების შორეული კონტურებიც კი არ მოჩანს.

როგორც ცნობილია, მარქსიზმის კლასიკოსებმა სტილის საკითხი გადაწყვიტეს იდეებთან კავშირში. კერძოდ, ამ საკითხს შეეხო ფრ. ენგელსი 1847 წლის 15 იანვრით დათარიღებულ წერილში კ. მარქსისადმი. ფრ. ენგელსი განიხილავს თომას კარლაილის სტილს და გამოაქვს შემდეგი დასკვნა: რამდენადაც რეალისტური და პროგრესულია იდეა, მისი შესატყვისია სტილი.

ს. ცირეკიძისათვის მწერლის მსოფლმხედველობასთან, მწერლის სტილთან არავითარი კავშირი არა აქვს ლიტერატურულ ჟანრს და გვარს. რომანი, ტრილეთი, სონეტი, მინიატურა და

სხვ. ს. ცირეკიძემ განიხილა როგორც მარტოოდენ ფორმული, რატურული სტილი, მისი აზრით, დამახასიათებელია ლიტერატურული სკოლისათვის. აქაც საქმე გვაქვს ს. ცირეკიძისათვის დამახასიათებელ ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებასთან. რაც შეეხება იმას, რომ ცისფერყანწელებმა, კერძოდ, ს. ცირეკიძემ მინიატურასა და სონეტს მისცეს უპირატესობა, ეს იმის შედეგი იყო, რომ ისინი გატაცებული იყვნენ ფორმალისტური ძიებით. აქვე დავსძენთ, რომ ძიების ამ გზაზე არც ს. ცირეკიძეს და არც მის თანამოაზრეებს საგულისხმო არაფერი შეუქმნიათ.

გუსტავ კანის ე. წ. „დედემური სტილის“ თეორიის უშუალო გამომდინარეა ის, რომ ს. ცირეკიძე მინიატურიდან სათაურის აპოლოგიამდე მივიდა. მთავარი იყო „ორიგინალური სტრიქონები“, თუნდაც ცალკეული ფრაგმენტის, ნაწყვეტ წინადადებათა ან სიტყვების სახით. ესენიო, გვარწმუნებდა ს. ცირეკიძე, სრულიად საკმარისია თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ამ უკანასკნელს მისი გართულებული ფსიქოლოგიის გამო დიდტანიანი ნაწარმოების კითხვა აღარ შეუძლიაო. ს. ცირეკიძემ მოიწონა და დაიმოწმა ვალერი ბრიუსოვის ცნობილი სტრიქონი „ო. დაფარე შენი მკრთალი ფეხები“. იგი წერდა, „შეიძლება წიგნების მაგივრად სათაურები დავწეროთ. ამის ნიმუშები

უკვე გვაქვს ჩვენს ლიტერატურა-ში. აქ დავიმოწმებ ვალერი ბრიუსოვსაც: „ო, დაფარე შენი მკრთალი ფეხები“ („მეოცნებე ნიაშორები“, 1919, № 3, გვ. 15).

მიუხედავად იმისა, რომ ს. ცირეკიძე ბოლომდე დარჩა იდეალისტური ესთეტიკის ტყვეობაში, მის ნაწერებში ზოგიერთი მართებული ლიტერატურული შეხედულებაც გვხვდება. კერძოდ, საინტერესოა მისი მსჯელობა ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული ტიპის თაობაზე. ლუარსაბი მან სრულიად სამართლიანად განიხილა როგორც უარყოფითი ტიპი, რომელშიც განზოგადებულია ქართველი მებატონეები: „ლუარსაბი, ბატონებო, დიპიანი, ჩასუტეხული ლუარსაბი ქართველ მებატონეების სახეა“, წერდა იგი. ამავე დროს ადამიანი ს. ცირეკიძემ განიხილა, როგორც ცხოვრების, გარემოს პროდუქტი. იგი ამბობდა, ლუარსაბ თათქარიძის სულიერი და ფიზიკური სიმახინჯე პარაზიტული ცხოვრების შედეგიაო: „დახეთ ამ ფუფუნების, უზრუნველობის შვილს, დახეთ და დაინახეთ, თუ სანამდე შეუძლია ადამიანის მიყვანა ცხოვრებას“. ს. ცირეკიძემ კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს აზრი. „სხვის ზურგზე დამჯდარს სიარული დავიწყებია“, ამბობს იგი ლუარსაბზე.

ს. ცირეკიძე შეეხო მოთხრობის „კაცი-ადამიანი?!“ სათავეს, რომელიც კითხვას და საკვებით სწორად შენიშნა, რომ ილია „კაცობის“ ცნებიდან რელიგიურ მომენტს არ გამოირიცხავდა. იგი ეთანხმება ილიას იმ აზრს, რომ კაცური კაცის ღირსებები ღვთიურია: „ადამიანო, შენ, რომლისთვისაც ღმერთს თავისი უკვდავი სული შთაუბერია, რას დამგვანებხარ? სადაა შენი ღვთაებრივი ნაწილი, რომ კაცი დაგიძახო? განა შენ კაცი ხარო? ამ სიტყვებით ილია მაშინდელ თავადაზნაურობას, მებატონეებს მიმართავს და საზოგადოდ კი ყველას, ყველა ადამიანს“.

წინააღმდეგობები ს. ცირეკიძის ესთეტიკურ და ლიტერატურულ შეხედულებებში ავტორის მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობის შედეგია. მას არ დასცალდა დეკადენტიზმის გავლენისაგან განთავისუფლება და შემოქმედების ფართო ჰეგემონიტ გზაზე გამოსვლა. ის სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისი ნააზრევო უმეტესად წარსულს ეკუთვნის, მაგრამ უკეთესისათვის ბრძოლაში წარსულის შეცდომების გათვალისწინებაც ხომ აუცილებელია!



ზალიხან მახაჩიშვილი

პეფკე უმიკაშვილის ღიჯეკაგუჟაჟ-კიკიკუდი ნეკიდეპი

ცნობილი ქართველი მოაზროვნის პეტრე უმიკაშვილის შემეცნებლობაში დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რომლებიც ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებოდა. მათი უმრავლესობა გამოქვეყნებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში, ხოლო ერთი ნაწილი დართული აქვს ქართველ მწერალთა ნაწერების უმიკაშვილისეულ გამოცემებს. სამწუხაროდ, ამ წერილებისათვის დღემდე სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს.

როგორც თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი, პ. უმიკაშვილი საგნებით იზიარებდა მათ ესთეტიკურ პრინციპებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იგი დაუცხრომლად იღვწოდა რეალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს მწერლობაში და ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის კავშირის განსამტკიცებლად. „მწერლობა და მწერლები ისეთივე რამ არის, როგორც მცენარე, რომელსაც აღმოაცენს თესლი და წინა მშობელნი; მიწა, ნიადაგი აქვს აღმომცენებელი, აღმზრდელი, გამხარე-

ბელი და ამალორძინებელი. ერთს დღეს, ერთის ძლიერად უძლიერესის ნებით და სურვილით ვერა კაცს ვერ შეუძლია თავისის გულისთქმის მიხედვით რისიმე შექმნა, თუ იმას წინა დროს მსგელოება არ შესწევს და მასალას არ აძლევს“, წერდა იგი 1881 წელს სტატიაში „დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი“.

ამრიგად, პ. უმიკაშვილი თვლის, რომ ლიტერატურა იბადება ცხოვრებისაგან და იგივე ცხოვრება განსაზღვრავს მის განვითარებას. მაგრამ ლიტერატურა ისევე, როგორც საერთოდ ხელოვნება, არ ხასიათდება ცხოვრების პასიური, ნეიტრალური ასახვით, მისთვის უცხოა სინამდვილის მექანიკური განმეორება. მას კარგად ესმის ლიტერატურის აქტიური როლი ცხოვრების განვითარებაში, მის გაუმჯობესებასა და გარდაქმნაში. პ. უმიკაშვილის თქმით, „ლიტერატურა, მწერლობაც ცხოვრების ერთი წინწამყენებელი ძალაა, ერთი საუხეჯა... თუ მეშაობა აზრისა და წერისა შეჩერდა, — ამბობს ის, — ეს ხომ ჩვენი ცხოვრების წარმატების შეჩერებაა, უკან დარჩენაა, დაცემაა“.

პ. უმიკაშვილი მწერლობის მთავარ

დანიშნულებას ხედავს თანამედროვეობის საარსებო საკითხების გამოხატვაში. მწერალი თავისი ეპოქისა და ხალხის სული ა. ამიტომ იგი კარგად უნდა გაცნობილეს ეპოქის მაქისცემას და აქტიურად ეხმარებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებელ პრობლემებს, მისი პროგრესული განვითარების ტენდენციებს. „მწერლობის მოვალეობაა, გამოარკვიოს, რომელი საგანია მომწიფებული და უძველესად საჭირო თანამედროვე წამში. მას მაგრად და მალე უნდა ექიროს კამერტონი, მფლობელი შეიქმნეს შეგნებით ამორჩეულს წამისა აღნიშნულ დროს. პუბლიცისტიკის ძალა ამაშია. თუ მარჯვად შეურჩევი დროცა და საგანიც, მწერლობის ხმას აძევება საზოგადოებაც და ხალხიც. თუ არა და მწერლობის მუშაობას სუსტი გავლენა ექმნება თანამედროვე საზოგადოებაზე“, წერდა იგი სტატიაში „აზრები ლიტერატურაზე“ („იურია“, № 125, 1902).

მაგრამ ცხოვრების ასახვაში მწერალი არ უნდა იჩენდეს ცალმხრიობას, იგი არ უნდა ერიდებოდეს იმის ჩვენებას, რაც დრომოკმულობა და ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. „თუ მართლა ქვეშაირი მზრუნველნი ვართ, — წერდა იგი, — ყველას, ვინც კი დაგვანახვებს ჩვენს ნაკლოვანებას, შეცდომას თუ სიბოროტეს, უნდა პატივი ვცეთ და კეთილი რჩევა მაღლობით მივიღოთ. თუ კაცს საზოგადოებისათვის ეეთილი სურს, ყველა ნაკლოვანებას უნდა ერიდებოდეს. რასაკვირველია, უფრო უკეთესია, თუ ერთმანეთს აჩვენებენ ნაკლოვანებას. ამ სახით უფრო მალე აღმოიფხვრება შეცდომა“ („გამოუქვეყნებელი წერილი“, „მნათობი“, № 12, 1956).

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-ესეთიკურ შესხედულებებში დიდი ადგილი უკავია ხალხურობის პრობლემას. მისი აზრით, ყოველი მოწინავე ხელოვანის შემოქმედების აუცილებელ თვისებას შეადგენს ხალხურობა. მაგრამ ხალხურობა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ნაწა-

რობებში ხალხის ინტერესები გამოიხატოს, ამასთან ერთად იგი გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს მკითხველისათვის. „ერთი უპირველესი პირობა მწერლისა ის არის, — წერდა პ. უმიკაშვილი, — რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს იმის ნაწერი. ეს რო არ ესმოდეს მწერალსა, იმასა ნიშნავს, რომ მწერალს თავისი მნიშვნელობა არ გამოუჩვენებია. თუ გვეტყვის ამგვარი მწერალი, რომ ქვეყნისათვის ვწერო, ნუ გჯერათ, ის თავის თავის შექცევისათვის სწერს და არა სხვებისთვის“ („ერებული“, № 8-9, 1872).

აქვე შევნიშნავთ, რომ მოთხონილებს, რომლებსაც პ. უმიკაშვილი უყენებდა ქართულ მწერლობას, უპირველეს ყოვლისა თვითონ იცავდა და თანმიმდევრულად ახორციელებდა თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში. ამას ნათლად დავგანახებთ მათი განხილვა.

* * *

1866 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 3) მიქელა პეტრიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის წერილი „პეტერბურგიდამ“. ეს იყო მისი პირველი ლიტერატურული სტატია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი თაობის წინააღმდეგ მიმართულ ერთ წერილს, რომელიც იმ დროს არ დაბეჭდილა, და რუსულიდან თარგმნილ ორ სტატიას, რომლებიც უფრო ადრე „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

„პეტერბურგიდამ“ ეხება იმ საზოგადოებრივ დანიშნულებასა და ამოცანებს, რომლებიც ახალდაარსებულ გაზეთ „დროებას“ ეკისრებოდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გაზეთის უმთავრესი მოვალეობა, უმიკაშვილის აზრით, ის იყო, რომ „იცოდეს, თუ რიგიანად არა, როგორც სამართალია, მსუბუქათ მაინც ისტორია, გეოგრაფია, ხალხის ზნეობითი ღონე, იმისი სურვილი და მოწადინება, იმისი ლიტერატურა. ამასთანავე ჩვენი ხალხის ვითარება და გარემოება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება უნდა ისე იცოდეს, როგორც კი შესაძლებელია, როგორც ჩვენი დროების სწავლას ეს

შეზღუდვის. რადგანაც ქართულს ენაზედ არაფერი ამგვარი არა გვაქვს რა, ყოველივე ეს „დროებამ“ უნდა აცნობოს, აუხსნას, გაურკვევოს. ეს უნდა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს, თუ გვსურს, რომ ჰეგმონიტი სარგებლობა უჩვენოთ საზოგადოებას, მეტადრე სალიტერატურო ასპარეზზედ“.

1872 წელს ჟურნალ „კრებულის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის ვრცელი წერილი „არსენა“. წერილის დასაწყისში იგი მკაცრად დასცინის კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლებს, რომლებიც ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებში ვერ ხედავდნენ ვერავითარ ღირსებას. პ. უმიკაშვილი მათ ქირომანტიისა და უნბრჯვეს დამცველებს უწოდებს, რადგანაც ისინი მხოლოდ ამ საზომით აფასებდნენ არა მარტო მწერლობის, არამედ კაცისა და ხალხის ღირსებასაც.

როგორც ცნობილია, „არსენას ლექსამ“ თავიდანვე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ხალხის ფართო მასებში. გარდა იმისა, რომ „არსენას ლექსს“ მესტიერები ზეპირად ავრცელებდნენ, ათასობით იყიდებოდა მისი ბეჭდური გამოცემები. პ. უმიკაშვილის აზრით, უკვე ეს გარემოება ცხადყოფდა, რომ „ამ ლექსში არის რამე ისეთი, რომ ხალხის გონებას და გულს ეუბნება გასაგონს საგანსა; სიანს ერის შეგონება და შემეცნება პოპულობას არსენაში თავის მოძმე აზრსა“. მართლაც, არსენა „არის წარმომადგენელი ჩვენის ხალხის გრძნობისა და გონებისა. მასში იხატება გარკვევით და ცხადთა, რა მწუხარება აწუხებს ჩვენ გლეხსა და რა იმედი აიძულებს“. ამიტომ „ხალხს შორეულ უცხო სიცოცხლეთ არ მიაჩნია არსენას სიცოცხლე და იმისი აზრები ძალიან არა ჰშორდება არსენას აზრებსა“, რასაც „თავისი საფუძველი ჩვენს ძველსა და ახალს ისტორიულ ცხოვრებაში აქვს“.

კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსენას მხატვრული სახე კონკრეტულ სოციალურ პირობებში წარმოიშვა, ეკრძოდ, აღამაინოს იმ აუტანელი ბატონყმუ-

რი ჩაგვრისა და დამონების პირობებში, როცა „ბატონს რაც უნდოდა, ერთის სიტყვით, იმას სჩადიოდა და ^{მასთანვე} ~~მასთანვე~~ არ ჰქონდა ბატონზე საჩივარი შეუტანა. ამგვარათ, ყმა ბატონს ისეთსავე საგნათ მიაჩნდა, როგორც სამუშაო საქონელი, ცხენი, ხარი და სხვა სულდგმული და უსულო ნივთი, რომელიც იმას უყიდნია და დაუსაკუთრებია. როგორც ხარკამეხს ახვენიებენ, ალექვინებენ, ქვას აზიდვინებენ, ყმასაც ხშირად შეხედრია ეს ხვედრი“.

პ. უმიკაშვილის აზრით, არსენამ „ძალიან კარგათ იცის, რომ თუ ვისმე სიმდიდრე უშოვნია, სხვის შრომით უშოვნია“ და „არსენას უნდა ამისთანა უსამართლობის ამოგდება. იმას არ შეუძლია გულგრილათ ყურება, როდესაც გლეხკაცს ვინმე სჩაგრავს“. ამიტომ „მაშინვე ართმევს იმ სიმდიდრეს, გლეხის ნაშრომით რომ მოუპოვებია და შიგ რომ ჩამჯდარა“. „არსენა კაცს კი არა სდევნიდა, — წერს პ. უმიკაშვილი, — სდევნიდა იმ უსამართლობას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთანა კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭერიათ... ამ ღონისძიებით არსენას უნდა ხალხს შეიავათი მისცეს, შეუშსუბუქოს მძიმე ტვირთი და მოსპოს ის მიზეზები, რაც კი ჰბადებს ხალხში სიღარიბესა“.

პ. უმიკაშვილს შეუშინებელი არ რჩება აგრეთვე არსენას კატომოყვარეობა და დიდსულოვნება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და საყვარელს ხდის მის გმირულ ხასიათსა და თავგადასავალს.

ამრიგად, პ. უმიკაშვილმა სავსებით სწორად ახსნა „არსენას ლექსის“ ღირსება და ის სოციალური პირობები, რომლებიც არსენასა და არსენობას წარმოშობდნენ. ამ სტატიით მან ღირსეული წვლილი შეიტანა ქართული ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლის საქმეში და ამასთანავე მკაცრად გაილაშქრა კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელთა დრომოკმული იდეურ-ლიტერატურული შეხედულებების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილის სტატია „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისთვის“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“. ავტორის აზრით, ლიტერატურის წარმატებას, მის გავლენას საზოგადოებაზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა და გავრცელება. სტატიის დასაწყისში იგი მკაცრად აკრიტიკებს ამ საქმისადმი საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებას.

შემდეგ პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა ბოლო ოცი წლის მანძილზე, ე. ი. ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების შემდეგ თავისი შინაგანი ლარსებით წინ წავიდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მან ვერ შექმნა საკუთარი წრე, ვერ შეძლო მწერალთა მთელი პროგრესული ძალების გაერთიანება ერთი ჟურნალის გარშემო. ავტორის აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ქართულმა ლიტერატურამ, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის საქმეში ჯერ კიდევ ვერ მიაღწია განვითარების სასურველ დონეს, ვერ მოიპოვა ფართო გავლენა და მხარდაჭერა საზოგადოებაში. ამიტომ იგი დაბეჯითებით მოითხოვდა ლიტერატურის მთელი მოწინავე ძალების შეკავშირებას. „ჩვენი ლიტერატურის წინ წაყვანისათვის შეერთებული შრომაა საჭირო წრისა, ანუ წრეების შედგენილი“, — დაასკვნა სტატიის ავტორი.

1895 წელს „მოამბეში“ (№2) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის ვრცელი სტატია „გასამრჩელო სალიტერატურო შრომისათვის“. სტატიაში მოცემულია ქართველ მწერალთა მაშინდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ობიექტური შეფასება. ავტორის დახასიათებით, ქართველი მწერალი „უქონელი, ღარიბი და ყოველ ნივთიერ კმაყოფილებას მოკლებულია“. მას „მუდამ დღე თავში სცემს წვრილშვილის სიშიშველე, უსწავლელად ყოფნა მისი, ან ნათესავისა და მეგობრების გაჭირვება ხომ ცხვირიდან ამარს ადენს“.

მაგრამ კრიტიკოსი როდი დაკმაყოფილდა ფაქტის კონსტატაციით. მან იქვე მოუთხრა, რომ ქართველ მწერალთა მძიმე მდგომარეობას განაპირობებდა ვრცების საერთო ჩამორჩენილობა და მასში დამკვიდრებული უსწორმასწორობა. ამის უარყოფა ან დაფარვა, მისი აზრით, მაინც გავლენას მოახდენდა იმ ახალგაზრდა თაობაზე, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ემზადებოდა. მეორე მხრივ, პ. უმიკაშვილი იმ აზრს ავითარებდა, რომ ქართველმა მწერლებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა, თუ მათ სურთ ხელი შეუწყონ ცხოვრების წინსვლასა და გაუმჯობესებას, მოღვაწეობის სახელმძღვანელო პრინციპად უნდა გაიხადონ სამშობლო ქვეყნისა და ხალხის უანგარო, თავდადებული სამსახური.

ქართული ლიტერატურის განვითარების საყურადღებო საკითხებს ეხება პ. უმიკაშვილის წერილი „აზრები ლიტერატურაზე“, რომელიც გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის 16 ივნისის ნომერში დაიბეჭდა. ამავე გაზეთის არსებობის მეოთხედ საუუუნესთან დაკავშირებით. წერილის ავტორი ობიექტურად აფასებს „ივერიის“ დამსახურებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. მართალია, წერდა იგი, ქართული ლიტერატურის განვითარებას „ბევრი შინაგანი და გარეგანი დაბრკოლება ელბედა, აქრობს, აქარწყლებს და ბურუსში ადგებს მის ნორმალურ მსვლელობას“, მაგრამ „ივერიის“ მოღვაწეობას მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პ. უმიკაშვილის შეხედულებით, „ივერიის“ ერთი მთავარი დამსახურება ის იყო, რომ თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო ქართველ ხალხის ეროვნული თვითრწმუნების გაღვივებასა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების წინსვლას. იგი წერდა: „ივერიის“ დაფუძნებლად მას მიუძღვის ერთი ფრიად მთავარი საქმის დახმარება, რომელიც პირველ საფეხურად ითვლება ყოველის ადამიანისა და ხალხის ისტორიაში. ეს არის ნაციონალური თვითცნობიერება, თავის თავის ცნობა,

პატივისცემა, შეგნება კავშირისა თავის ტომთან, აზრი, რომ მეც წევრი ვარ დიდის ოჯახის, დიდის საზოგადოებისა. რომ ამ საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებით საკუთარი ცხოვრების მოწყობაც გადავიღებდა, რომ ამის დახმარება შეუძლიან მწერლობას, ენას, სკოლას, სამეცნიერო, საკრედიტო და სამრეწველო საზოგადოებას და ამხანაგობას და სხვა. ამ აზრისათვის იმუშავა გავლილ დროის მწერლობამ“. ქართულმა მწერლობამ „შეიგნო დროის მოთხოვნილება და ვგონებ, მისი წარსული ღვაწლიც ამით დაიფასებო“, — დასძენს ავტორი.

* * *

პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ სტატიებს, რომლებიც ეხებათ ქართული ლიტერატურის ისტორიას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეფციას, მის დამოკიდებულებას ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი უპირველეს ყოვლისა დროის ინტერესები, მოწინავე პატრიოტული და დემოკრატიული იდეები განსაზღვრავენ. მისი თქმით, „ყოველმა ხალხმა წარსული დროის შრომა თუ არ იცის და ამ შრომის პატივი თუ არა აქვს, უხეირო, უსაფუძვლო, ქარაფშუტა რამ უნდა გამოვიდეს“, რადგანაც „ნამდვილ განათლებულ ქვეყნებში ასეა, რომ ჯერ თუ წარსული არ იცის კაცმა, ეხლანდელის ცოდნა შეუძლებელ საქმედ მიაჩნიათ“ („ივერია“, № 39, 1887).

ცხადია, წარსულისა და აწმყოს ურთიერთობის ეს ზოგადი დახასიათება მთლიანად ეხება ლიტერატურასაც. „ყოველთვის, როდესაც ერთი მწერლის დაფასება გვინდა,—წერს პ. უმიკაშვილი, — უიმისოდ შესაძლებელი არ არის, თუ არ ვიცით, მის წინა და შემდეგ მწერლების ნაშრომი რა იყო, რა აზრსა ან რა გრძნობას გვისახადენ, როგორის ხელოვნებით გამოსთქვამდნენ ნაგრძნობასა და ნააზრსა, რამდენად ეკავშირებო-

და ერთმანეთს მათი შრომა და ბოლომდე ცხოვრებაში რა წარმატება შემოიტანეს. თუ ესეები არ ვიცით, უსაცილობს წარსული იქნება ჩვენი დასკვნები სწავლა, მაშასადამე, დაფასებაცა“.

ამ სწორ მეცნიერულ დებულებას პ. უმიკაშვილი შემდგომ აღმარებდა: „სხვათა შორის ხანდისხან რომ წარსულის დროს ლიტერატურისთვის თვალი გადაგვევლო და გავგებრჩია, რაც შესანიშნავი ყოფილა, ავი ან კარგი, — სასარგებლოდ დარჩებოდა ჩვენთვის. ჩვენ თუ ავს ვიპოვნიდით, იმის გამოჩენა დაგვასწავლიდა იმ ავის გასწორებას, თუ კარგს ვიპოვნიდით, ჰკუთის სასწავლებლად გამოგვადგებოდა ეხლანდელს მდგომარეობაში“ („ერებელი“, № 8-9, 1872). ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე პირდაპირ მიუთითებდა, რომ „სანამ ჩვენს ახალ მწერლობაში და საზოგადოებაში ძველი მწერლობის პატივისცემა არ იქნება, მანამდის საერთოდ ჩვენს საზოგადოებაში არ იქნება გულდამყარებული, მკვიდრი სიყვარული არც სწავლისა, არც განათლებისა და არც სამშობლო ქვეყნისა... ძველი მწერლობის უცოდნელად ზომ ვერ შევიყვარებთ, რაც საცოდნელი და შესაყვარებელია, ან მოსაძულებელი, ერთის სიტყვით, რაც მკვიდრის, საფუძვლიანის განათლებისათვის საჭიროა“ („ივერია“, № 39, 1877).

სტატიაში „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე)“, რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში“, პ. უმიკაშვილი იღვწავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთგვარ კონსპექტურ განხილვას. წერილის პირველი ნახევარი ეხება ძველი ქართული მწერლობის ისტორიას და შეიცავს ამ ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და მხატვრული ძეგლების საყურადღებო დახასიათებას. ავტორის სიტყვით, მას შემდეგ, რაც „ქართველობის სახელი იხსენება ქვეყნიერების ისტორიაში და მწერლობაში... ბევრი აყვავებული ხალხი და სახელმწიფო სრულეებით დაცემულა და გაშქრალა“. თავისი ძლეულების დროს ამ სახელმწიფოებმა

საქართველოც ზეგზერ „დაიპყრეს, წა-
ლექეს და გაანადგურეს მრავალი მისი
ნამუშევარი, მაგრამ ვერ წაართვეს საქარ-
თველოს ხალხს მიწა-წყალი, მის მთა-
ბარს მშვენიერება ლაქვარდის ცითა და
ბრწყინვალეს მზითა, მის წყალთა მდინა-
რების ძალა. ამ მიწა-წყალში არ მოუკ-
ლა ხალხს სიცოცხლის ღონე, მხნეობა,
გულადობა, მოღბინე გული, შრომის
ხალისი, აზრი გონებისა და ენაწყლიანო-
ბა“.

3. უმიკაშვილის შეხედულებით, ქარ-
თული მწერლობა თავიდანვე ემსახურე-
ბოდა ხალხის ზნეობრივ აღზრდას. იგი
წერს: „საქართველოს ნაწილები თუმცა
შვერტებული იყო ერთ სამეფოდ, უც-
ხო ხალხების შემოსევისაგან თავის მიწა-
წყლის დასაცავად მას ეჭირებოდა სული-
ერი ერთობა, რომელსაც ხალხისათვის
ზნეობითი ძლიერება უნდა მიეცა. ამ ძა-
ლად შეიქმნა ქრისტიანობა და ენა, რო-
მელმაც შეაკავშირა ერთმანეთს კახეთი,
ქართლი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო,
სვანეთი და აფხაზეთი. ეს ძალა გამოჩნ-
და მწერლობაში“.

ქართული საეკლესიო მწერლობის ის-
ტორიაში 3. უმიკაშვილი განსაკუთრებით
ზალად შეფასებას აძლევს ათონის ივე-
რიის მონასტრის, კერძოდ, ამ მონასტრის
ქართველი წინამძღვრების — ექვთიმე და
გიორგი მთაწმიდელების მოღვაწეობას.
იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ამ
მამათა შრომამ გაამდიდრა, შეამუშავა
ქართული მწერლობა და ამ საშუალებით
საქართველო დაუკავშირა ევროპის განა-
თლებულ ხალხებს, მოზიარე გახადა მათს
წარმატების გზას და დაუდგა შეუორყვევ-
ლი საფუძველი ქართულ სიტყვიერება-
სა და მწერლობას“.

შემდეგ 3. უმიკაშვილი აღნიშნავს,
რომ ქართულმა მწერლობამ ნამდვილ
აყვავებას მიაღწია დავით აღმაშენებლი-
სა და განსაკუთრებით თამარის მეფობის
პერიოდში, რასაც შესანიშნავად ადას-
ტურებს სპარსულიდან თარგმნილი „ვის-
რამიანი“ და უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

განსაკუთრებით საინტერესოა 3. უმიკა-
შვილის შეხედულება რუსთაველსა და

მის უკვდავ „ვეფხისტყაოსანზე“. რო-
გორც თვითონ ამბობს, „გენიოსის, დიდი,
მოთხრობის ავება, ჭკუა და ენა მუდამ
შოთა რუსთაველში საკვირველს ქმნიდა“
ნიითა. პოეტური გამოსახვა, მშვენიერე-
ბა ცოცხალის ენისა უმწვერვალეს სიმა-
ღლემდე ავიდა იმ ლექსთ თხზულებაში.
მოთხრობის არავს მიეცა თავისუფალი სა-
ხე, იდეას, აზრს მშვენიერი ხორცშესხმუ-
ლება“.

3. უმიკაშვილის აზრით, „ვეფხისტყაო-
სანი“ თამარ მეფის ცხოვრების უბრა-
ლო მატთან კი არ არის, არამედ იგი
გამოხატავს „სათუენოდ უკვდავ აზრს
ადამიანის ცხოვრებისას“, ზოლო ადამი-
ანისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრე-
ბის ამ უკვდავ აზრს, შინაარსს
შეადგენს მუდმივი სწრაფვა სა-
სურველი კეთილდღეობის, ბედნიერე-
ბის, სიმართლისა და ჭეშმარიტებისა-
კენ, ძიება და ძებნა სასურველის წადი-
ლისა, ბრძოლა ამ წადილის მისაღწევად,
უკუგდება ყოველისფრისა, რაც ამ წადი-
ლის ძებნას აბრკოლებს. წადილის მიწვე-
ნის შემდეგაც ახალის წადილის გაღვიძე-
ბა, კიდევ ძებნა, კიდევ ძიება, მარად ძი-
ება“.

„რუსთაველის ამ პოემაში გამოითქვა
ქართველობის ისტორიის ცხოვრება, სუ-
ლის განწირულება მრავალ მტერთა შე-
მოსევის დროს და იმავე წამში სიცოცხ-
ლის წყურვილით აღძრული მოქმედება,
თავის გამოდგება უკეთესი ბედის ძიებისა-
თვის. აი რატომ შეიქმნა ეს პოემა საყვა-
რელ საკითხავ წიგნად შეიდასის წლის
განმავლობაში და აი რატომ არის ქართ-
ველობაში საუკუნო პოეზიის საუნჯედ
დარჩენილი“, — დაასკვნის 3. უმიკაშვი-
ლი.

თამარის მეფობის მომდევნო პერიო-
დში საქართველოს თავს დაატყდა დიდი
უბედურება, მას განუწყვეტილვ აოხრებ-
დნენ ჯერ მონღოლები და შემდეგ ოსმა-
ლები. ამიტომ ქართული მწერლობის გან-
ვითარება, 3. უმიკაშვილის შეხედულე-
ბით, რუსთაველის შემდეგ „რამდენიმე
საუკუნეს დიდად შეჩერდა, ვეღარ წავი-
და წინ“. იგი სწორად შენიშნავს, რომ

ქვეყნის დაცემის „იმ შავ დროებში სპარსული პოეზიის გავლენით იწერებოდა ან ითარგმნებოდა ზღაპრის მსგავსი ამბები ყარაშაინანსავით“, რითაც „მწერლებს უნდოდათ გული მიეცათ მკითხველისთვის და მამაცობის სული შთაებრათ“.

ისტორიულ-ნაციონალური მიმართულებისა და ადრეული რეალიზმის მწერლებიდან პ. უმიკაშვილის მოწონებას ყველაზე მეტად იმსახურებს დ. გურამიშვილი. მისი შეხედულებით, დ. გურამიშვილი „ერთი იმგვარ მწერალთაგანია, რომელნიც ცოცხლათ მხატვან თავის დროსა, აზრებსა და ცხოვრებასა. ის არის ხელოვანი და მართალი. გამომსახველი მრთელის მეოვრამეტე საუკუნის საქართველოსი და ამიტომ მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წაღილი... ის დასტირის საქართველოს ბედს და თუმცა გარეგან მტრებს აბრალებს საქართველოს დაცემას, მაგრამ უფრო უმეტესად ქვეყნის დაქცევის მიზეზსა შინაურებს სდებს“. გურამიშვილი „საქართველოს აღდგენის და განახლების მქადაგებელია ხალხის გასაგონარის ენითა“. კრიტიკოსს განსაკუთრებით იტაცებს „ქაცვია მწყემსი“, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით ქართული მწერლობის ერთ ძვირფას მარგალიტად მიაჩნია.

დიდად აფასებდა პ. უმიკაშვილი აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანს. სტატიაში „სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელიც ამ წიგნის უმიკაშვილისავე გამოცემას (1871 წ.) ჰქონდა დართული, იგი ქართველი ხალხის საყვარელ მოიგავარაყეს გვერდში უყენებდა მსოფლიოს ისეთ გამოჩენილ მწერლებს, როგორიც იყვნენ ეზოპე, ლაფონტენი და კრილოვი.

მართალია, პ. უმიკაშვილმა სწორად ვერ გაიგო სულხან-საბა ორბელიანის წიგნის სათაური „სიბრძნე სიცრუისა“, მაგრამ სამაგიეროდ მას შეუმჩნეველი არ დარჩა ამ წიგნის დიდი ენობრივი ღირსება. მისი მართებული დახასიათებით, „ძა-

ლიან ხშირათ საბა მარტივი ჩვენი ასაკის ბრო ენითა სწერს და ამიტომ ძალიან მარტივად ხლოვდება სახალხო ენას... შეუფერხებელი ყვაობა და გაქიანურება საბას არ უყვარს. აზრი მოკლეთა და ძლიერათა აქვს გამოხატული“.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას რომ ეხება, პ. უმიკაშვილი გადაჭრით უარყოფს იმ კრიტიკოსების შეხედულებას, რომლებიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს მხოლოდ ღვინისა და სიყვარულის მომღერლად თვლიდნენ. პ. უმიკაშვილის სიტყვით, ალ. ჭავჭავაძის ლექსებს „მღერალად მთელი საქართველოს საზოგადოება“ და მას „სხვა ლირიკული ლექსები სიმღერისავე სახით იმ დროის ჭირ-ვარამზე აქვს გამოქმდილი“.

მეორე რომანტიკოსი პოეტი ნ. ბარათაშვილი, პ. უმიკაშვილის დახასიათებით, „ღრმა გრძნობის და აზრების გამოთქმელია მშვენიერის ლექსებითა“. სწორედ ამიტომ გახდა ნ. ბარათაშვილი „საყვარელი პოეტი საქართველოსი, აღმზრდელი რამდენისამე ქართველ თაობისა, მშვენიერება ქართული სიტყვიერებისა და ქართველთა აზროვნებისა“.

გრ. ორბელიანის შემოქმედებიდან პ. უმიკაშვილს ყველაზე მეტად იტაცებდა მუხამაზები მდაბიო ხალხის ცხოვრებას რეალისტური ასახვის გამო, ხოლო პატრიოტული ლექსები და პოემა „სადღევრძელო“ — ეროვნული გრძნობის წინ წამოწევისა და გაძლიერებისათვის. როგორც ვიცით, ანალოგიურ შეფასებას აძლევდა გრ. ორბელიანის შემოქმედებას ი. ჭავჭავაძეც.

ქართველ მწერალთა იმ თაობიდან, რომელიც 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, პ. უმიკაშვილი, ცხადია, ყველაზე მაღლა ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს აყენებს. იგი ჯერ კიდევ 1872 წელს აღნიშნავდა, რომ „ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურას. იმის კრიტიკული სტატიაშიდან არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება, „მიმართულება“ ილია ჭავჭავა-

ძეს ეკუთვნის“ („კრებული“, № 8-9, 1872). მისი დახასიათებით, პოეზიაში ი. ჭავჭავაძემ ღირსეულად განაგრძო ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია და ფართოდ გაუხსნა გზა საზოგადოებრივ მოტივს ხალხის ჭირ-ვარამზე, რაც იმ დროს „სულ ახალი გამომღვივებული სიო იყო მიზანარა მოლექსეთა შორის“. ილიას „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ შესახებ კი პ. უმიკაშვილი წერდა: „ქართველმა მკითხველმა დაინახა, რა ადამიანი შეიქნა ბატონი, სხვის შრომით გამოსული და რა ყოფაში ჩავარდა იმგვარივე ადამიანი სხვის მონობისაგან. ერთიც და მეორეც იღუპება სულთ ხორცამდის“ („საქართველოს კალენდარი“, 1904).

პ. უმიკაშვილის შეფასებით, აკაკი წერეთლის „ენაწყლიანობა, სიმსუბუქე ენისა, აზრის ნათლად გამომხატველობა, სხარტად დახმავება აზრისა, მშვენიერი ცალკობის პარმონია ანდამატისებრი იზიდავენ მკითხველის სმენას და ჩააფიქრებენ ლექსის აზრზე“. მას უთუოდ სწორად მიაჩნია, რომ „პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი, რომელზედაც აკაკი წერეთელი უტოლოდ იმყოფება, ეს მისი სატირული ლექსებია“. როგორც თვითონ ამბობს, „სატირა ქართველ პოეტებს როგორღაც გაუბრის, რაც დიდი ნაქულწევანებაა პოეზიისა. აკაკი წერეთლის პოეზიამ ეს სულ ახალი შემატებაც მოუტანა თავის ვრცელ პოეზიასთან ერთად“. რაც შეეხება აკაკის მოთხრობებს, მისი თქმით, ისინი „ჩვენი წყლების კამაყებასა ჰგავს, როდესაც დარიან დღეში ძღრუტულებს“ (იქვე).

პ. უმიკაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის განსაკუთრებულ დამსახურებას ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მისი წერილი უდროოდ გარდაცვლილი სერგეი მესხის შესახებ, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1883 წელს (№ 7-8). ქართული პრესის ამ დი-

დი მოამაგისა და ნიჭიერი პუბლიცისტის დამსახურებას ზედმიწევნით ახასიათებდა ავტორის შემდეგი სიტყვები: „~~ქართული~~ წელიწადი მუშაყად უდგა ~~მეცნიერებასა~~ ^{მეცნიერებასა}, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალღონე, თავის ცხოვრების მოსვენება და ბოლოს, პირველზე და უკანასკნელი საუნჯე ყოველის კაცისა, თავისი ჯანის სიმრთელე... მესხმა მხნე მეომარსავით ათასგვარად დაბრკოლებულს და ეკლიანს გზაში გამოატარა პირველი ქართული გაზეთი. დიახ, კარგი სულის სიმხნე და მედგრობა უნდა ქონოდა მის გამომტარებელსა, რომ მარტოობის დროს, გარს გულგრილობის დროს, უსიამოვნებათა, ნაკლებულობათა და შრომის ტვირთთა სიმძიმით სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა. მაგრამ მესხმა ძნელი გზა ღიმილით გაიარა და გაზეთის გამოტანასთან იმავე ღიმილით დალია სული. იცოდა, რომ ტყუილად არ ჩაიარა მისმა შრომამ. მისი ღიმილი ამას ნიშნავდა“.


პ. უმიკაშვილმა ძალზე საყურადღებო შეხედულებები გამოთქვა აგრეთვე ვაჟა-ფშაველასა და დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას პოეზიის დახასიათებისას იგი წერდა: „მისი (ვაჟა-ფშაველას— ზ. მ.) ლექსი და პროზა გამოირჩევა სხვა პოეტებისაგან განსაკუთრებულის ფორმით. მთის მკვეთრს, ნაქსოვივით რბილს და ნაქედსავით მტკიცე ენასთან ახლოა ლექსთა თხზვა. სიტუტრფე და მრავალფერობა ეპიტეტებისა, გამომსახველობა და ქანდაკება, პლასტიკა გამოხატვისა კითხვის დროს მკითხველს უნებურად შორს, მაღლა იტაცებს და პოეტურს აღმადგრენას აგრძნობინებს“. დ. კლდიაშვილის მოთხრობების ღირსება კი, პ. უმიკაშვილის აზრით, ის არის, რომ ისინი ნათლად გამოხატავენ ვლადიკატეულ ქართველ აზნაურთა სულიერ სამყაროს, რომ მწერალი კარგად იცნობს თავისი გმირების ფსიქოლოგიას და გარემო პირობებს, რომლებიც განსაზღვრვენ მათ მოქმედებას.

ქართული მწერლობის კონსპექტურ განხილვას, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „თვალის გადავლებას“, პ. უმიკაშვილი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „წინა დრომ ამ ჩვენს მეოცე საუკუნეს გადმოსცა ათასსამასი თუ ოთხასის წლის აღზრდილი და შენახული მწერლობა, რომელმაც ნახა ბევრი ჭირი და სულის ხუთვა, მწარე ღლეები და ნათელი ბედნიერი დროცა. ცვალებადი იყო მისი ბედი, ხან დარიანი და ხან ავდრიანი, მაგრამ მისი ყოფნა და არსებობა ვერ შესწყვიტა ავდრობამ... სულიერი საუნჯე შეინახა წარსულმა დრომ და ანდერძად დაუგდო მომავალსა—ხალხი წინ წააყენოს განათ-

ლებულ ქვეყნების მიხედვით, შეცვარების და სიმართლის საფუძველზე დამყარებით.“

* * *

ამით ვამთავრებთ პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების განხილვას. თუმცა ჩვენ ამ წერილების მხოლოდ ყველაზე დამახასიათებელი ადგილები გავაშუქეთ, მაგრამ ეს ერთობ შეზღუდული განხილვაც კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული მწერლობის ისტორიის დარგში.



ვახვანგ შამილაძე

სავაჭრო უკითხავთობის განვითარების ისტორიიდან აჭარაში

ცნობილია, რომ პირუტყვი და მეცხოველეობის პროდუქტები ამიერკავკასიის მოსახლეობაში აღრიდანვე იყო გაცვლის, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველობის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყარო. პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების საბაზრო დანიშნულება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდში ადგილზე დამზადებული რძე, ყველი, კარაქი, ერბო, მატყლი, ტყავი, რქა, ძვალი და სხვ. არა მარტო საშინაო ბაზრებსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში, არამედ უცხოეთშიც კი გაჰქონდათ. გამოჩენისას არც აჭარა წარმოადგენდა, რომელიც ამ დროისათვის სულ უფრო ფართოდ ექცეოდა საქარ-

თველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების ორბიტაში.

პირუტყვი და მეცხოველეობის პროდუქტები ტრადიციულად გარკვეულ როლს ასრულებდა აჭარის სავაჭრო და სააღებმაცემო ურთიერთობაში. რძის პროდუქტების, კერძოდ, ნაღების, ყველისა და კარაქის დამზადების მაღალი ოსტატობა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ მკვლევარები, პროდუქტების მხოლოდ შინამრეწველურ ხასიათს როდი გულისხმობდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული გამძლე, „შემგებარი და კეთილსახმარი“ აჭარული ყველი თუ ზ. ჭიჭინაძის მიერ შექმნილი აჭარული „სმეტანა“, რომელიც ავტორისვე თქმით, ხარისხით თბილისელი „ნემცების“ მი-

ერ დამზადებულ ნალებს გაცილებით სჯობდა, რა თქმა უნდა, ადგილზე მოხმარებასთან ერთად გაცვლა-გაყიდვის საუკეთესო ობიექტიც უნდა ყოფილიყო. მართლაც, ამ პროდუქტებით მეზობელ კუთხეებთან აჭარის ვაჭრობა-აღებმიცემობა არაერთგზის აღუნიშნავთ გ. ყაზბეგს, ვ. ლისოვსკის, დ. ბაქრაძეს და სხვ.

რძის პროდუქტების სასაქონლო დანიშნულებას უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ პროდუქტის დამზადების წინა პლანზე წამოწევა. უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვაჭრობისა და გაცვლა-გასაღების სფეროს გაფართოებასთან ერთად, საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი კუთხის მსგავსად, აჭარაში რძის პროდუქტების დამზადებამ განიცადა ერთგვარი სპეციალიზაცია, რის შედეგადაც კარაქის წარმოებამ გარკვეული უპირატესობა მოიპოვა. თავის მხრივ, ამ გარემოებას ხელს უწყობდა ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის შედარებით მაღალი ცხიმოვანობა, კარაქზე გაზრდილი მოთხოვნილება და ა. შ.

გაცვლა-გასაღების სფეროში გარკვეული ადგილი ეკავა პირუტყვით ვაჭრობასაც. როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, აჭარული ძროხა, რომელიც თავისი თვისებებით ერთ-ერთი საუკეთესოა კავკასიაში, მოსაშენებლად ადრიდანვე გაჰყავდათ გურიაში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. XIX საუ-

კუნის მეორე ნახევრიდან დადგა საკლავი პირუტყვიც, რომელიც უკვე ამ დროისთვის სვანეთისა და რაჭის მსგავსად, მთიანი აჭარის ზოგიერთ ხეობაში სააღებმიცემო ხასიათს იღებს (ე. ტურკინი, მეცხოველეობის თანამედროვე მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში, 1901, რუს.).

საკლავი პირუტყვის ნაწილი სააღებოდ აჭარაში, ნაწილი კი იმავე მიზნით მეზობელ კუთხეებში გაჰყავდათ. თედო სახოკიას ცნობით, ამ პერიოდში აჭარლებს საკლავი პირუტყვი სისტემატურად გადაჰყავდათ გურიაში (მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, 1950, გვ. 119). სხვადასხვა საოჯახო საჭიროება (ქორწილი, სახლის მშენებლობა და სხვ.) ადგილობრივ მეურნეს აიძულებდა პირუტყვის ნაწილი საკლავად გაეყიდა. გარდა ამისა, ეს საჭირო იყო მეცხოველეობის კლავწარმოების თვალსაზრისითაც (ბებერ პირუტყვს კლავდნენ, ზოლო ჯოგის დანაკლისს ახალგაზრდა პირუტყვით ავსებდნენ). როგორც გ. ყაზბეგი მიუთითებდა, მარტო ღორჯომიდან ერთი წლის განმავლობაში ასი სული მსხვილფეხა პირუტყვი გაუყიდათ.

ვაჭრობასა და აღებმიცემობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეალიზაციის ცენტრებსა და სავაჭრო-სამიმოსვლო გზებს. მართალია, აჭარაში დიდი და თვალსაჩინო მნიშვნელობის სავაჭრო

გზები არ არსებობდა. მაგრამ ის მრავალრიცხოვანი სასაპალნე გზები, რომლებიც აჭარის სხვადასხვა ხეობებს მეზობელი კუთხეების სააღმშენებლო ცენტრებთან აკავშირებდა, აშკარად მოწმობს აჭარელთა ფართო სავაჭრო ურთიერთობას. ამ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არტაანის (აქ ორი გზა იყო: 1. გოდერძის გადასასვლელი - ღმანი - სოჩი - არტაანი და 2. ძამლე-თი-სარიჩაირი - ნაქალაქევი - არტაანი), ახალციხისა (აჭარა-ახალციხის მთავარი სამიმოსვლო გზა) და ოზურგეთის (ბოდიში-ჩიდილა - სომლია - ვაკიჯვარი-ოზურგეთი), გზები. რომლებიც მაჭახელის, მერისის, ჭვანის, ხიხაძირის, ღორჯომიასა და სხვა ხეობებია მოსახლეობას აღნიშნულ სავაჭრო ცენტრებთან აკავშირებდა. ამ ხეობებიდან პირუტყვი და მეცხოველეობის პროდუქტები ძირითადად ახალციხეში, ბათუმში, ხულოსა და ოზურგეთში საღებოდა. გარდა ამისა, აჭარლებს მეცხოველეობის პროდუქტები, კერძოდ, კარაქი ახალციხის, ფოთისა და ჭიათურის ბაზრებზეც კი უზიდნიათ. რეალიზაციის ცენტრებთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეცხოველეობის პროდუქტების გაცვლა-გასაღების მიზნით ხშირად ბაზრობა გურია-აჭარის მოსახლერე საზაფხულო სამოვრებზეც (ზოტიყელი, თავინური, ხინო, ბე-

შუმი) გამართულა. როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, აჭარა-გურიისა და აჭარა-სამხრეთ-საზღვრე საზაფხულო სამოვრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აჭარის სამეურნეო-კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ზაფხულში აჭარა ალპურ სამოვრებზე გართობა-სანახობასთან ერთად იმართებოდა სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების გაზიარება (პირუტყვის შეჭვარება და ახალი ჯიშების გამოყვანა, ზოგიერთი მთის სიმინდის გამოყვანა და სხვ.). აქვე ხშირად ეწყობოდა პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების, აგრეთვე მარცვლეული კულტურების, მეფუტკრეობის, მეხილეობისა და სხვა პროდუქტების გაცვლა-გასაღებაც. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ თითქმის ყველა სავაჭრო-სამიმოსვლო გზა აჭარისა და მეზობელი კუთხეების სააღმშენებლო ცენტრებს შორის ზემოთ აღნიშნულ საზაფხულო სამოვრებზე გადიოდა.

ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტებიდან მიღებული ოჯახის წლიური შემოსავლის დაახლოებით განსაზღვრაც. თედო სახოკიას ცნობით, ზოგი ოჯახი წელიწადში ათ ბათმან (60 ოყა) კარაქს ჰყიდდა და ამდენივეც ოჯახში მოსახმარად რჩებოდა (დასახ. ნაშრ., გვ. 121). აჭარელ

მეურნეს ბაზარზე გაჰქონდა დაახლოებით ამდენივე ყველი, აგრეთვე საკლავი პირუტყვი, რომელიც ოჯახს შეძლებისმიხედვით ერთიდან სამ სულამდე შეეძლო გაეყიდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფასების მიხედვით, ბათუმის, ახალციხის, ოზურგეთისა და სხვა სავაჭრო ცენტრების ბაზრებზე, წლის სხვადასხვა დროს, ოყა კარაქის ფასი 3-4 აბაზს არ აღემატებოდა. ოყა ყველის ფასი იმავე ბაზარზე ერთიდან ორ აბაზამდე მერყეობდა.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ განხილული მამია გურიელის ერთი აქტი, რომელიც გურიელს მეფე სოლომონის ბრძანებით და სასულიერო პირთა და გურულ თავადთა ერთიანი შეთანხმებით, ვაჭართა მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ შემოუღია. ეს ტარიფი შეიცავს გურიაში ყიდვა-გაყიდვის საგნებზე ფასის დაახლოებით ცნობებს და დათარიღებულია 1808 წლის 25 ივლისით. გურიელის ტარიფით, დიდი გამოკვეთილი ხარი ოც ძველ მარჩილს ფასობდა, მომცრო — თხუთმეტ მარჩილს, შებმული ხარი — თორმეტს, სამწლიანი — ათ, უფრო პატარა ექვს-რვა, ხოლო ერთწლიანი — ოთხ მარჩილს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფასებით, საუკეთესო ჯიშის წყვილი ხარი 60-80 მანეთი ღირდა,

ხოლო საკლავი ხარის ფასი 20-25 მანეთს არ აღემატებოდა, საკლავი ძროხისა — 15-20 მანეთს, ჯიშის ლისა კი 25-30 მანეთს. ამავე პერიოდში ცხვარი ოთხი-ხუთი მანეთი ღირდა, შიშავი — სამი-ოთხი მანეთი, ყოჩი — ხუთი მანეთი. დაახლოებით ასევე ფასობდა თხაც. ფასები მერყეობდა პირუტყვის ჯიშის, თვისებებისა და დანიშნულების, აგრეთვე სავაჭრო ცენტრების განლაგების მიხედვით. ასე, მაგალითად, ოზურგეთსა და ბათუმში პირუტყვი გაცილებით ძვირი იყო, ვინემ ახალციხესა და არტანუჯში. გურიაში საქონელს ფასი ემატებოდა ტყავის ხარისხისა და რქების მოყვანილობის მიხედვით. ხარის ტყავით საღვინე ტიკებს კერავდნენ, რქებს კი ყანწებად ამზადებდნენ და ჰყიდნენ. ხ. ვერმიშევის ცნობით, ამ პერიოდში მეწველი, მუშა და მოზარდი პირუტყვის ფასები დაახლოებით ასეთივე იყო საქართველოს სხვა კუთხეების ბაზრებზეც.

აჭარლებს საკლავი პირუტყვის ერთი ნაწილი ბათუმის საყასბოებშიც ჩამოჰყავდათ. საყასბოს სარგებლობისათვის ყოველ პირუტყვზე ე. წ. „სისხლის ფარა“ უნდა გადაეხადათ. ივანე მესხის ცნობით, ეს გადასახადი თურქეთის მმართველობის პერიოდში მსხვილფეხა პირუტყვზე (ძროხა, ხარი) ათი კაპიკი იყო, კამეჩზე — თხუთმეტი, ხოლო წვრილფეხა პირუტყვზე ხუთი კაპიკი. რუსული მმართველობის დამკვიდრების შე-

მდეგ, 1888 წლიდან, ქალაქის სამმართველოს საყსაბოთი სარგებლობისათვის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე შესაბამისად ორმოცი კაპიკი და ხუთი კაპიკი დაუწესებია. შემდგომ პერიოდში — ჯერ 1890, ხოლო შემდეგ 1899 წელს ქალაქის სამმართველომ იმ მოტივით, რომ სხვა ზღვისპირა ქალაქების საყსაბოებში გადასახადები გაცილებით მაღალი იყო, ბათუმის საყსაბოშიც მოუმატა ფასები — ხარსა და კამეჩზე დააწესა 1.5 მანეთი, ძროხაზე — ერთი მანეთი, ღორზე — 50 კაპიკი და ა. შ.

ვაჭრობისა და ალემბიცემობის ორგანიზაციის თვალსაზრისით აჭარაში ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ყურადღებას იპყრობს ე. წ. „ჩალვადრობისა“ და „ჯალაბობის“ ინსტიტუტი. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჩალვადრობას აჭარაში საკმაოდ ჩამოყალიბებული ხასიათი ჰქონდა და იგი ძირითადად ვაჭრობისა და ალემბიცემობის მიზნით, ასე თუ ისე დაშორებულ სავაჭრო ცენტრებში სამიმოსვლოდ გარკვეულ პირთა გაერთიანებას გულისხმობდა. ეს გაერთიანება ქმნიდა ქარავანს, რომელშიც დაახლოებით 10-15 საპალნით დატვირთული ცხენი და ამდენივე მესაკუთრე შედიოდა. „ჩალვადრები“ გაერთიანებისთანავე ირჩევდნენ „თავჩალვადარს“, რომელმაც კარგად იცოდა ჩალვადრობის ორგანიზაცია, სამიმოსვლო გზები, ვაჭრო-

ბისა და ალემბიცემობის საქმე და ა. შ. ჩალვადრები ძირითადად მეცხოველეობის, მეხილეობის, ფუტკრეობის პროდუქტების რეთვის ხელოსნობის ნაწარმით ვაჭრობდნენ. გარდა საკუთარი საქონლისა, ჩალვადრებს გასასყიდად ზოგჯერ მეზობლის საქონელიც მიჰქონდათ, რომლის რეალიზაციიდან ალებული თანხის გარკვეული ნაწილი ჩალვადარს რჩებოდა გასამრჯელოდ. ჩალვადართა გაერთიანება ძირითადად შემოდგომაზე იქმნებოდა, მაშინ, როდესაც სამიწათმოქმედო საქმეები შემსუბუქებული იყო და მოსახლეობას იალაღებიდან დაბრუნებისას თან ჩამოჰქონდა მთაში დამზადებული პროდუქტები.

აჭარელ ჩალვადრებს რძის პროდუქტების გაცვლა-გასაღებაში კავშირი ჰქონდათ არტანუელ მეცხოველეებთან და არტანსა და ზემოთ ჩამოთვლილ ბაზრებს შორის ერთგვარ შუამავალის როლშიც გამოდიოდნენ. საქმე ის იყო, რომ ისინი აჭარიდან ჩატანილ ხილს არტანში რძის პროდუქტებზე ცვლიდნენ, ბათუმსა და ოზურგეთში გადმოჰქონდათ და მათთვის ხელსაყრელ ფასებში ასაღებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჭვანის, ღორჯომის, სხალთისა და სხვა ხეობების ჩალვადრები, რომელთაც კარგი სავაჭრო და სააღმზრდელო ურთიერთობა ჰქონდათ ჩილდირისა და გორის ახლომახლო ქურორტის, მელიქოის, ტაშქოისა და სხვა სოფლების მოსა-


ზღვობასთან. საერთოდ მეცხვარეობით მდიდარი ეს მხარე განთქმული იყო მაღალხარისხოვანი ყველის ნაწარმით, რომლის ფასი იმდენად დაბალი იყო, რომ ჭვანელები ერთ ოყა ხილს (ნიგოზი, მსხალი და სხვ.) ორ და ხშირად სამ ოყა ყველში ცვლიდნენ. გაცვლა-გასაღების სფეროში ასევე კეთილმეზობლური ურთიერთობა არსებობდა ზემო აჭარისა და მეზობელ გურულ მოსახლეობას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ზემო აჭარელთათვის გასაღებისა და მოხმარების ბაზარს არა ბათუმში, არამედ ოზურგეთი წარმოადგენდა. აჭარლები ოზურგეთში ასაღებდნენ რძის პროდუქტებს და სამაგიეროდ იძენდნენ ფართალს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ფართო მოხმარების საოჯახო საგნებსა და სხვ. თავის მხრივ, გურული მეაბრეშუმეები ხშირი სტუმრები იყვნენ ჭვანის ხეობისა, საიდანაც მათ აბრეშუმის ჭიისათვის თუთის ფოთოლი გაჰქონდათ.

აჭარაში ვაჭრობასა და აღებმოცემობის ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული „ჯალაბობის“ ინსტიტუტიც ანუ „მოჯალაბეობა“. თუ ჩაღვადრობა მეცხოველეობისა და მეურნეობის სხვა დარგებისაგან შემოსული პროდუქტებით ვაჭრობას გულისხმობდა, ჯალაბობა დაკავშირებული იყო სახსრებთან, რაც მოჯალაბეს მუშახელის დასაქირავებლად, საქონლის მეტნაკლები რაოდენობის შესასყიდად თუ სხვა საჭიროებისათვის

უნდა დაეხმარებინა. ამ მიზნების გამო მოჯალაბეობა ეჭმევეს სხვადასხვა ხეობაში ძირითადად შეძლებული ადგილობრივი თუ ჩამოსული (გურული, მეგრელი და სხვა მოჯალაბენი) მეურნის საქმიანობას წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს აჭარაში ცნობილი მოჯალაბეები იყვნენ ღორჯომელი, სხალთელი და მაჭახლეი შეძლებული მეურნენი. მოსულთაგან ამავე პერიოდში მოსახლეობა ასახელებს გურულ მოჯალაბეებს.

ჯალაბის შესყიდვა შემოდგომაზე იწყებოდა, მაშინ როდესაც პირუტყვი იალაღებზე საკმაოდ გასუტებული იყო. მოჯალაბეები ჩამოუვლიდნენ სოფლებს, დაქირავებდნენ რამდენიმე კაცს და ხუთთექვს სოფელში 150-200 სულამდე პირუტყვს შეაგროვებდნენ. პირუტყვის გადარეკვა ბათუმის საყასბოებამდე იყო დაქირავებული პირების საქმე, რომლებიც ამისათვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ (დაახლოებით მანეთს თვითნებულ სულ პირუტყვზე).

მოჯალაბენი მარტო აჭარის ფარგლებით როდი იზღუდებოდნენ. მაშინ აჭარა-ახალციხის მთავარი გზით ჯალაბი უწყვეტად მოედინებოდა ახალციხიდან, არტაანიდან და მეცხოველეობის უფრო შორეული ცენტრებიდან. ასეთ შემთხვევებში მოჯალაბენი პირუტყვს პირდაპირ საყასბოებში აბარებდნენ. არტაანსა და შავშეთში თხუთმეტ მანეთად შეძენილი საკლავი



პირუტყვი გასაღების ბაზრებზე 25-30 მანეთამდე ფასობდა. ამის გამო მოჯალაბენი ხელს იღებდნენ უშუალო ვაჭრობაზე, მით უმეტეს, რომ მარტო ეს უშუაველური როლი დიდ მოგებას იძლეოდა.

მოჯალაბეობა და ჩალვადრობა მთელ რიგ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. სავაჭრო-სამიმოსვლო გზები დაუსახლებელ ადგილებში, ძირითადად მთებსა და ტყეებზე გადიოდა და ხშირი იყო ყაჩაღ-მძარცველებისა და ქურდების თავდასხმის შემთხვევები.

თავდაცვის საქმე გაცილებით ძნელი იყო ახალციხეში, განსაკუთრებით კი არტაანში მგზავრობის დროს, სადაც მისვლა-მოსვლას რვა-ათი დღე სჭირდებოდა. არტაანში მგზავრობისას მოჯალაბე-ჩალვადრები ღამეს ათევდნენ დერსელში, ახალციხესა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, ზოგჯერ ტრიალ მინდორზე, ან ტყეშიც კი. ამ მხრივ შედარებით უკეთ იყო მოწყობილი აჭარა-ახალციხის მთავარი სამიმოსვლო გზა. სადაც ად-

გილობრივი მოსახლეობა მგზავრობის სპეციალურ ღამეებზე შენობებს — „ხანებს“ აშენებდა. ამ გზებზე მოქმედი ძამლეთის, შუახევის, დანდალოს, კოკოტაურის, ცხემლისის, ვარჯანისის, ბაჩოლულების, ბელტურისა და კაპანდიბის „ხანები“ ძირითადად კერძო პირებს ეკუთვნოდა და მის გათვლა ცეცხლის დანთებით და ვახშმის მიწოდებით სამი-ხუთი კაპიკი ღირდა. „ხანებს“ გვერდით მიშენებული ჰქონდა პირუტყვის სადგომი, სადაც თვითვე სულზე ასევე სამ-ხუთ კაპიკს ახდევინებდნენ. ასეთივე სახის „ხანები“ იყო ქალაქ ბათუმშიც.

როგორც ჩვენს მიერ განხილული ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, აჭარელთა სააღმშენებლო ურთიერთობა მეზობელ კუთხეებთან განპირობებული იყო იმ ფართო სამეურნეო-კულტურული ურთიერთობით, რომელიც აჭარასა და მის მომიჯნავე კუთხეებს შორის ტრადიციულად არსებობდა.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V, 1966 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 3401, ემ 00819, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი ლიტერატურის კომიტეტის
მთავარბიბლიოგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

წანი 40 წწ.

ბ 26547



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ლიტერატურული ადჟარა“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118